# დროშა

№ 12 დეკემბერი 1962

ეროვნული ბიბლიოთეკა

619
1962



71



მთელი საბჭოთა ხალხი ყოველ წელიწადს ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების პერსპექტივები დასახა, დაასაბუთა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს სახალხო დემოკრატიულში გადაზრდა. დღეს საბჭოთა სახელმწიფო მთელი ჩვენი ხალხის ნებასა და სურვილს გამოხატავს.

უკანასკნელი ოცდაექვსი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მომხდარი დიდი ძვრები და ცვლილებები, ბუნებრივია, მთლიანად თავის გამოხატულებას ვერ პოულობენ ახლა მომქმედ კონსტიტუციაში.

ახალმა კონსტიტუციამ, რომლის შესაქმნელადაც დიდი მუშაობა წარმოებს, უნდა ასახოს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ახალი ნიშნები კომუნიზმის ფართო მშენებლობის ფრონტზე.

გავა სულ მცირე ხანი, — ორი ათეული წელიწადი—და ყოველი საბჭოთა ადამიანი ზეიმით იტყვის — მე კომუნიზმის დროს ვცხოვრობ.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიული პლენუმი

გასული თვის ბოლოს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მან განიხილა საკითხი — საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა. ამ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

ხუთ დღეს გრძელდებოდა პლენუმი. ხუთი დღის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის ფართო წრეები დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ლენინური პარტიის შტაბის მუშაობას, რომელიც იხილავდა კომუნისტური მშენებლობის ძირითად საკითხებს და სახავდა შემდგომი მუშაობის ნათელ პერსპექტივებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ფართო ადგილი დაეთმო XXII ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდსა და კომუნიზმის შენების პირველ შედეგებს. „მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნას, რომელმაც უკვე მოგვცა საგრძნობი შედეგი,—ნათქვამია მოხსენებაში,—ჰქონდა არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც. როცა ამ გარდაქმნას ახორციელებდა, პარტიამ გადაჭრით დაამსხვრია საქმისადმი უწყებრივ-ბიუროკრატიული მიდგომის ბევრი მოძველებული ფორმა, რომლებიც შეიქმნა სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სერიოზულ მუხრუჭად გადაიქცა“.

ამხ. ხრუშჩოვმა დაწვრილებით ილაპარაკა შვიდწლიანი გეგმის ოთხი წლის შესრულების ზოგიერთი შედეგის შესახებ და შემდგომი წლების პროგრამის განსახორციელებლად დასახა კონკრეტული გზები. შემდეგ მომხსენებელი შეეხო პარტიული ორგანოების ახლანდელ სტრუქტურასა და ნაკლოვანებებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში „ამოცანა ის არის, რომ გამოვნახოთ უკეთესი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სწორად გამოვიყენოთ პარტიული და საბჭოთა კადრები, მეცნიერულ-ტექნიკური მუშაკები ეკონომიკის ყველა დარგში, უკეთ მოვაწყოთ მათი მუშაობა,—თქვა ამხ. ხრუშჩოვმა.—ამ ღონისძიებათა შედეგად შევძლებთ ავამოქმედოთ ჩვენი რეზერვები, ჩავაყენოთ ისინი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებისა და მის მიერ მიღებული საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელების სამსახურში“. ამის შემდეგ მომხსენებელმა დეტალურად განიხილა პარტიული ხელმძღვანელობის ახალი სტრუქტურის საკითხები.

მოხსენებაში ფართო ადგილი დაეთმო ტექნიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციასა და ეკონომიური მშენებლობის მართვის სრულყოფას.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და რიგითმა მუშაკებმა, მოწინავე მუშებმა და კოლმეურნეებმა, მეცნიერებმა.

უკანასკნელ ხანებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად არა ერთხელ განიხილა ნოემბრის პლენუმზე დასმული საკითხის ყველა დეტალი. ნოემბრის პლენუმმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პრეზიდიუმის მიერ განხილულ და გამომუშავებულ საკითხებს სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის სიახლეებზე.

პლენუმზე სიტყვით გამოსულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ილაპარაკა ჩვენი რესპუბლიკების მიღწევებზე XXII ყრილობის შემდეგ, იმ შრომითი აღმავლობაზე, რომელიც სუფევს საკოლმეურნეო მინდვრებსა და რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა შორის. მან ილაპარაკა ქართველ მეჩაიეთა დიდ წარმატებებზე, რომელთაც სამშობლოს 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ჩააბარეს.

„შეგვიძლია განვუცხადოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, — თქვა ამხ. მჟავანაძემ, რომ ჩაის კრეფის მიღწეული დონე ზღვარი არ არის და პარტიისათვის მიცემულ სიტყვას, რომ მოვკრეფთ 200 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, უთუოდ შევასრულებთ, 1965 წლისათვის არც ეს იქნება ზღვარი“.

პარტიის ნოემბრის პლენუმმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო მიიღო დადგენილება.

პლენუმმა მოიწონა სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის ღონისძიებანი. პლენუმმა საჭიროდ ჩასთვალა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების რეორგანიზაცია თავიდან ბოლომდე, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს საწარმოო პრინციპი, და ამ გზით უზრუნველყოფილი იქნეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობა. შეიქმნება ამჟამად არსებული მხარის, ოლქის ფარგლებში, როგორც წესი, ორი დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაცია. ეს ორგანიზაციები, შესაბამისად, გააერთიანებენ მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში მომუშავე კომუნისტებს, ხოლო მეორე გააერთიანებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საცდელ სადგურებში, დამამზადებელ და სხვა ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სახალხო მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო ხელმძღვანელობის ბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ბიუროს შექმნა.

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის საკითხების გადაჭრასა და დარგობრივი ბიუროების საქმიანობის კოორდინაციისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში არჩეულ იქნეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

პლენუმის დადგენილებით შეიქმნება საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები, ნაცვლად პარტიის სასოფლო რაიკომებისა.

1962 წლის დეკემბერსა და 1963 წლის იანვარში ახალი პარტიული ორგანოების ასარჩევად გაიმართება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული ორგანიზაციების კონფერენციები, აგრეთვე საქალაქო, რაიონული კონფერენციები ქალაქებში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პარტიულ ორგანიზაციათა და სამხარეო კონფერენციები.

პლენუმმა მიიღო დადგენილება მრეწველობის, მშენებლობის, სამეურნეო მართვისა და დაგეგმვის დარგში რიგი ღირსშესანიშნავი ღონისძიებების ჩასატარებლად.

პლენუმის დადგენილებით გარდაიქმნება კონტროლის სისტემა ჩვენს ქვეყანაში და მას საფუძვლად დაედება ლენინური მითითება, რომ უნდა შეერთდეს პარტიული და სახელმწიფო კონტროლი. შეიქმნება ერთიანი მუდმივად მოქმედი კონტროლის სისტემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მშრომელთა ფართო მასები.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა აირჩია ამხ. ლ. ნ. ეფრემოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად. პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადაიყვანა ამხანაგები ვ. ი. პოლიაკოვი და ა. პ. რუდაკოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია:



პლენუმის მონაწილენი — ვ. გაგანოვა და ე. სოლომონია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად — ამხ. ა. პ. რუდაკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ბიუროს თავმჯდომარე;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად—ამხ. ვ. ი. პოლიაკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ბიუროს თავმჯდომარე;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად — ამხ. ი. ვ. ანდროპოვი;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად — ამხ. ვ. ნ. ტიტოვი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორგანიზაციულ-პარტიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ნ. დემიჩევი დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის ბიუროს თავმჯდომარედ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. თ. ილიჩოვი დამტკიცებულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური კომისიის თავმჯდომარედ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ნ. შელეპინი დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა გარდაქმნას სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ კომისიად.

პარტიული კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. ნ. მ. შვერნიკი, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — ამხ. ზ. ტ. სერდიუკი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს ერთსულოვანი მოწონებით შეეგება მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, მთელი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობა.

ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებით ჩვენი სამშობლო კიდევ უფრო დაიახლოვებს მშრომელი კაცობრიობის სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 12 (137) დეკემბერი, 1962 წ.

გამოცემის XII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

72

ჯჯვ31


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო თ. არჩვაძისა

მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ეცადაშვილი.

# დღეს კოლმეურნეობის კანტორაში კრებაა

თ. ქავთარაძე

როცა პარტორგანიზაციის მდივანმა ოთარ თენაძემ უთხრა პაპა პავლეს, დღეს ღია პარტიული კრებაა და კარგი იქნება შენც დაგვესწრო, მოხუცმა თეთრად გაჯაგრული ნიკაპი მოიქექა და ჩაფიქრდა.

ამ კრების შესახებ ჯერ კიდევ გუშინ გაიგო პაპა პავლემ. გიუნაანთ ელიოზა, სოფლის კომკავშირელების თავკაცად რომაა არჩეული, გოგო-ბიჭებში ჩამდგარიყო და იქადნებოდა — შავი დღე დაადგებათ ხვალ ჩვენი სოფლის მუქთახორებსო.

კარგია თუ ასე მოკიდეს ხელი უქნარებსა და ზარმაცებს. აი, ოთხმოცი წელი მოიყარა პაპა პავლემ და ერთი დღე არ ახსოვს უქმად გატარებული. თავისი დღე და მოსწრება შრომაში დალია, შრომით მოეწია წუთისოფელს და, აბა, როგორ არ უნდა დალოცოს ისეთი ცხოვრება, როცა ხელმადლიან და გამრჯე კაცს გულიც სავსე აქვს და ჩარან-ბელელიც.

ჰოდა, ასეთ ცხოვრებას რომ კაცი უღალატებს, უნდა აიღო და სანაკელოზე უკრა თავი.

პაპა პავლეს თვალწინ გაიფურჩქნა სოფელი. მის დღეში რომ თბილ კერიას იყვნენ მონატრებულნი, ახლა ორ-ორ სართულიანი დარბაზები წამოიჭიმეს ფლაველებმა. მერე აღარ იტყვით როგორ მორთეს და მოაწყეს? შეხვალ, გამოსვლა აღარ მოგინდება. გლეხკაცის ოფლს ხომ ფასი დაედო და დაედო. ჯერ შარშან იყო და 4,5 კილოგრამი მარცვალი და 1 მანეთი ფულად გაანაწილეს შრომადღეზე, წელს არის და 5 კილოგრამი მარცვალი, 1 მანეთი და 40 კაპიკი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გაიცა. კოლმეურნეობის მანქანით მიზიდა პაპა პავლემ თავისი ჭირნახული შინ. მაშინ იყო ჯავახაანთ ესტატე რომ სახრით გამოუდგა თავის ბიჭს — ამ ბერიკაცმა მაინც როგორ უნდა გაჯობოსო. ჰაი-ჰაი, რომ პაპას რქაცა ხნავს და კიდეც მოხრცავს ცხვირს ემაგნაირ მუქთახორებს. ვერა, ვერ გამოუვიდა ბიჭი ესტატეს, ქუდი რომ გადაუგდო, მინდორში არ გადასცდება ფეხი. თუ ამ კრებაზე მოხვდა, ერთი გვარიანად უნდა შეჯოროს პაპა პავლემ ისიცა და იმის ავანჩავანებიც. არა, შვილოსა, საცა გორის რაიონში ორ წელმაგარ არტელს იტყვიან, იქ ფლავის კოლმეურნეობასაც ახსენებენ ხოლმე, და ამ ერთი-ორ უნდილ მამლაყინწას როგორ უნდა შეარცხვენინონ ახლა თავი...

კრება შებინდებისას გაიმართა კოლმეურნეობის კანტორაში.

სიტყვა პირველად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შოთა ეცადაშვილმა აიღო. ახალგაზრდა კაცია შოთა. ჯერ ოცდაოთხი წლისაც არ იყო, სოფელმა რომ თავის წინამძღოლად აირჩია. პაპა პავლეს ახლაც ახსოვს მოუსვენარი თმახუჭუჭა ბიჭი, ღიჭიანებში რომ უყვარდა ტოლებთან კაკლაობა. დახეთ ახლა, რა ვაჟკაცი დადგა! ამ ხუთიოდე წელიწადში ისე დააყენა საქმე, ფლაველებს თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ მოისვამენ.

— ჩვენაო, — ამბობდა შოთა ეცადაშვილი, — ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ შრომის ორგანიზაციას. ყოველ კოლმეურნეზე გავაპიროვნეთ ნაკვეთები, კარგი მოსავლისათვის პრემიები დავაწესეთ. ამან, როგორც იცით, კარგი ნაყოფიც გამოიღო. მარტო გასულ წელს პრემიის სახით 200 ტონა სიმინდი გაიცა ტაროთი. თანაც თუ წინათ ჰექტარზე მარცვლად თხუთმეტ ცენტნერ სიმინდსაც ვერ ვიწევდით, წელს გვალვების მიუხედავად 38 ცენტნერსაც კი გადავაჭარბეთ. განა იმაგ გასულ წელს არ იყო, რომ პრემიის ჩათვლით შრომადღეზე 8 კილოგრამი მარტო სიმინდი გავეცით?

დარბაზი ახმაურდა. მართალია, მართალიო, დაიძახეს ყოველი კუთხიდან.

— წლევანდელისა კი რა უნდა გითხრათ, — გაიღიმა თავმჯდომარემ, — წლევანდელისა ჩემზე უკეთ იცით, მარტო სიმინდს პრემიების ჩათვლით ალბათ ათ კილოგრამს გავცემთ შრომადღეზე. ასე რომ, ვინც ერთგულად და პატიოსნად შრომობს სოფლისთვის, სოფელიც იმისაა და სოფლის პატივისცემაც.

— შორს რად წავიდეთ, — განაგრძო შოთა ეცადაშვილმა, — აი, ჩვენი ბაგრატა ავილოთ, გიუნაშვილი. წელს მარტო პრემიის სახით ერთ ტონამდე სიმინდი ერგო. გიორგი გიუნაშვილს რვაას კილოგრამზე მეტი, ნიკა ჯოჯიშვილს შვიდას კილოგრამზე მეტი. რომელი ერთი დავასახელო. შრომობენ და ალალი იყოს მათზე. ეს სწორედ ის საქმისათვის თავდადებული ადამიანები არიან, რომელთა შესახებაც ლაპარაკობს თავის წერილში ნადეჟდა ზაგლადა. ასეთი ადამიანია კატო ნიკოლაშვილიც. აქ არის კატო?

კატო ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო მინდვრიდან. პამიდორს კრეფს, რთვილს უნდა დავასწროო, წამოიძახეს დარბაზში. „აგაშენა ღმერთმა, — გაიფიქრა პაპა პავლემ, — რითაა ნაკლები ზაგლადაზე. ეჰ, ყველას რომ ასე შესტკიოდეს გული საქმისათვის!“

— იმას ვამბობდი, — თქვა თავმჯდომარემ, — კატო უკვე ხანში შესული ქალია, მაგრამ შეხედეთ, რამდენს ასწრებს. ოჯახს ოჯახად უვლის, სოფლის საქმეშიც არავის დაგვივარდება. პამიდორი იყო და ოთხ დღეში იმდენი მოკრიფა, მარტო პრემიის სახით 20 მანეთი ერგო. ხილი იყო და, კარგად იცით, დღეში 800 კილოგრამამდე კრეფდა ხილს. ხუთი დღე კრიფა და მარტო პრემიად 34 მანეთზე მეტი მიიღო. ასე უნდა მუშაობა. რომელ კაცს ჩამოუვარდება კატო. ის კი არა, კაცებიდან ზოგი ვერც გაეტოლება. ავილოთ, დავით მეტრეველი,



— შრომითა და გარჯით ვართ, შვილო, კაცური კაცები, — ამბობს პაპა პავლე.

ჯანი აკლია თუ მკლავი, რომ ვერ იქნა და დღეში 100 კილოგრამზე მეტი ვერ მოკრიფა. არა, დავითს ჯანიც მაგარი აქვს და მკლავიც, მაგრამ გულს არ აყოლებს საქმეს, ავიწყდება, რომ კოლმეურნეობის დოვლათის ზრდით მისი ოჯახის დოვლათიც იზრდება.

— თავს უფრთხილდება, სიბერეში გამომადგებაო! — იხუმრა ვიღაცამ უკანა რიგებში. დარბაზში გაეცინათ. პაპა პავლემ კისერი წამოყინჩა და ხალხს თვალი მოავლო. წელან სადღაც კუთხეში მოჰკრა დავითს თვალი. ახლა კი არსად ჩანდა, ალბათ თავჩაღუნული იჯდა კაცი და მლაშე კურცხლებივით ყლაპავდა თავმჯდომარის საყვედურებს.

თავმჯდომარემ ხელი გადაისვა ხუჭუჭა თავზე და მკაცრად გადახედა დარბაზს.

— კარგი იქნებოდა, ჯუმბერ ბიძიონაშვილიც რომ ყოფილიყო აქ, — განაგრძო მან, — რა მადლი აქვს მის ყოფნას ჩვენს კოლმეურნეობაში. ერთ კვირას წაიმუშავებს, სამ თვეს მხართეძოზე წამოწოლილი ატარებს. ან აი, მალესტა ტერაშვილი ავიღოთ. რა სინდის-ნამუსზე, რა პატიოსნებაზე უნდა ილაპარაკოს ასეთმა კაცმა, ბაზარ-ბაზარ ხეტიალში რომ ამოსდის სული. ცოცხალი ლეშივითაა ასეთი ადამიანი, არც თავს არგია და არც სხვას. ასეთ კაცს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს სოფელში.

ბოლმამორეული ლაპარაკობდა შოთა ეცადაშვილი. ხალხი ხან ყურდებოდა, ხან მოვარდნილ ტალღასავით აგრიალდებოდა და დიდხანს ვეღარ შოშმინდებოდა. რაზე არ ლაპარაკობდა თავმჯდომარე: თვითეული კოლწევრის წლიურ შემოსავალზე, რაც წელს საშუალოდ 2000 მანეთს აღწევს, ხოლო მერმის 3000 მანეთამდე გაიზრდება; მეცხოველეობაზე, რომელმაც 70 ათასი მანეთი მოგება უნდა მისცეს კოლმეურნეობას გაისად; კოლმეურნეობის თავკაცებზე, რომლებიც ისევე უნდა მუშაობდნენ ბაღ-ვენახებში, როგორც არტელის ყველა რიგითი წევრი, შრომის აღრიცხვის უკეთ მოწყობაზე, რომ უფრო ნათლად ჩანდეს, ვინ უფრო გამრჯეა და ვინ არაფრის მაქნისი.

როცა სიტყვაში გამოსული მტკივნეულ საკითხს ეხება...



ბევრ რამეზე ილაპარაკა თავმჯდომარემ. რომ გაათავა, თითქმის ყველამ ერთად მოინდომა სიტყვაში გამოსვლა. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ. პირველად მაინც კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ელიოზ გიუნაშვილი გამოვიდა წინ. სოფლის ახალგაზრდობაზე ლაპარაკობდა ელიოზი. პაპა პავლეს ჩუმად ეღიმებოდა ულვაშებში. ღელავდა ყმაწვილი, ხამი იყო ასეთ კრებაზე გამოსვლაში კომკავშირელთა ახლად არჩეული მდივანი და უჭირდა აზრის დალაგება.

— ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა აღფრთოვანებით ეხმაურება ნადეჟდა ზაგლადას მოწოდებას, — დაიწყო ელიოზმა, — ჩვენს კოლმეურნეობაში ზაგლადას ბევრი მიმდევარია, რომლებსაც გული ეწვით საერთო საქმისათვის და თავს არ იშურებენ სოფლის საკეთილდღეოდ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც გვარცხვენენ თავიანთი მცონარებით. მართალია, ცოტანი არიან, მაგრამ ეგრე გვიფუჭებენ სახელს, როგორც წვეთი კუპრი აფუჭებს ხოლმე თაფლს.

— ვინ არიან, რატომ არ ამბობ?

— თქვი, ნუ გეშინია! — მიაძახეს აქეთ-იქიდან ენაწაბორძიკებულ ყმაწვილს.

— მე არავისი არ მეშინია! — გაჯავრდა უცებ ელიოზი, — იმათ ეშინოდეთ, ვინც სხვისი ხელების შემყურეა! განა თქვენ თვითონ არ იცით, ვინც არიან? ჰა, ჰკითხეთ ტარას საბანაშვილს რატომ არ გამოჰყავს სამუშაოდ თავისი ქალიშვილი ნაზო, ან რატომ არ მუშაობენ ჩვენს გვერდით მზია გაჩეჩილაძე, ვალიკო ოთარაშ-



— ხვალიდანვე უნდა გამოვიყვანოთ უქნარები სამუშაოდ — მოითხოვა მეექვსე ბრიგადის ბრიგადირმა ილო თენაძემ.

ვილი, ედუარდ ეკადაშვილი, ციცინო ხიდაური, ლიდა მეტრეველიც ახალი მთვარესავით გამოჩნდა კოლმეურნეობაში, ძლივს გამოიმუშავა რაღაც ორიოდე შრომადღე და გაქრა. ერთხელ კიდევ უნდა გავაფრთხილოთ ასეთი მცონარები, დაიწყებენ მუშაობას, ხომ კარგი, არა და ჩვენი სახელისა და ღირსების შერცხვენას აღარავინ აპატიებს მათ.

ელიოზის შემდეგ სიტყვა მეექვსე ბრიგადის ბრიგადირმა მუხასავით ჩასხმულმა და ჯმუხმა ილო თენაძემ მოითხოვა. ვაჟკაცი კაცია ილო, მუშაობაც გულიანი იცის და, გაგიხარია, დასვენებაც. იმანაც სოფლის უქნარებზე ილაპარაკა: ჩემს ბრიგადაში კაცს ვერ ნახავთ, რომ ცუღლუტობით მოინდომოს ღელოს გატანაო.

— ხვალვე უნდა გამოვრეკოთ სამუშაოზე ყველა უქნარა, არ იმუშავებენ? მაშინ ჯანდაბაშიაც გზა ჰქონიათ, მაგათი ფეხიც არ იქნება ჩვენს სოფელში!

ისევ ახმაურდა დარბაზი, ისევ აარაკუნა გაიოზ გიუნაშვილმა გრაფინზე ფანქარი.

— სიტყვა ეძლევა პავლე ხოსიაშვილს! — თქვა გაიოზმა. თქვაო, ვამბობთ, თორემ პაპა პავლესთვის თოფის გავარდნასავით იყო კრების თავმჯდომარის ხმა. არ ელოდა ასე მალე თუ ეტყოდნენ, სიტყვაში გამოდიო. მაინც იხტიბარი არ გაიტეხა პაპამ, დინჯად წამოდგა, ულვაშები გაისწორა, ჩაახველა.

— მთელი ჩემი სიცოცხლე მიწასთან ომსა და ბრძოლაში დავლიე, — ასე დაიწყო პაპამ, — მიწას უყვარს, როცა ებრძვი, როცა ეპატრონები და ოფლსა ღვრი. რამდენ ოფლსაც დაღვრი, იმდენი მეტი ბარაქა ედება შენს შრომასაც. ეს მიწა და ეს შრომა გვაცხოვრებს ჩვენ, ამითა ვართ ჩვენ კაცური კაცები, ამით გვახურია ქუდი თავზე, აბა რა კაცია ის, ვინც შრომას გაურბის? რა კაცია-მეთქი, აი, შენ გეკითხები, ბიჭო გურამ, იქნებ შენ მიპასუხო? მე სხვებს ვერა ვხედავ, ე ბიჭი კი აქვე ყურის ძირას მიზის და იმიტომ გეკითხები. მამაშენი ესტატე ჯვახი გამრჯე კაცია და შენ რა ღმერთი გაგიწყრა, ან იქნებ მამაშენს გაუწყრა ღმერთი და მუქთა ჭამას დაგაჩვია, ჰა? რა გიჭირს, შვილო, ახალგაზრდა კაცი ხარ, ეხლა რომ ცხოვრებას გვერდს უქცევ, ხომ არ გგონია როდისმე მოეწევი მერე?

წინა რიგში ჩამჯდარ ქოჩორა ბიჭს ალი აუვიდა ყვრიმალებზე, იჯდა თავჩაღუნული, შერცხვენილი და ნერვიულად აწვალებდა ხელში ასანთს.

— ჰო, მინდოდა კიდევ იმის თქმა, — პაპამ ფეხი მოინაცვლა, ოდნავ დაუწია ხმას, — აი, ახლებურად რომ დავიწყეთ მიწის ხვნა გაზაფხულზე, არ მომწონს, სიმართლე გითხრათ, რაც ჩემი თავი მახსოვს და მამაპაპისგანაც გამიგია, შემოდგომაზე მზრალად მოხნულს გაზაფხულზედაც გადმოვაბრუნებდით, ჩავყრიდით მარცვალს და დავფარცხავდით. ახლა გაზაფხულის პირს ხნულს ოდნავ მოვფხანთ პირს, ბალახს მოვაცლით და ეგ არი, თესვაც მაშინ იწყება. რად ვუღალატეთ ჩვენს წესს მითომ, რისთვისაო?

— ეეჰ, — ამოიოხრა ვიღაცამ დანანებით, — ახლა კი არა ხარ მართალი, პაპა პავლე, ვერ გაგიგია ახალი მეთოდისა!

— რა ვერ გამიგია, ბიჭო? ტყვიაველებსაც ვერ გაუგიათ, რომ ძველებურად ხნავენ და თესენ? იქ აღარა ჰყავთ ჭკვიანი ხალხი?

— ჰყავთ, მაგრამ ვერც იმათ გაუგიათ! — წამოიძახა ახლა სხვამ, — სულ ერთია, ადრე თუ გვიან ისინიც ჩვენს კვალს დაადგებიან.

— ადგილიდან ნუ კი ლაპარაკობ, ვანო, გამოდი და აქედან უთხარი ხალხს სათქმელი, — წამოიძახა კრების თავმჯდომარემ, — სიტყვა ვანო გიუნაშვილს ეკუთვნის!

— მე მგონია პაპა პავლე მართალი არ არის, — გამოვიდა წინ გიუნაშვილი, — რომ ამბობს ტყვიაველები ძველებურად ხნავენო, ჩვენ ტყვიაველებს ნუ კი ვუცქერით, ხნავენ და აკი არც უვარგათ მოსავალი. გაზაფხულზე მიწის აოშვა იმისათვისაა კარგი, რომ მიწა ზამთარში დაგროვილ სინოტივეს ინარჩუნებს და თესლიც უკეთ ხარობს. რომ გადმოაბრუნო ძველებურად, სინოტივე ზემოდ ამოდის, მიწა ფიცხდება და აღარც თესლი ხარობს ჯეროვნად. ანგარიშს საქმე არ არის? წელს ტყვიაველებმა სიმინდი ჰექტარზე 10–12 ცენტნერი მიიღეს, ჩვენ კი 38 ცენტნერი, ჭარხალი იმათ 250 ცენტნერი, ჩვენ კი 700 ცენტნერი. რომელი ჯობია? არა ჯობია ახალი მეთოდი?

ვანოს შემდეგ სიტყვა მეხუთე ბრიგადის ბრიგადირმა პიმენ ეცადაშვილმა აიღო, მერე პირველი ბრიგადის ბრიგადირი რეზო ბასილაძე, ჩიტო ფოსური, მოწინავე მეღორე ნინო კილიშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ გოგშელიძე გამოვიდნენ. ყველამ მხარი დაუჭირა ვანო გიუნაშვილს, მერე კი ისევ უსაქმურებსა და უგულოდ მომუშავეებს მიდგნენ. წარბშეკრული იჯდა პაპა პავლე. ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისთვის ასეთი დაუფიქრებელი გამოსვლა, ეს რა ღმერთი გამიწყრა, რატომ არ გამახსენდა, რომ მოსავლიანობაში მართლაც ვაჯობეთ ტყვიაველებსო. გვიან გამოერკვა ფიქრში წასული.

ვახტანგ გოგშელიძე ლაპარაკობდა:

— საქმე ჩვენია და ჩვენი გული უნდა დავაწუროთ ზედ. ისე რომ ვმუშაობდეთ კოლმეურნეობაში, როგორც აი თუნდა ჩვენს საკარმიდამო ნაკვეთში ვმუშაობთ ხოლმე, კიდევ უფრო ღონივრად და წელმაგრად ვიცხოვრებთ ყველა. აი ჩემი სეხნიის ვახტანგ იოსებისძე გოგშელიძის მაგალითი ავიღოთ. მასზე გაპიროვნებულ ნახევარ ჰექტარ ნაკვეთზე 3700 კილოგრამი სიმინდი მიიღო, აქედან მას პრემიის სახით 1700 კილოგრამი ერგო, ახლა მითხარით, თავის საკარმიდამო ნაკვეთში რომ თავი მოეკლა, ამდენ მოსავალს მოიწევდა? არ ჯობია ასე გულდაგულ იმუშაოს ყველამ კოლმეურნეობაში?

— ჯობია! მართალია! — აღარ ცხრებოდა ხალხი.

ასე გაგრძელდა გვიან ღამემდე. დადგენილებაც ერთხმად მიიღეს — ყველა მცონარა და შრომაზე ხელაღებული ერთი კვირის მანძილზე იქნან გამოყვანილნი სამუშაოდ, შემოღებულ იქნას დაფა, სადაც აღნიშნული იქნება ყველა, ვინც ერთგულად არ მოეკიდება საკოლმეურნეო შრომას და ჩამორჩებიან სხვებს სახალხო დოვლათის შექმნაში. ისინი, ვინც კვლავ აარიდებენ თავს კოლმეურნეობაში მუშაობას და კვლავ შეარცხვენს პატიოსანი საბჭოთა მშრომელის სახელს, გასახლებულ იქნან სოფლიდან.

ხმაურით დაიშალა კრება, ოროღობეებში ციცინათელებივით აკიაფდნენ პაპიროსები. პაპამაც მოუკიდა ყალიონს, ათიოდე ნაბიჯით რომ გამოსცდა კანტორას, უკან მიიხედა. კანტორიდან ჯერ კიდევ გამოდიოდა ხალხი. ელნათურით გაჩირაღდნებულ კიბეზე ახალგაზრდები ჩამოდიოდნენ და რაღაცაზე ხმამაღლა იცინოდნენ.

„თქვენია, შვილო, ცხოვრება, თქვენი, რატომაც არ უნდა იცინოთ, რატომაც არ უნდა იხაროთ და იმარჯვოთ!“

ეჰ, რა დროს მოუსწრო პაპა პავლეს სიბერემ, სადაა სამართალი!

—ვიცით, გრცხვენია, გურამ ჯავახო, მაგრამ ვისი ბრალია?



ზღვისპირა ქალაქის თავზე ჯერ ერთი თვითმფრინავი გამოჩნდა, სავარცხელას პატარა კონცხთან წრე გააკეთა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაუტია.

არავის ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ომის დაწყებიდან პატარა თვითმფრინავიც უნახავთ და დიდიც. მოშორებით, ზღვის ჰორიზონტზე, მტრის თვითმფრინავებიც შეუნიშნავთ. მათი გამოცნობა ადვილი იყო: უცხოური მანქანის ძრავა წყვეტილად გამოსცემდა ხმას, ფრთების კონსტრუქციაც საკმაოდ განსხვავდებოდა სამამულოსაგან.

დიახ, ის ერთი თვითმფრინავი არავის შეუმჩნევია. ან რატომ მიაქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას? ყველა თავის საქმით გართულიყო. მხოლოდ სოფლის სამეთვალყურეო პუნქტიდან მორზეს ანბანმა პატარა ქალაქს აუარა გვერდი და თვითმფრინავის ფრენის მარშრუტი სარდლობას მოახსენა.

ხუთმა საათმა განვლო. მზემ ზენიტს მიაღწია. ზღვა სარკესავით ლაპლაპებდა. ერთფეროვნებას მხოლოდ რეიდზე მდგარი გემი „პიონერი" არღვევდა, ისიც იმით, რომ საკვამლე მილებიდან თხელი ბოლი ამოდიოდა და ნელა ეფინებოდა ზღვის კამკამა ზედაპირს. „პიონერი" არ ჰგავდა რომელიმე სხვა გემს. ორი კოშკურა ამშვენებდა მის გემბანს, კაპიტნის ხიდიც ზომაზე მაღალი ჩანდა... შორი მანძილიდან სასახლეს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ხომალდს.

ქალაქის მცხოვრებლები ბევრჯერ დამტკბარან მისი ცქერით. თვითეულმა მათგანმა იცოდა, ვინ იყვნენ ამ გემის მუდმივი მგზავრები. ამ ხომალდით მრავალგზის გაუცილებიათ თავიანთი პირმშოები არტეკისაკენ.

**კოტე ლოლაძე**

# იმინე

**ნამდვილი ამბავი**

მხატვარი მ. დურგლიშვილი

ადრე „პიონერის" გამოჩენისთანავე ბავშვების ჟრიამული ატყდებოდა ხოლმე: ყველანი რეიდ-სადგურისაკენ მოჰკურცხლავდნენ. სადგურის მოედანზე მოუთმენლად ელოდნენ კატერისა და ნავების გამოჩენას, სურდათ გემბანზე გაესეირნათ, კაიუტებში შეეჭვრიტათ ან სამანქანოში ჩამძვრალიყვნენ. ბავშვთა ჟრიამულს ხშირად დოლის, დაფდაფისა და საყვირის ხმა დაარღვევდა. მოედანზე ქალაქის პიონერთა კოლონები შემოიჭრებოდნენ. პიონერები მწყობრი ნაბიჯებით გადაკვეთდნენ მოედანს. ნავსადგურის იმ ხიდზე გამწკრივდებოდნენ, რომელიც ზღვაში იყო შეჭრილი და დაფიონებით აცილებდნენ არტეკისაკენ მიმავალთ.

ახლა „პიონერი" სხვა მგზავრებს ელოდა. საღამოს ექვს საათზე ლენინგრადიდან ევაკუირებული მეცნიერ მუშაკები, სახელოსნო სასწავლებლების მასწავლებლები და მოსწავლეები უნდა გადაეყვანა ბათუმის ნავსადგურში...

მეორე თვითმფრინავი დღის პირველ საათზე შემოიჭრა ქალაქში და უმალ გაჰქრა. მას მოჰყვა მესამე, მეოთხე... დღის ოთხ საათამდე ზუოდნენ და დაჰქროდნენ, ზოგჯერ ისე ძირს დაეშვებოდნენ, რომ მფრინავის სახეს კაცი გარკვევით გაარჩევდა.

ჰიტლერელთა ესკადრილიები შემდეგ ზედიზედ შემოიჭრნენ და მნიშვნელოვანი ობიექტები დაბომბეს. ნამდვილად ქალაქში მტრის დაზვერვა მუშაობდა. ფრთხილად და სწრაფად უნდა გვემოქმედნა. საქმე რთულდებოდა. გენერლის ბრძანებით სასწრაფოდ გამოიძახეს დაზვერვის გამოცდილი მუშაკები და მათ შორის ჩემი მეგობარი მეჯიდ ბუთბაც. საჰაერო თავდასხმა ორი საათი გაგრძელდა. შემდეგ ორი დღე ისევ სიჩუმე ჩამოდგა. ლენინგრადელი მოქალაქეების ევაკუაცია რამდენიმე დღით შევაჩერეთ. „პიონერი" ბუხტას შეეფარა.

მეჯიდ ბუთბა სანჩაროდან დილით დაბრუნდა. უღელტეხილთან შექმნილ მდგომარეობაზე მესაუბრებოდა. ბუთბა ღელავდა, თუმცა ცდილობდა არ შეემჩნია. ტუაფსედან ბზიფის ხეობამდე გზა სამხედრო ნაწილებითა და ლტოლვილებით გაიჭედა. მათ დასახმარებლად გამოყოფილი ტრანსპორტი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

მეჯიდს დაავალეს მატარებლის რამდენიმე შემადგენლობა გაემზადებინა ლტოლვილების ზურგში გასაგზავნად.

ერთი საათის შემდეგ მეც გავჩნდი მასთან. ბაქანზე სამხედრო კომენდანტი შემხვდა, უძილობისაგან დაწითლებულ თვალებს ძლივს ახელდა. ეს ფოლადივით ჩამოსხმული კაცი ამ ორ დღეში საოცრად მოტეხილიყო, ძლივს დალასლასებდა. ჩემს მისალმებაზე შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაიხედა და მითხრა:

— კიდევ ორი საათი თუ არ გვაცალეს, საშინელება დატრიალდება...

კომენდანტმა თამბაქო მომაწოდა და სამორიგეო ოთახისაკენ გასწია. ამ დროს მეჯიდი დავინახე. დავინახე და მისკენ გავეშურე. ასანთი გავკარი, ის-ის იყო პაპიროსისათვის უნდა მომეკიდებინა, რომ მეჯიდის მახლობლად მოხუც კაცსა და ახალგაზრდა ქალს მოვკარი თვალი. არ ვიცი, რატომ და გავიფიქრე: ეს ქალი უთუოდ თამბაქოს ეწევა.

— ინებეთ! — ვუთხარი მას და ასანთი ისევ გავკარი. ახალგაზრდა ქალი არ დაიბნა, ჯიბეზე გაიკრა ხელი, მუყაოს ყუთიდან პაპიროსი ამოიღო, შემომხედა და პაპიროსს მოუკიდა. საჩქაროდ მადლობაც გადამიხადა და კვალდაკვალ მიჰყვა მის თანამგზავრ მოხუცს, რომელსაც ათიოდე ნაბიჯით გაესწრო.

მეჯიდმა ახალგაზრდა ქალს გააყოლა თვალი და ამოოხვრით თქვა:

— ეჰ, რა გაეწყობა, ცოლიანი ვარ, თორემ...

— თორემ რას იზამდი? — შევეკითხე და თვალი დავადგი მილაკივით დახვეულ ქაღალდს, რომელიც ახალგაზრდა ქალს შეუმჩნევლად ამოუცურდა მუყაოს ყუთიდან პაპიროსის ამოღების დროს.

— მეჯიდ, თუ კაცი ხარ, ნახე, ეგ რა ჰილზი დაუვარდა, იმ შენს უცნობ საცოლეს?!

მეჯიდმა შეიშნო ჩემი სიტყვები. დაიხარა, ქაღალდი აიღო, გაშალა და ხმადაბლა მკითხა:

— იმ ქალისაა?

— დიახ!

— ნამდვილად მისია?

— ნამდვილად!

— მაშინ, თქვენც გასინჯეთ.

ქაღალდზე რაღაც ციფრები ალენიშნათ.

მეჯიდს დავავალე იმ ქალისათვის თვალი ედევნებინა. მე სადგურის უფროსის კაბინეტში შევედი და ციფრების ამოკითხვას შევუდექი. უთუოდ ეს ციფრები რაღაც საიდუმლოებას შეიცავდნენ. ცოტა დრო როდი მოვანდომე ნაწერის კირკიტს. შიფრზე მანამდეც მიმუშავნია. ამის ამოხსნა კი ძალზე გამიჭირდა. ჯარისკაცს ვუბრძანე მეჯიდისათვის გადაეცა: უცნობი ქალი დაეპატიმრებინათ. არმიის სარდალს დაუყოვნებლივ მოვახსენე გაშიფრული ბარათის შინაარსი...

მაინტერესებდა წინასწარი დაკითხვის შედეგი. ღამის პირველ საათზე კაპიტანმა კოზირევმა დამირეკა. თურმე პატიმარი დუმდა, ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებდა და პოდპოლკოვნიკ სოკოლოვისათვის რამდენიმე უხეში სიტყვაც ეკადრებინა. კოზირევმა მთხოვა, პირადად მე დამეკითხა ქალი. თანხმობა განვუცხადე და სოკოლოვის კაბინეტში შევედი.

პოდპოლკოვნიკი სავარძელში ღრმად ჩამჯდარიყო. ქალი ფეხზე იდგა. ცალი ხელით მაგიდას დაყრდნობოდა. წაბლისფერი თმა მხრებზე ჩამოშლოდა. მშვილდივით მოხრილი წარბები და ლურჯად მოელვარე თვალები ლამაზ, მაგრამ მრისხანე გამომეტყველებას აძლევდნენ. წყნარად მივუახლოვდი მაგიდას, პოდპოლკოვნიკს სალამი მივეცი და პატიმარს თვალი გავუსწორე. იგი შემოტრიალდა. რამდენიმე წამს მიცქეროდა. მისი თვალების ელვარება თანდათან გაქრა. სახე გაუფითრდა. კბილებით ტუჩები დაიკბინა. შემობრუნდა. სოკოლოვს ზურგი შეაქცია. რამდენიმე ნაბიჯი მაგიდის გასწვრივ გადადგა. ჯერ კუთხეში მიდგმულ მამაკაცის ქანდაკებას დააშტერდა, შემდეგ მე. სახის კუნთები გაქვავებოდა, თვალებში ცეცხლი ჩაქრობოდა.

ცოტა ხანიც და თავი დახარა, პაპიროსის კოლოფს დასწვდა.

— გთხოვთ ასანთი მომაწოდოთ, — თავაუღებლად მითხრა.

— ინებეთ!

ქალმა ასანთს დახედა, დიდხანს უცქირა. რაღაცნაირი ღიმილით დამიბრუნა. პაპიროსი გააბოლა.

პოდპოლკოვნიკს ვანიშნე გასულიყო. სოკოლოვმა გადმომხედა, წამით ჩაფიქრდა და კაბინეტიდან გავიდა. სიჩუმე რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ქალიშვილმა ამოიოხრა, სავარძელში ჩაჯდა და კვლავ ფიქრებს მიეცა. მყუდროება არ დამირღვევია. საინფორმაციო ბიუროს ცნობები ავიღე, გადავფურცლე. თან შეუმჩნევლად ვუთვალთვალებდი. სახე ეცვლებოდა — ხან მრისხანე, ხან კეთილი ჩანდა; სათნოდ, ბავშვურად, გულუბრყვილოდ იღიმებოდა. ერთ ხანს სინანულისა და დაღლილობის ზაფრამაც გადაურბინა შუბლზე.

დრო იყო დაკითხვას შევდგომოდი. ქალაქის სამხრეთ ნაწილიდან აფეთქების მძლავრმა ხმამ შემაჩერა. პირველს მეორე მოჰყვა და კარგა ხანს ალარაფერი ისმოდა. გაფითრებული სოკოლოვი კაბინეტში შემოვარდა.

— ვლადიმერ გიორგის-ძევ — მომმართა. — მოწინააღმდეგის ავიაცია ჩვენს ობიექტებს ბომბავს. თვითმფრინავთა ესკადრილიები გზატკეცილის გასწვრივ მოქმედებენ, ლტოლვილებიდან დიდი მსხვერპლია.

პატიმარი მცველებს ჩავაბარეთ, სასწრაფოდ დავტოვეთ კაბინეტი და იქითკენ გავწიეთ, საიდანაც სიკვდილის სუნი მოდიოდა. ცეცხლის ალით განათებული მიდამო გულშემზარავ სურათს წარმოადგენდა. თავზარდაცემული ლტოლვილები გზისპირას დაყრილიყვნენ. დახოცილთა გვამები ერთმანეთში არეულიყო. მე და სოკოლოვი ლენინგრადელი ბავშვების თავშესაფარისაკენ გავიქეცით. კუთხის სახლს გავცდით თუ არა, ჩვენს წინ უზარმაზარი შენობის ნაცვლად ხანძრის მთა აღიმართა. მხოლოდ რამდენიმე ბავშვილა გადარჩინათ. დანარჩენები ყუმბარებსა და ცეცხლს შთაენთქა. ცეცხლის ენები ცას წვდებოდნენ და გული სიმწარით გვევსებოდა. მოხდა ის, რისიც ყველაზე უფრო გვეშინოდა. სოკოლოვს გადავხედე. კაცისფერი აღარ ედო. დაბნეულობისა და სასოწარკვეთილების დრო არ იყო. დაუყოვნებლივ უნდა გვემოქმედნა, ადამიანები გადაგვერჩინა.

— პოლკოვნიკო! შენი რჯულიც... რატომ არ ებრძვით მათ, — მომესმა ვილაც მამაკაცის ხმა. მოვიხედე და ჩემს წინ მოხუცი იდგა.

— მშიშარებო... თქვენ მხოლოდ უკან ძუნძული შეგიძლიათ, — მოგვაძახა შუახნის ქალმაც და გაბოროტებულმა ფუთა მოგვაყოლა.

ხმაური, კვნესა, კივილი, ლანძღვა-გინება ერთმანეთში აირია. ჰიტლერელები განაგრძობდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას.

დილით შეწყდა საჰაერო თავდასხმა. დაჭრილები ჰოსპიტლებსა და ადგილობრივი მცხოვრებლების ბინებში მოვათავსეთ. მოხუცები, ქალები და ბავშვები ქალაქიდან გავიყვანეთ, უშიშარი გზებით ღრმა ზურგისაკენ გავგზავნეთ. დაღუპული ბავშვებისათვის საფლავი გავჭერით და გვამები შევაგროვეთ.

ზღვიდან ნელი სიო ჰქროდა. ახალგათხრილ საფლავებთან ქალაქის მცხოვრებლებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს მოეყარათ თავი. ნელ-ნელა იფარებოდა ფხვიერი მიწით ნორჩი სხეულები. ბოლმა მახრჩობდა. ვიღაცის ხელი ჩემს ხელს შეეხო. დავინახე ათი-თერთმეტი წლის ბიჭუნა... ტიროდა, სლუკუნებდა. ხელი მოვხვიე, ბავშვის მოცახცახე სხეული მომეკრა. გაინაბა. ფორმის ტანსაცმელით ვიცანი: ლენინგრადიდან ჩამოსულ მოსწავლეთა ჯგუფელი იყო. იაკობი რქმეოდა...

პატარა იაკობი, რომელიც თან წამოვიყვანეთ, ლასლასით მოაბიჯებდა. შტაბის შენობასთან სოკოლოვს გამოსამშვიდობებლად ხელი გავუწოდე. სოკოლოვი შედგა.

— ვლადიმერ გიორგის-ძევ, ერთი თხოვნა უნდა შემისრულოთ, ნუ გამაწბილებთ! — სოკოლოვის ამ სიტყვებში თხოვნაც ისმოდა და მუდარაც.

— თქვით, თქვით.

სოკოლოვმა შემომხედა, დაფიქრდა და განაგრძო:

— სამოცი წლისა ვარ, ორმოცი წელი არმიაში გავატარე, მარტოხელა მოვხუცდი. ეს ბავშვი ობოლია. დამითმეთ, შვილივით გავზრდი, —და ბიჭუნას ისე ჩაჰჭიდა ხელი, გეგონებოდათ, ვიღაცამ უნდა წაართვასო.

— რას იტყვი, მეჯიდ, — აფხაზურად შევეკითხე ბუთბას. — ბავშვი დავუთმოთ?

— იმ პირობით, პოლკოვნიკო, თუ იაკობს ჯერჯერობით ჩემს სოფელში გავგზავნით. იქ მას მზრუნველობას არ მოაკლებენ. ამასობაში მდგომარეობაც შეიცვლება. ისე, ყოველ კვირას შეგიძლიათ ბავშვის ნახვა. ჩემი სოფელი შორს არაა, თქვენ ხომ ბრძანდებოდით ჩემთან?



მოვითათბირეთ და შევთანხმდით: მეჯიდი სოფელში დღესვე წაიყვანდა ბავშვს. ბინისკენ გავეშურე. რამდენიმე საათს დავისვენე. კაპიტანმა კოზირევმა შემახსენა უცნობი მოქალაქის დაკითხვა. ფრონტის ხარდალი მოითხოვდა ამ საქმეს მეტად სერიოზულად მოვკიდებოდით.

საღამოს რვა საათზე პატიმარი კაბინეტში შემოიყვანეს. იგი მართალია, მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ სახე მეტისმეტად გაცრეცოდა. ლურჯი თვალები დანაღვლიანებოდა. მარცხენა ხელით თმის კულულს აწვალებდა. ოდნავ გადმოიხარა მაგიდისაკენ და წყნარი, მტკიცე ხმით მომმართა:

— პოლკოვნიკო! როდის დაიწყებთ? გთხოვთ წამებაც დააჩქაროთ და დასჯაც. ოღონდ ჩემს საქმეში იმ ბებერ სოკოლოვს ნუ ჩარევთ. მეზიზღება, საძაგელია, უპირო. მან... — და სიტყვა არ დაამთავრა, მთელი სხეული აუკანკალდა.

რაში იყო საქმე? საიდან იცნობდა სოკოლოვს? ან რატომ ჰქონდა მას ასეთი ნაცნობი სახე. სად მინახავს იგი? ეს კითხვები მოსვენებას არ მაძლევდნენ და უცებ გამახსენდა... კოზირევს ვთხოვე, ჩემს ბინაში გაეგზავნა ვინმე და საოჯახო ალბომი მოეტანა... სურათები გადავათვალიერე. ნაცნობებთან გადაღებული ბიძაჩემის ერთადერთი სურათი ამოვიღე, დავაკვირდი... ვიღაც ქალს მუხლებზე უზის გოგონა. დიახ, დიახ, იგია. პატიმარი ქალი და ეს გოგონა პირდაპირ ასლებია. სხვას ყველას ვიცნობ. არა ერთხელ მომისმენია მამისაგან.

პატიმარს ვთხოვე სავარძელში ჩამჯდარიყო. ის-ის იყო დაკითხვა უნდა დამეწყო, რომ ის თვითონვე შემეკითხა.

— გთხოვთ მიპასუხოთ: ნუთუ არსებობს ადამიანი, რომელსაც სამშობლო არ უყვარს?

— იცნობთ ასეთ ადამიანს? — ვკითხე და შევხედე მის ლამაზ, ფერმკრთალ და ჯიუტ სახეს.

— დიახ... ერთი მათგანი თქვენი მეგობარია. თქვენ მას, როგორც ჩანს, დიდ პატივს სცემთ.

— ვის? — განცვიფრებით ვკითხე.

— პოდპოლკოვნიკ სოკოლოვს, — მომიგო მან.

— სოკოლოვი პატიოსანი და კეთილსინდისიერი პიროვნებაა, — შევედავე მე.

— მმ, პატიოსანი და კეთილსინდისიერი!.. არამზადაა და მეტი არაფერი.

— პირიქით, მტრისადმი შეურიგებელი და პირდაპირი, — მტკიცედ ვუპასუხე მე.

— ცდებით!

— არავითარ შემთხვევაში.

— ცდებით, საშინლად ცდებით, პოლკოვნიკო! მან ერთხელ გაჰყიდა თავისი სამშობლო. ხოლო ის, ვინც ერთხელ იმზაკვრებს, მეორეჯერაც და მესამეჯერაც არ დაიხევს უკან. ასეთი ადამიანი ყოველგვარი სასჯელის ღირსია.

— საიდან დაასკვენით ყოველივე ეს.

— თავის აღმზრდელს, მამაჩემს უღალატა, — წარმოთქვა მან. სახეზე ალმური მოედვა, ენა აუბორძიკდა და დადუმდა. კარგა ხანს იყუჩა. ალბათ მიხვდა, რომ უეცარი აფეთქების დროს ზედმეტიც წამოცდა.

— ვინაა მამათქვენი, როდომონოვსკი ხომ არა? — შევეკითხე და თან სავარძლისკენ გადავიხედე.

გველნაკბენივით წამოიჭრა, წელში გასწორდა, ქორივით დამაცქერდა.

— მიკვირს, რას, რას მეკითხებით, მან ალბათ მიცნო.

— ვინ, სოკოლოვმა?

— დიახ!

— არა, მან ვერ გიცნოთ. მე გიცანით.

— საიდან?

ჩემს მაგიდასთან მივედი. უჯრა გამოვწიე, ფოტოსურათი ამოვიღე და გავუწოდე. თან ვაკვირდებოდი, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს მასზე. ქალი ხარბად დააცქერდა სურათს, სავარძელში მოსხლეტით ჩაჯდა, თვალები ცრემლებით აევსო და აქვითინდა.

— თქვენ ყველაფერი გცოდნიათ, — როგორც იქნა ამოილუღლუღა.

— ნამდვილად ასეა, — ვუპასუხე და რამდენიმე ფურცელი მივაწოდე.

— დაწერეთ ყველაფერი, დასამალავი აღარაფერია.

— მე მაინც მინდა ვიცოდე, საიდან ჩაგივარდათ ხელში ეს სურათი.

— თქვენი ოჯახის წევრებს გარდა, კიდევ ერთი პიროვნებაა მანდ. კარგად დააკვირდით, — მივუგე.

— ძია ალიოშა, შტაბის კაპიტანი მაყაშვილი... მაგრამ ის ხომ დიდი ხანია დაიღუპა.

— დიახ, იგი ძია ალიოშაა. ისიც მართალია, რომ დაიღუპა. მაგრამ ეს სურათი ოცი წელია ჩემთან ინახება. თქვენ საოცრად გავხართ მამათქვენს, გენერალ გრიგოლ კონდრატეს-ძე როდომონოვსკის.

— პოლკოვნიკო! ჩვენ ორ მტრულ ბანაკს ვეკუთვნით. თქვენ იბრძვით იმისათვის, რასაც მე ვეწინაალმდეგები. თავისუფლებას უწოდებთ იმას, რაც ჩვენ ძალადობად მიგვაჩნია.

— თქვენ არა ხართ მართალი, — ვუთხარი. — ბოლშევიკებმა დაამხეს თვითმპყრობელობა, ხელისუფლებას მშრომელები ჩაუდგნენ სათავეში, მემამულეები და კაპიტალისტები განადგურებულ ან განდევნილ იქნენ. გათავისუფლებულმა ხალხმა სოციალისტური კულტურა შექმნა... ახლა ამაზე ბაასის დრო არ არის. მიამბეთ: რამ გაიძულათ დადგომოდით ისეთ გზას, რომელსაც ადამიანი ღალატის საშინელი ბილიკებით მიჰყავს. როგორც ფაქტებიდან ჩანს, სამშობლოს მოღალატე თქვენა ხართ და არა სოკოლოვი, რომელსაც ცილს წამებთ. ჩემთვის ყველაფერი ნათელია. თქვენ ეკუთვნით ყირიმის ძველ მფლობელთა ერთ-ერთ ოჯახს. სამშობლოდან გაქცევის შემდეგ საზღვარგარეთ ცხოვრობდით. გვიამბეთ დაწვრილებით. თქვით, ნურაფერს დამალავთ.

გულდასმით მომისმინა. თამბაქო მთხოვა, მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა.

სოკოლოვთან გავედი. კარი ღია დავტოვე, რომ მისი საქმიანობისათვის თვალი მედევნებინა.

— პოდპოლკოვნიკო, გეცნობათ ის ქალიშვილი? — შევეკითხე მას.

— ნაცნობი სახეა, ორი დღეა ვფიქრობ და ვერ ალვადგინე მეხსიერებაში. თანაც საოცარი ისაა, სრულიად უცნობს უხეშად შემხვდა, მოღალატე მიწოდა, სამშობლოს გამყიდველი. სად მინახავს, საიდან იცის ჩემი სახელი, გვარი, მამის სახელი? ვფიქრობ, არაფერი გამოდის. ალბათ, სიბერის ბრალია.

— ნუ ღელავთ. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: რომელ წელში გადმოხვედით თქვენ მეფის არმიიდან წითელ არმიაში? არ გეგონოთ, დაკითხვას ვაწარმოებდე, ერთი საკითხი მინდა დავაზუსტო.

— 1919 წლის მარტში.

—მაშ, საიდან ახსოვხართ თქვენ მას?

— ვინ მას?

— პატიმარს, პოდპოლკოვნიკო!

— გაფიცებთ ყველაფერს, მითხარით ვინაა იგი, საიდან მიცნობს, გონს ვერ მოვსულვარ.

სოკოლოვი გაშტერებული მიცქეროდა, მარცხენა თვალის ქუთუთო აუთამაშდა, სახე გაუფითრდა.

—იქნებ ამ ფოტოსურათზე იცნოთ ვინმე?— სურათს დააკვირდა.

— რა თქმა უნდა, ეს როდომონოვსკების ოჯახია. მე ხომ გენერალ როდომონოვსკის შტაბის უფროსი ვიყავი. მაგრამ რა საერთო აქვს მას პატიმართან, ან ეს სურათი საიდან ჩაგივარდათ ხელში?

— კარგად დააკვირდით. გენერლის გვერდით ქალი ზის, მის მუხლებზე გოგონას მოუკალათნია. ქალი, ალბათ, გენერლის მეუღლეა, გოგონა კი ქალიშვილი. აი, სწორედ ის, ჩვენი პატიმარი. ეჰ... პოდპოლკოვნიკო! მან გიცნოთ, თქვენ კი ვერა. თუმცა ბავშვებს უფრო ახსოვთ მოზრდილთა სახეები. თქვენ მაშინ ორმოცისა იქნებოდით.

— როდომონოვსკის ერთი ქალიშვილი ჰყავდა, პატარა ირინა... დიახ, დიახ, ეს ის ირინაა...

— საქმე ამით არ დამთავრებულა. პატიმარმა მთხოვა საწერ-კალამი და ქაღალდი მიმეცა მისთვის. ალბათ ყველაფერს დასწერს. მე მეორე რამ მაღელვებს: სადაა ამჟამად ამხანაგი ბუთბა? მას ძალზე პასუხსაგები საქმე დავავალე. არავითარი ცნობა არ მიმიღია. მგონი შეძლებს მის დაპატიმრებას.

— ვის დაპატიმრებას, პოლკოვნიკო?

—იმ მოხუცისა, ქალს რომ ახლდა. მაშინ ჩვენ შეცდომით ხელიდან გავუშვით...

კაბინეტში დავბრუნდი. პატიმარი წერდა. ჩემი შესვლა ვერც შენიშნა. საათს დავხედე, ისარი დილის ხუთს აჩვენებდა. იმავე წუთს დაიწკარუნა ზარმა. ყურმილი ავიღე და კეთილმა ხმამ სასიამოვნო ამბავი მაცნობა. მეჯიდ ბუთბას შეესრულებინა დავალება — უცნობი მოხუცი კომენდატურაში მოეყვანა და ითხოვდა მიღებას.

კაპიტანი კოზირევი გავაფრთხილე: პატიმრის ამბავი ჭერჭერობით საიდუმლოდ შეენახა. მდგომარეობას მეორე გარემოება ართულებდა. რამე საერთო ჰქონდათ თუ არა ამ ორ ადამიანს? იქნებ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს?

მოხუცი მეორე კაბინეტში მიცდიდა. სოკოლოვი რაღაც სასწრაფო საქმეზე წავიდა. ბუთბას დავუძახე, პატიმართან დავტოვე და მეორე კაბინეტში გავედი.

(გაგრძელება იქნება)





# ავტობუსი მიდის რეისში...

მეორე სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის ჭიშკრიდან ავტობუსი „ზილ-127" გამოდის. უკვე იმის მიხედვით, თუ როგორი პატივისცემით აყოლებს თვალს მოხუცი დარაჯი, როგორი ღიმილით უკრავს თავს მძღოლებს გზაჯვარედინთან მდგომი მილიციელი, შეიძლება მიხვდეთ, რამდენი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობენ ისინი ნაცნობთა წრეში.

მანქანა მიდის. ეზოში შეკრებილი მძღოლები დიდხანს გასცქერიან მას. ასე მხოლოდ ცხენოსნებს შეუძლიათ დატკბნენ ლამაზი და ღონიერი მერანის ლაღი ჭენებით...

მანქანა თბილისის ავტოსადგურთან ჩერდება. კიდევ რამდენიმე წუთი და იგი შორეულ რეისში გაემგზავრება. მგზავრების ჩემოდნები ფართო საბარგულში მოათავსეს, მგზავრებმა კი რბილ და მოხერხებულ სავარძლებში მოიკალათეს. მძღოლის ადგილს გრიგოლ კახაძე იკავებს, გვერდით მისი შემცვლელი ივანე ქვათაძე უჯდება.

ავტობუსი ქალაქიდან გადის.

სარკმლებში სწრაფად მიცურავენ დიდუბის ხიდთან მტკვრის გაღმა ხარაჩოებში ჩასმული საცხოვრებელი სახლები, შეოქროვილი ჭადრები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ქათქათა შენობები, ზაჰესი, ჯვარი...

გრიგოლი თითქოს შეზრდილია საჭეს, თვალს არ აშორებს ქამანდივით დახვეულ გზას. არცთუ ისე ადვილია მძღოლისათვის შორეული რეისი. მაგრამ ამ საქმეში მათ ეხმარება სერიოზული, დინჯი განწყობილება, დისციპლინის გრძნობა და, რაც მთავარია, მაღალი ტექნიკური კულტურა. მეცხრე წელია ორივე პირველი კლასის მძღოლები არიან და დღემდე არც ერთი ავარია, წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არა ჰქონიათ. უფრო მეტიც, ავტობუსის ეკონომიური მეთოდით ტარებამ მათ ყოველთვიურად 250-300 ლიტრი ბენზინის დაზოგვის საშუალება მისცა. ტყუილად როდი უწოდებენ ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკები მათ მანქანას „ბორბლებიან ლაბორატორიას".

გრიგოლმა ივანესთან ერთად ნამდვილი საკვლევი — საექსპერიმენტო სამუშაოები ჩაატარა და ყველაზე ეკონომიური სიჩქარეები შეიმუშავა. ისე მოაწესრიგეს მექანიზმები, რომ მანქანა პირველივე მომართვაზე იწყებს მუშაობას. ავტობუსმა არაჩვეულებრივი სიმსუბუქე შეიძინა სვლაში, თითქოს წონა დაეკარგა. მან უკვე 300 ათასი კილომეტრი გაიარა და ალბათ, ერთ ამდენს კიდევ გაივლის. ყოველ შემთხვევაში, ივანე ირწმუნება — გაივლისო.

გიორგიმ ქვათაძეს მოხედა. ივანეც გზას გასცქეროდა, თუმცა დროდადრო თვალს მაინც მგზავრებისკენ აპარებდა. იგი მზად იყო ყოველ წუთს დახმარებოდა მათ, დაეკმაყოფილებინა მათი ცნობისმოყვარეობა, მოესმინა მათი საჩივარი. ამას იგი თავის მოვალეობად თვლიდა, სანამ გიორგის არ შეცვლიდა და თვითონ არ მიუჯდებოდა საჭეს, მერე, გიორგი დახედავდა ხალხს, ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა მათ, გაამხნევებდა, გააცინებდა.

ხასიათითაც საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს მძღოლები — ერთნაირად აუჩქარებლები, ერთნაირად სიტყვაძუნწნი, ერთნაირად საქმის ერთგულნი.

ორივეს სულითა და გულით უყვარდა თავისი პროფესია, ორივე გატაცებული იყო თავიანთი „ზილით" და ზედმეტი ლაპარაკისა და ფაციფუცის გარეშე აკეთებდნენ ყველაფერს, რომ ადამიანებს ბედნიერად და კეთილად ემგზავრათ.

* * *

სპიდომეტრი კილომეტრს კილომეტრზე ითვლის.

ავტობუსმა მრავალი დასახლებული პუნქტი გაიარა და გზა განაგრძო. მძღოლებმა უკვე მოასწრეს მგზავრების გაცნობა. ზოგ მათგანს დაუმეგობრდნენ კიდეც, თუნდაც, მაგალითად, თადარიგის პოლკოვნიკს ვ. მენაღარიშვილს, ტრესტ „საქჩაის" ინჟინერს გ. მესხიძეს, უფროს ლეიტენანტს დ. ზერნოვს, მის მეუღლესა და პატარა გოგონას ანეჩკას, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარეს დ. ბიბინეიშვილსა და სხვებს.

ზოგი მათგანი რბილ სავარძელში თვლემს, ზოგი კი გაცხოველებით საუბრობს და მძღოლების ყურამდე აღწევს მათი ბაასის ნაწყვეტები:

— ჩვენთან, ენგურჰესის მშენებლობაზე, ნაკლები ბიჭები როდი არიან...

— წინ დავუყარე ქაღალდები. ფაქტურა ყალბიამეთქი, ვეუბნები, ის კი...

— ანდრიანოვიც ჰო, მაგრამ გაგარინი მაინც პირველი გაფრინდა, შე კაცო!..

— ნეტავ თუ შეიძლება მოშორდე მწუხარებას ისე, როგორც შორდები ქალაქს?

თვითეულს თავისი ლხინი და ჭირი აქვს, თავისი დიდი თუ პატარა სამყარო, მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს მათი ცხოვრება, ისინი მაინც ჩვენი ადამიანები არიან. ჩვენი, ხაზგოთა ადამიანები, საოცარი მომავლის საოცარი მშენებლები.

კვლავ მიჰქრის ავტობუსი. გზას კიდევ რამდენიმე საათი უნდება. საჭეს ახლა ივანე ქვათაძე მისჯდომია. სარკმელთან შემხვედრი ქარი წივის. სოფლებსა და დაბებში საღამოს პირველი სინათლეები აციაგდა. მალე გამოჩნდება სოჭიც, მალე დამთავრდება სამუშაოც, ქვათაძე სიჩქარეს უმატებს.

მაგრამ რა არის ეს? გზის პირას საბარგო მანქანასთან ვიღაც დგას, ხელს მაღლა წევს. ქვათაძე ავტობუსს აჩერებს. გიორგი გზაზე გადადის.

— რა მოხდა?

— მეგონა, კონდესატორი გაფუჭდა-მეთქი, გამოვცვალე, მაინც არ იმართება, — ხელებს შლის უცნობი მძღოლი, — მთელი საათია ვწვალობ...

— აბა, ახადე კაპოტი, — ამბობს გიორგი და მკლავებს იკარწახებს. რამდენიმე წუთში მოტორი ცოცხლდება. უცნობი მძღოლი მაგრა ართმევს ხელს გიორგის. მგზავრებს ეღიმებათ, მათ რაღაც უცნაური სიამაყის გრძნობაც კი ებადებათ. კახაძე დინჯად ამოდის ავტობუსში.

ეჰ, ვინ იცის, რამდენი ყოფილა ასეთი შემთხვევა, როცა ამ ორი ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებას გაჭირვებიდან გამოუყვანია ამხანაგები.

ავტობუსი დაიძრა. გზის პირას საბარგო მანქანასთან მდგომი კაცი კი დიდხანს გასცქეროდა მის წითელ შუქსიგნალს, რომელიც სულ უფრო პატარავდებოდა.

— მშვიდობით მგზავრობა, მეგობრებო!

ე. რაზმაძე

## კოხტა მესერის გაღმა

ეს კოხტა და ნათელი შენობა თბილისში, კამოს ქუჩაზე მდებარეობს.

გასცდებით თუ არა მესერს, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ხეივნებითა და ყვავილნარებით დამშვენებული ეზო. „თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი", — ასეთი აბრა ამშვენებს ცენტრალური კორპუსის შესასვლელს. აივლით კიბეს და ყველგან სანიმუშო სისუფთავე, საგულდაგულოდ მოვლილი დერეფნები და კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები მოგეგებათ. თვალს, ყველგან იგრძნობა მზრუნველი ადამიანის მადლიანი ხელი.

ერთ დღეში შეუძლებელია გაეცნოთ ტექნიკუმის მუშაობას, გულდასმით დაათვალიეროთ მისი კორპუსები, მრავალრიცხოვანი ლაბორატორიები და კაბინეტები.

თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში საუკეთესო პირობები შეუქმნიათ. ტექნიკუმს აქვს ორი დიდი სასწავლო კორპუსი, ორი კორპუსი ლაბორატორიებისათვის დაუთმიათ. მათ გვერდით რამდენიმე სასწავლო-საწარმოო სახელოსნოა, რომლებიც ხუთ საამქროს აერთიანებენ. ტექნიკუმის 25 ლაბორატორიასა და კაბინეტში მოსწავლეები 260-ზე მეტ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს ატარებენ.

შეუძლებელია არ გაოცდეთ, როცა საუკეთესოდ მოწყობილ ლაბორატორიებს, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და კაბინეტებს ათვალიერებთ. თეორიული ელექტროტექნიკის, ელექტროგაზომელობის, რადიოლოკაციის, ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიებში, რადიოგამძლეობის, ელექტრონიკისა და მიმღებ მოწყობილობათა განყოფილებებში, მექანიკურ თუ საზეინკლო სახელოსნოებში ყველგან მოხერხებულად განულაგებიათ მრავალი ხელსაწყო და დანადგარი. აქაა რთული, უკანასკნელი სისტემის აპარატები და ჩარხები, შეკუმშული ჰაერის აგრეგატები, ძრავები, რადიოგადაცემებისა და ხის დამუშავების მოწყობილობები, უნიკალური ელექტრული მანქანები.



— ყოჩაღ, კარგად გიმუშავიათ, — კმაყოფილი ამბობს ტექნიკუმის დირექტორი მ. ჯიბუტი.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი სწავლების ცხოვრებასთან განმტკიცების საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე და სამაგალითო სასწავლებელია მთელს საბჭოთა კავშირში.

თუ თქვენ როდისმე მოგიხდებათ ამ ტექნიკუმში ყოფნა, თავიდანვე შენიშნავთ იმ დიდ სიყვარულს, მადლობისა და პატივისცემის გრძნობას, რომლითაც მთელი კოლექტივია გამსჭვალული სასწავლებლის დირექტორის მიხეილ ჯიბუტის მიმართ.

ამ ჭაღარით მოსილმა, სანდომიანი სახის კაცმა თავისი ცხოვრება ყრმობის წლებიდანვე დაუკავშირა ტექნიკუმს. მის კედლებში განვლო დიდი და ნათელი გზა — რიგითი მოსწავლედან ტექნიკუმის დირექტორობამდე.

# ტექნიკოსთა კადრების სამჭედლო


ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცადინეობა დაიწყო.

ფოტო თ. არჩვაძისა და ი. დვალისა

ხწორედ ამიტომაც არის, რომ მიხეილ ჯიბუტის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული სასწავლებლის წინსვლა და აღორძინება. სწორედ ამიტომაც არის, რომ ასეთი ულრმესი პატივისცემით იხსენებენ მის მიერ წლების მანძილზე გაწეულ შრომას...

### გუშინ და დღეს

იქ, სადაც ამჟამად თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი მდებარეობს, 1877 წლიდან რკინიგზის დაბალი ტექნიკური სასწავლებელი არსებობდა, რომელიც შემდეგ პოლიტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთდა. 1923 წლიდან კი იგი თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის სახელწოდებას ატარებდა.

რკინიგზელი მუშის შვილი მიხეილ ჯიბუტი 16 წლისა იყო, როცა თბილისის პოლიტექნიკურ სასწავლებელში შევიდა. 1925 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ინდუსტრიული ტექნიკუმი და კავშირგაბმულობის ერთ-ერთ უბანში მონტიორად დაიწყო მუშაობა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ მიხეილი სამუდამოდ დაუბრუნდა თავის აღმზრდელ ტექნიკუმს. წლების მანძილზე იგი მუშაობდა ტექნიკოსის თანაშემწედ, თეორიული საგნების პედაგოგად. თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიხეილი დირექტორის მოადგილედ დანიშნეს, 1935 წლიდან კი ტექნიკუმის უცვლელი დირექტორია.

საუკუნის მეოთხედზე მეტია, რაც მიხეილ ჯიბუტი უნარიანად ხელმძღვანელობს საშუალო სპეციალურ სასწავლებელს. ამ წლების მანძილზე თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი მაღალკვალიფიცირებული ტექნიკური კადრების აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ კერად გადაიქცა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის მიხეილ ჯიბუტს ქართულ ენაზე სპეციალური ტექნიკური ლიტერატურის გამოცემასა და ერთიანი ტექნიკური ტერმინოლოგიის გამომუშავებაში.

ქართულ ენაზე ტექნიკური ტერმინოლოგიის საფუძვლიანმა დამუშავებამ შესაძლებელი გახადა მთელი რიგი სახელმძღვანელოების თარგმნა და შედგენა-გამოცემა. ტექნიკუმში დგას დიდი კარადა, რომელშიც გამოფენილია სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ შედგენილი და თარგმნილი 100-მდე სხვადასხვა სახელმძღვანელო.

ქართულ ენაზე ტექნიკური ლიტერატურის გამოცემაში თავისი საპატიო წვლილი შეიტანა მიხეილ ჯიბუტმაც, რომელმაც სხვადასხვა დროს გამოსცა 20-ზე მეტი სახელმძღვანელო.

სასწავლებლის დირექტორის დაუცხრომელი შრომითა და აქტიური მხარდაჭერით. წლების მანძილზე თანდათან იზრდებოდა და კეთილმოწყობილი ხდებოდა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი. ერთ სასწავლო კორპუსს მალე მეორე კორპუსი შეემატა, აშენდა სახელოსნოს შენობები და დამხმარე სათავსოები...

თეორიულ სწავლებასთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმო პრაქტიკულ სწავლებას, რისთვისაც ტექნიკუმში უმდიდრესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეიქმნა. ლაბორატორიები, კაბინეტები და საწარმოო სახელოსნოები აღიჭურვა თანამედროვე ტიპის რთული და უნიკალური მოწყობილობებით.

საუკეთესო კადრების შერჩევამ, მტკიცე დისციპლინამ, თეორიული და პრაქტიკული სწავლების მაღალ დონეზე დაყენებამ შესაძლებელი გახადა საქმის ერთგული და მაღალკვალიფიცირებული კადრების აღზრდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ტექნიკუმმა მხოლოდ 945 სპეციალისტი გამოუშვა, საბჭოთა პერიოდში კი ტექნიკუმის მიერ განოშვებულ სპეციალისტთა რაოდენობამ 4700 კაცს მიაღწია.

მანქანათმშენებლობის ტექნიკუმს ამჟამად 8 სპეციალობა აქვს, სადაც დილის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 1191 მოსწავლე ეუფლება ტექნიკოსთა პროფესიას.

სად არ შეხვდებით ახლა თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მრავალ კუთხეში საქმის ცოდნითა და მონდომებით შრომობენ ისინი.

ბიბლიოთეკის გამგემ დ. ძიძიგურმა ახალი წიგნები მიიღო.



### გუგუნებენ დაზგები

ჩვენთან არიან ტექნიკუმის დირექტორი, პედაგოგები: შ. გუგუშვილი, ი. ფერაძე, გ. ნოზაძე, დ. ლოლაძე, დ. ფოფხაძე, ბ. კრასლავსკი. ყველანი ერთად მივემართებით საწარმოო კორპუსების დასათვალიერებლად.

გაბმული გუგუნით გვეგებება საზეინკლო საამქრო.

ამ საამქროში პირველ პრაქტიკულ ნათლობას იღებენ მოსწავლეები, აქ ეუფლებიან შრომით ჩვევებს, ცხოვრების გზაზე გასასვლელად გულმოდგინედ იწაფავენ ხელს.

მათი მუშაობა რომელიმე დეტალის ზერელე დამუშავებით იწყება. რამდენიმე თვის შემდეგ კი ისე ოსტატურად ეუფლებიან საქმეს, რომ დამოუკიდებლად ჩარხავენ რთულ დეტალებს.

აი ახლაც, მოგუგუნე ჩარხებთან მოუსვენრად ფუსფუსობენ ახალგაზრდები, სიყვარულით უკირკიტებენ თავიანთ სამუშაოს.

საამქროში დინჯი ნაბიჯით დადის ინსტრუქტორ-მასწავლებელი დიმიტრი ჯიბლაძე, ოდნავ მოჭუტული თვალებით დასცქერის მოსწავლეთა ნახელავს. შორიდანვე ეტყობა, რომ პედაგოგი კმაყოფილია თავისი აღსაზრდელებით, მოწონების ნიშნად სიყვარულით უთათუნებს მათ მხარზე ხელს.

საზეინკლო საამქროდან ელექტროძრავებისა და ხის დამუშავების სახელოსნოში მივემართებით, შემდეგ კი მექანიკურ და სამსხმელო საამქროებს ვათვალიერებთ.

ყველგან სიცოცხლით სავსე ჭაბუკები და ქალიშვილები გვეგებებიან, ყველგან იგრძნობა საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი მიდგომა, შემოქმედებითი შრომის პათოსი.

აგერ, ტექნიკური ცოდნის მისაღებად საინგილოდან ჩამოსული მეგობრები ლ. ბეროშვილი და ი. ყულოშვილი, რომლებმაც საუკეთესო სწავლითა და შრომით მთელს ტექნიკუმში ისახელეს თავი, იქით კიდევ ფრიადოსანი მოსწავლეები: გ. ჩოფიკაშვილი, თ. მინდიაშვილი, მ. ჩადუნელი, ლ. გოგუაძე, ა. ნიკოლაიდი, გ. ბარათაშვილი და ბ. ასანიძე ამოსდგომიან დაზგებს.

მათი გამრჯე მარჯვენით სწრაფად და უნაკლოდ მუშავდება ელექტროძრავებისა და მაგიდის საბურღი ჩარხების ნაწილები, ეხვევა გრაგნილები, ეწყობა და იცლება ძრავები.

თბილისის საწარმოები, ბათუმი, ტაშკენტი, დნეპროპეტროვსკი და ჩვენი სამშობლოს სხვა სამრეწველო ქალაქები შეუფერხებლად იღებენ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მოსწავლეთა მიერ დამზადებულ მაღალხარისხოვან პროდუქციას.

ტექნიკუმი ყოველწლიურად უშვებს 12 ტიპის 3 ათას სხვადასხვა ელექტრომოტორს, მაგიდის საბურღ ჩარხებს, ავტოტრანსფორმატორებს, 200 მაღალხარისხოვან დაზგას.

მოსწავლეთა მიერ გამოშვებული პროდუქციისათვის საჭირო თუჯის სხმულები ტექნიკუმის სამსხმელოში მზადდება. ეს სახელოსნო დახმარებას უწევს რესპუბლიკის ზოგიერთ წარმოებას, სხმულებით და საყალიბო მოდელებით ამარაგებს მათ.

სასწავლებელი ყოველწლიურად 200 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებს. სახელმწიფოდან მოგების ანგარიშში მიღებული თანხა ლაბორატორიებისა და სახელოსნოების კეთილმოწყობას ხმარდება.

...კარგა ხანია დაიწკრიალა მეცადინეობის დამთავრების მაუწყებელმა ზარმა, სასწავლებლის ეზოს კი ისევ ავსებს ჯგუფ-ჯგუფად გამოშლილი მოსწავლეების ხალისიანი ჟრიამული.

აი, საცაა კალათბურთისა და ხელბურთის მოედნებზე საწვრთნელ ვარჯიშს დაიწყებენ, ჭიდაობისა და ტანვარჯიშის სექციებში სხეულის გასაკაჟებლად გაემართებიან მოსწავლეები.

სააქტო დარბაზში, რომელიც 400 მაყურებელს იტევს, მხატვრული თვითმოქმედების წრეების გენერალური რეპეტიციაა დანიშნული. მოცეკვავეები, მომღერალთა გუნდისა და საესტრადო ორკესტრის წევრები თვეზე მეტია გულმოდგინედ ემზადებიან საახალწლო კარნავალისათვის, დღეს კი საგანგებოდ მოწვეულ სპეციალისტებს თავიანთ მზადყოფნასა და ოსტატობას უჩვენებენ.

რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი მიხეილ ჯიბუტი სიყვარულით გასცქერის ახალგაზრდებს, გასცქერის და ბედნიერების გრძნობით ევსება გული.

— იხარეთ, შვილებო, თქვენი ძალა და იმედი ნუ მოაკლდება ჩვენს ქვეყანას!

**ტ. ჯანიაშვილი**



75

# [illegible] ჩვენი გულის სიხარული.

როცა ახალგაზრდა გურამ პეტრიაშვილმა პირველად შეიტყო, რომ მომდევნო მატჩში ძირითად შემადგენლობაში გამოვიდოდა, მღელვარებისაგან დაიბნა. ეს იყო შიშნარევი და ნერვიული განცდა, რომელმაც იმ წუთში მწვრთნელის დიდი ნდობით გამოწვეული სიხარულიც კი მიჩქმალა. ამას მოჰყვა დაძაბული და უძილო ღამეები. ხუმრობა ხომ არაა, პირველად გამოდიოდა სპორტულ ბრძოლებში გამობრძმედილი პარტნიორების გვერდით. — ვინ იცის, როგორი თამაში გამომივა, ვინ იცის, როგორ შემხვდება ხალხი, — ფიქრობდა იგი.

შემდეგ გურამს კიევში შეხვდი ადგილობრივ „დინამოსთან" თამაშის წინ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ავტორიტეტმა ნერვიულობის დაღი დააჩინა ახალგაზრდა ფეხბურთელის სახეს.

ვლადიმერ ბარქაია კი მშვიდად მოკალათებულიყო ვესტიბიულში.—მე ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დავკარგე შიშის გრძნობა, — ამბობდა მისი გამომეტყველება.

მართლაცდა, დროთა განმავლობაში ფეხბურთელი ეჩვევა მოწინააღმდეგეს, ეჩვევა საკუთარ და უცხო მაყურებლებს, მათ შორის რაღაც კავშირი მყარდება.

ამიტომაა საინტერესო, ნახო ფეხბურთელი მაყურებლის როლში, მოისმინო მისი შენიშვნები და რეპლიკები მატჩის მსვლელობისას. ეს კარგ წარმოდგენას შეგიქმნის, თუ რას განიცდის ფეხბურთელი მაყურებლის რეაქციის დროს. მიმდინარე წელს ურუგვაისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრა თბილისის დინამოელთა კაპიტან შოთა იამანიძესთან ერთად ვიხილე. თამაშის დასაწყისიდანვე შევატყვე, რომ ჩვენ ძალზე განსხვავებული მაყურებლები აღმოვჩნდით. მე, როგორც ყოველთვის, მაყურებელი ვიყავი, შოთა კი სტადიონის ტრიბუნაზეც ფეხბურთელი დარჩა. როცა მე აღშფოთებას გამოვხატავდი ჩაშლილ კომბინაციაზე ან ტექნიკურად ცუდად შესრულებულ ილეთზე, თბილისელთა კაპიტანი ყოველთვის აბერხებდა მოენახა ფეხბურთელის გამამართლებელი საბუთი.

მახსოვს, ივანოვმა მამიკინს ბურთი მარცხენა ფლანგზე გაუგდო და თვითონ ცენტრში შეიჭრა. მამიკინმა, რომელსაც ურუგვაელი მცველი ფეხდაფეხ მისდევდა, ბურთი კუთხური აღმისაკენ გაიგდო. ეს მაშინ, როცა ყველა ელოდა, რომ იგი კარისაკენ მობრუნდებოდა და ბურთს თავისუფლად გახსნილ ივანოვს ჩააწოდებდა. მამიკინმა მოიგო ორი ნაბიჯი და კარისაკენ შემობრუნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო: ურუგვაელმა მცველებმა მოასწრეს საჯარიმო მოედანზე ჩამოსვლა და ივანოვს ადვილად აართვეს ჩამოწოდებული ბურთი.

მაყურებლები ძალზე აღშფოთდნენ ასეთი დაგვიანებული გადაცემისათვის. თბილისელთა კაპიტანმა ხელები გაშალა და თქვა:

—მეტი რა უნდა ექნა, სხვანაირად გადაცემა არ გამოუვიდოდა, რადგან კუთხურის ხაზთან მთელი ძალით შეჭრილ ფორვარდს მკვეთრი ვირაჟის გაკეთება არ შეეძლო, მით უმეტეს, როცა ხაზთან ძალიან ახლოს იყო და მცველი ფეხდაფეხ მისდევდა.

ეს რეპლიკა უბრალო კოლეგიალობა როდი იყო, ეს პასუხია იმისა, რასაც ხშირად მაყურებელი ვერ ამჩნევს მატჩის მსვლელობის დროს. ყველასაგან განსხვავებული მაყურებელი მაინც მწვრთნელია. გასულ წელს, როცა არგენტინის ნაკრები მოსკოვში საწვრთნელ ვარჯიშსატარებდა, მე შევნიშნე მიხეილ იაკუშინი, რომელსაც ძალზე მოეწონა არგენტინელი ფეხბურთელები.

— დიდებულია, აი, ეს მესმის! — რამდენჯერმე წამოიძახა მან, როცა არგენტინელებმა საოცრად დახვეწილი მოძრაობით შეასრულეს ურთულესი ტექნიკური ილეთები.

მატჩის შემდეგ იაკუშინმა ასეთი აზრი გამოთქვა:

— არგენტინის ნაკრები არ არის მაღალი კლასის გუნდი!

ერთის შეხედვით ასეთი დასკვნა პარადოქსალური უნდა ეჩვენოს კაცს, რომელმაც ნახა არგენტინელი ფეხბურთელებით აღფრთოვანებული მიხეილი. მაგრამ ეს იყო დასკვნა არა მაყურებლისა, არა ფეხბურთელისა, არამედ მწვრთნელისა, რომლისთვისაც მატჩი წარმოადგენს ამოცანას და არა სანახაობას. მწვრთნელი გუნდს აფასებს იმის მიხედვით, თუ ფეხბურთელები როგორი გზებით ცდილობენ ამ ამოცანის გადაჭრას. მიხეილ იაკუშინის აზრი ჩილის მსოფლიო ჩემპიონატშიც გამართლდა, სადაც არგენტინელმა „არტისტებმა" კვლავ კატასტროფული მარცხი განიცადეს.

ამოცანა და მისი გადაჭრა — აი, პირველი პრობლემა, რასაც მიხეილი აყენებს თბილისის დინამოელთა წინაშე, როცა მატჩის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები გასახდელში ჩადიან, ისინი ძალზე ადვილად ატყობენ, კმაყოფილია თუ არა მწვრთნელი. თუ მიხეილმა ფეხბურთელებს ხელი ჩამოართვა, ამოცანა გადაჭრილია და თუ არა... იციან, რომ მეორე დღეს დაიწყება ბიჭების „შეხურება". უფრო ხშირად მიხეილი კმაყოფილი ემშვიდობება ბიჭებს. როცა მოსკოვის „სპარტაკს" ქართველმა ფეხბურთელებმა მატჩი საკუთარ მოედანზე მოუგეს, იაკუშინმა ფეხბურთელთა გვარების გასწვრივ ერთი დიდი „ხუთიანი" ჩაწერა.

უკანასკნელი მატჩის წინ, მართალია, თბილისის „დინამო" ჩემპიონის ტიტულის მოპოვების მხოლოდ თეორიულ შანსებს ინარჩუნებდა, მაგრამ მაინც არ იყო ცნობილი, თუ ვის შეხვდებოდა ოქროს მედლები, ვის ვერცხლისა და ვის ბრინჯაოსი.

გულშემატკივრები საერთოდ ოპტიმისტები არიან და უკანასკნელ მატჩებს იმედის თვალით უყურებდნენ, მაგრამ მოსკოველ არმიელთა გარემარბის სტრეხნის მიერ თბილისელთა კარში გატანილმა გოლმა ყველა საპროგნოზო და საკამათო საკითხს ნათელი შუქი მოფინა.

ქართველმა ფეხბურთელებმა წლევანდელ სპორტულ სეზონს ბრინჯაოს მედლები შემატეს. ეს საკმაოდ თვალსაჩინო მიღწევაა, მით უმეტეს მაშინ, როცა გაცილებით მოკრძალებულ ადგილზე აღმოჩნდნენ გასული წლის ჩემპიონი კიევის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო".

საერთოდ, საფეხბურთო არითმეტიკა ცოტა უცნაური და ულოგიკოც კია. მოსკოვის „სპარტაკს", რომელიც წელს მეორედ მოექცა სათავეში ჩემპიონატის ცხრილს, ორჯერ ვადინეთ სიმწრის ოფლი და ოთხი ოქროს ქულა წავართვით. მეორე ადგილზე გამოსულ მოსკოვის „დინამოსთანაც" ბარი-ბარში აღმოვჩნდით. ჩვენს მომდევნო ადგილზე გამოსულ მოსკოველ არმიელებს კი ოთხი ქულა ვაჩუქეთ!

ასეა თუ ისე, ჩემპიონატის ალამი უკვე დაშვებულია. ფეხბურთელები ომგადახდილი ჯარისკაცებივით სახლებს დაუბრუნდნენ.

ახლა თბილისელთა ბომბარდირს ზაურ კალოევს თავის ბიჭუნასთან ერთად ხშირად ნახავთ თოჯინების თეატრში. მიხეილ მესხი, ვლადიმერ ბარქაია და ჯემალ ზეინკლიშვილი თავიანთ შვილებს დაასეირნებენ სუფთა ჰაერზე. ილია დათუნაშვილი, გურამ პეტრიაშვილი და გიორგი სიჭინავა ხშირი სტუმრები გახდნენ უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებისა. პატარების დიდი მოყვარული გივი ჩოხელი ჯერჯერობით ისევ სხვის ბავშვებს ეთამაშება.

შემდეგ ისევ დაიწყება მოსამზადებელი ვარჯიში. გულშემატკივრებს არ შემოელევათ საპროგნოზო და საკამათო „პრობლემები".

ვინ იცის, იქნებ მომავალ წელს მაინც გატყდეს „ნავსი", ვინ იცის, ბრაზილიელებივით იქნებ ჩვენც გვქონდეს გულის სიხარულის ცრემლები.

გულშემატკივარი რისი გულშემატკივარია, თუ მას იმედი და ოპტიმიზმი შემოელია.

გურამ ფანჯიკიძე



## სხვა და სხვა

...1601 წელს ერთ-ერთმა გერმანელმა ყასაბმა, ვაჭრების დღესასწაულთან დაკავშირებით, დაამზადა საოცარი სოსისი, რომლის სიგრძე ათას მეტრზე მეტი იყო. სოსისი 400 კილოგრამს იწონიდა. თვით საზეიმო ვითარებაში მიჰქონდა 103 ყასაბს.

...1860 წელს წმინდანად აღიარეს უბოროტესი ინკვიზიტორი პეტრე არბუესი, რომელმაც 40 ათასი ადამიანი კოცონზე დაწვა.

...1664 წელს კალეს მახლობლად დაიღუპა ინგლისელთა გემი „მენეი", გადარჩა მხოლოდ ერთი მგზავრი, რომლის სახელი და გვარი ჰიუგ ვილიამსი იყო.

1785 წელს ამავე ადგილას ჩაიძირა ინგლისელთა მეორე გემი. ერთადერთი გადარჩენილი მგზავრი ვინმე ჰიუგ ვილიამსი აღმოჩნდა.

...ძველი ბერძნები 24 ხარისხის პურს აცხობდნენ. ელინელები პურის გამოცხობის დროს ცომში აყოლებდნენ ბოსტნეულს, ხილს, ყველს.

...მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ ჩიტების „ენას". მათ დაადგინეს, რომ ერთნაირი სახეობის ფრინველები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად გალობენ.

...ბუნებრივი გაზი ჩინელებმა პირველად ძვ. წ. აღ. 940 წელს გამოიყენეს.

...აქლემი ერთადერთი ცხოველია, რომელსაც შეუძლია ზღვის წყლით მოიკლას წყურვილი. ზღვის წყალი ადამიანსა და სხვა ცხოველებს კიდევ უფრო უძლიერებს წყურვილის გრძნობას.

...1736 წელს ქირურგმა კლაუდიუს ემიენდომ მსოფლიოში პირველად გააკეთა ბრმანაწლავის ოპერაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. ოპერაცია გაუკეთეს ინგლისის მეფე გიორგი II.

...მსოფლიოში ყველაზე მცირერიცხოვანი ტომია ლუანგი, რომელიც ტაილანდში ცხოვრობს. 1956 წელს ამ ტომში ითვლებოდა 6 მამაკაცი, ერთი ქალი და ერთი ბავშვი.

...მსოფლიოში პირველი ოპერა იყო „დაფნა", რომელიც ფლორენციაში დაიდგა 1597 წელს. ოპერის მუსიკა დაწერა იაკოპო პერიმ.

...ბულგარეთში დაიწყო მზადება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა გამოფენისათვის, რომელიც მოსკოვში გაიხსნება 1963 წლის დამდეგს.

...საბჭოთა კავშირში ამას წინათ შეიქმნა მედიცინის რადიოლოგიის ცენტრი, რომელიც უდიდესია მთელს ევროპაში.

...ჩვენი ქვეყნის ქალაქებში მოქმედებს ორგანიზმის ცხოველმყოფელობის აღდგენის 50 სამედიცინო ცენტრი. ამ ცენტრების ექიმებმა სიცოცხლე დაუბრუნეს 30 ათასზე მეტ კაცს, რომლებიც კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

...საბჭოთა კავშირში ამჟამად მუშაობს 118 მსხვილი სატელევიზიო სადგური და 200 რეტრანსლაციო ცენტრი. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის ტელეგადაცემებს 50-ზე მეტი ქალაქის მოსახლეობა უყურებს.

...საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა შეიმუშავეს ქვანახშირის გამდიდრების შედეგად დარჩენილი მასისაგან სილიკოალუმინიუმის მიღების ტექნოლოგია.

ეს ნივთიერება ფოლადის წარმოებაში გამოიყენება და წარმატებით შეცვლის ძვირფას ფეროშენადნობებს.

...პატრის ლუმუმბას სახელობის მეგობრობის უნივერსიტეტში წელს 65 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ სასწავლებლად.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად 120 ქვეყნის 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

...მაღალი ძაბვის დენის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში პროფესორ ვოლოდინის ხელმძღვანელობით შექმნეს ელექტროღუმელის საცდელი ნიმუში. ღუმელში შეიძლება 6 წუთში შეიწვას ბატი, იხვი, ინდაური, ქათამი. ორწუთნახევარში იხარშება ერთი კილოგრამი ხორცი, ბისკვიტის გამოცხობას კი ორი წუთი სჭირდება.

...საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში ამას წინათ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ნაპოლეონ ბონაპარტეს უფროსი ძმის შვილის შვილთაშვილი — პრინცესა მარია ბონაპარტე.

...ამას წინათ თვითმფრინავიდან გადმოხტა 20 წლის ინგლისელი ქალიშვილი ლუიზა ფროტენი, რომლის პარაშუტი არ გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ლუიზამ უპარაშუტოდ გაიფრინა რამდენიმე ასეული მეტრი, იგი მაინც გადარჩა სიკვდილს. ქალიშვილი შემთხვევით ჩავარდა ტბაში, საიდანაც ცურვით გამოვიდა ნაპირზე.

## ჭეშმარიტი მეგობრობის ძალა

1943 წლის ერთ პირქუშ დილას თბილისში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე მცხოვრებმა ზაქარია უზნაძემ სამკუთხედი ბარათი მიიღო. ვოლგისპირეთის ერთ-ერთი სამხედრო ჰოსპიტლის უფროსი ზაქარიასატყობინებდა, რომ თქვენი ვაჟი, გვარდიის კაპიტანი თენგიზ უზნაძე მძიმედ არის დაჭრილი. ჭრილობები უკვე უშუშდება, მაგრამ მწყობრში მისი დაბრუნება აღარ შეიძლება, ჩამოდით და შინ წაიყვანეთო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, თენგიზი 1943 წლის დასაწყისში დაიჭრა როსტოვის ოლქის სოფელ უსპენსკთან. ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ბატალიონის მეთაური. ნაწილის მეთაურობა ახალგაზრდა კაპიტანმა თენგიზ უზნაძემ იკისრა, რომელმაც მებრძოლები გაბედულად წაიყვანა შეტევაზე. ბრძოლის ველზე თენგიზი მძიმედ დაიჭრა, იგი გონებადაკარგული გაიყვანეს ზურგში და ჰოსპიტალში გაგზავნეს სამკურნალოდ.

...იმ დროს ადვილი როდი იყო თბილისიდან ვოლგისპირეთში გამგზავრება, მაგრამ ჰოსპიტლიდან მიღებული ბარათი ზაქარიასათვის ერთგვარი საშვი გამოდგა. ყველა, ვინც კი გაიგებდა, რომ იგი შვილის ჩამოსაყვანად მიემგზავრებოდა, გულწრფელად თანაუგრძნობდა ზაქარიას, ცდილობდა ადგილი დაეთმო გადატვირთულ ვაგონში, რაიმე დახმარება გაეწია მისთვის...

დიდხანს, დიდხანს იკრავდა გულში ზაქარია საკაცეზე მისვენებულ შვილს. ბოლოს თენგიზმა მამას თვალით ანიშნა გვერდით მწოლიარე დაჭრილზე და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ უთხრა:

— კოსტია ტერნოვოია, ჩემი განუყრელი მეგობარი... იცოდე, უიმისოდ არსად არ წამოვალ!..

თბილისში, უზნაძეების ოჯახში შვილივით მიიღეს კოსტია ტერნოვოი. მეგობრებს ცალკე ოთახი გამოუყვეს. ზაქარია, მისი მეუღლე ანა, ქალიშვილი თამარი, ახლობლები თუ მეზობლები მზრუნველობას არ აკლებდნენ საკაცეზე მიჯაჭვულ ძმობილებს.

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს. დადგა 1944 წლის გაზაფხული. თენგიზი გაჭირვებით წამოდგა საწოლიდან, ყავარჯნებზე დაყრდნობილმა ტაატით გაიარა ოთახში. მალე მან მახლობელ ბაღშიც შეძლო გასვლა. იმ დღეს თენგიზი შინ ყვავილების კონით დაბრუნდა. ამის შემდეგ მეგობრების ოთახში ახალი, სურნელოვანი ყვავილები აღარ გამოლეულა. უბნის პატარა ბიჭებს, რომლებიც ფეხალებგაფაციცებული ისმენდნენ თენგიზისა და კოსტიას მოყოლილ ფრონტულ ამბებს, ხშირად მოჰქონდათ ლამაზი ყვავილები...

ერთ დღეს საშინელი უბედურება დაატყდა თავს უზნაძეების ოჯახს. სასეირნოდ გასული თენგიზი წაიქცა, თავის ქალაში ჩარჩენილმა ყუმბარის ნამსხვრევმა ტვინი დაუზიანა და გარდაიცვალა.

ერთ უბედურებას მეორე უბედურებაც მოჰყვა. მეგობრის დაღუპვამ სერიოზულად გააუარესა კოსტიას ჯანმრთელობა. დიდი ბრძოლა და შრომა დასჭირდათ ექიმებს, რათა სიკვდილისაგან ეხსნათ იგი.

— თენგიზის შემდეგ აქ გაჩერება აღარ შემიძლია! — განაცხადა კოსტია ტერნოვოიმ, როგორც კი ფეხზე ადგომა შეძლო, შემდეგ ახლობელ ადამიანებს გადახედა და თვალცრემლიანმა დასძინა, — თქვენს მშობლიურ ამაგს სიკვდილამდე არ დავივიწყებ...

ამ ამბის შემდეგ 19 წელი გავიდა.

ერთ დილით ჩაიკოვსკის ქუჩაზე, უზნაძეების ეზოში ახალი „ვოლგა" შესრიალდა. მეზობლებმა მაშინვე იცნეს მანქანის მფლობელი კოსტია ტერნოვოი.

უსაზღვრო სიხარულით შეეგებნენ ერთმანეთს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ინსტიტუტის ლაბორანტი თამარ უზნაძე და ოდესის ცენტრალური საოლქო საავადმყოფოს მთავარი ექიმი კონსტანტინე სერგეის ძე ტერნოვოი. მათი დიდი სიხარული მთელმა ეზომ, მთელმა ქუჩამ გაიზიარა.

იმ საღამოს კონსტანტინემ მწუხარებით შეიტყო, რომ დედიდა ანა უკვე რამდენიმე წელია რაც გარდაიცვალა, მისი საყვარელი ძია ზაქრო კი გულის სისხლძარღვთა სისტემით მძიმედ არის დაავადებული და სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად.

— თქვენ ღვიძლი შვილივით მიმიღეთ, თქვენს ოჯახში აღვიდგინე ჯანმრთელობა, რამაც საშუალება მომცა უმაღლესი განათლება მიმეღო და ექიმი გავმხდარიყავი. ახლა ჯერი ჩემზეა, ძია ზაქრო ჩემთან უნდა წავიყვანო და გამოვაჯანმრთელო.

კონსტანტინე ტერნოვოიმ პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა. ერთი თვის შემდეგ თამარმა ოდესიდან მიიღო წერილი, რომელშიც მამაატყობინებდა, თავს უკეთ ვგრძნობ და მალე გამოჯანმრთელებული დავბრუნდები თბილისშიო...

19 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე, ერთ პატარა ეზოში მზეს ეფიცხებოდნენ დაჭრილი მეგობრები თენგიზი და კოსტია. ისხდნენ და უბნის ბიჭებს გატაცებით უყვებოდნენ ფრონტის ამბებს. ახლა ის ბიჭები დიდები არიან, უფრო ბრძნულად უყურებენ ცხოვრებას, მაგრამ ყველა მათგანს ახსოვს ორი ძმობილი, რომლებმაც მათ აგრძნობინეს ნამდვილი მეგობრობის ძალა.

ისინი ისევ ცოცხლობენ უბნის ბიჭების გულსა და ხსოვნაში, როგორც გმირები და როგორც მეგობრები.

ალ. გეგეჭკორი



76

# სიცოცხლე

ვასილ გვეზაძე



ბეთჰოვენის, შოპენისა და ფალიაშვილის მუსიკის ბგერები ზღვათა ქუხილიდან, ალვების შრიალიდან და იმ ხმებიდან არიან ამოკრეფილნი, რომელნიც შეყვარებულს, მშრომელსა და მომაკვდავ ადამიანებს დასცდებათ ხოლმე ბაგიდან.

**კონსტანტინე გამსახურდია**

თუ სადმე სამართალია, იმ დღეს ქართული კლასიკური მუსიკის დღესასწაული უნდა დაერქვას.

...შემოდგომის კვირაძალმა ოქრო და ქარვა უხვად გამოიმეტა. ზაქარია ფალიაშვილის ბინაზე, თბილისში, ისევ აღუღუნდა კარგახნის დადუმებული ორღანი, აგუგუნდა როიალი და მრავალხმიან საკრავთა ჟღერამ ერთიანად შეძრა სული და გული. ერთხელ კიდევ ატირდა მომაკვდავი აბესალომი. სადღაც, ცის ახლო მიდგმულ მთებთან აილანდნენ მეციხოვნე შუბოსნები. ხმალივით გაიკრიალა ეთერის ხმამ. სატრფოთა შორის ჩრდილად ჩადგა გოროზი და ბოროტი მურმანი. ფანჯრებში შემოიხედა არაგვის მთვარიანმა ღამეებმა. „აბესალომის", „დაისისა" და „ლატავრას" ჰანგებმა ჟრუანტელივით დაიარა კედელ-ყურე. მუსიკამ დაატკბო სმენა და დაამა სხეული.

თითქოს ფალიაშვილთა ბინაში მთელი საქართველო შემოვიდა თავისი „ურმულითა" და „ოროველით", „მაყრულითა" და „მრავალჟამიერით", „მგზავრულითა" და „ლილეოთი". თვალწინ წარმოდგა ამ დიდებულ ჰანგთა და ხმათა ჩამწერი და შემკრები, მთასა და ბარში, უცნობ გზებსა და ბილიკებზე მავალი ზაქარია ფალიაშვილი. აი, იგი სვანეთშია. ლატფარის მთიდან მარჯვნივ გადაუხვია და სოფელ უშგულში ჩავიდა. შემოესმა მგრგვინავი, მწყობრი სიმღერა სამ ხმაზე. ხედავს, ქვემოდან მოემართება მომღერალ ქალიშვილთა გუნდი. გაოცებული კომპოზიტორი მოხიბლულია უჩვეულო სურათით...

იმ დღეს დიდებული კომპოზიტორის ჰერქვეშ, განა მარტო მომღერლები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან, თვითონ ხალხი, ფალიაშვილის მშობელი და გამზრდელი ხალხი ამღერდა თავისთავად, მისდა უნებურად. მარტო დიმიტრი მჭედლიძემ როდი უხელმძღვანელა მშვენიერ კონცერტს. ან, იქნებ ვისმეს ჰგონია: მხოლოდ ერთმა კაცმა — ზაქარიას ღვიძლმა ძმისშვილმა ვახტანგ ფალიაშვილმა წაიყვანა „აბესალომ და ეთერის" მესამე მოქმედება გუნდთან ერთად... იქ ტრიალებდა ხალხის სული, ამაყი და დაუდეგარი, სუფთა და დიადი. ხალხის შთაგონება ბობოქრობდა თვითონ და ვარსკვლავებით მოკრიალებულ სიმაღლეში აჰყავდა მის წიაღში დაბადებული გენია. მაშინ კიდევ უფრო ცხოველმყოფლად ამეტყველდა ზაქარია ფალიაშვილის სიტყვები:

— თხუთმეტი წლის განმავლობაში შემოვიარე მთელი საქართველო და შევკრიბე სამასი სიმღერა და ჰანგი. ყველა ამას ფონოგრაფით ვიწერდი თვით სოფლებში... დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდი ქართული სიმღერების ჰარმონიას. უცვლელად და ხელშეუხებლად ვტოვებდი ხალხურ სიმღერებში ხალხის მიერ დადგენილ ეროვნულ თვისებასა და ტრადიციას, ვცდილობდი მტკიცედ შემეკავშირებინა უცვლელი წყარო ნამდვილი და ცოცხალი ხელოვნებისა ხალხურობასთან...

ქართლსა და კახეთში, გურიასა და იმერეთში, რაჭასა და სვანეთში მოგზაურობამ საბოლოოდ დაარწმუნა კომპოზიტორი, რომ ქართველი ხალხი არაა უცხო სამუსიკო ხელოვნებისათვის, მისი სიმღერა-გალობა მდიდარია, როგორც ჰანგით, ისე ჰარმონიით და მადლიან მასალას იძლევა მუსიკალური ლიტერატურის გასამდიდრებლად. ამასთან, ქართული სიმღერა მრავალხმოვანია, ძნელია შესათხზველ-ასასრულებლად, მაგრამ სმენისათვის მეტად სასიამოვნოა. ასეთი რამ ყველა ხალხის სიმღერებში არ მოიპოვება. ზაქარია ფალიაშვილმა შეიწოვა და შეისისხლხორცა ხალხური სიმღერა, ფეროვან, სახეცვლილ ნაკადად შეიერთა იგი და თვითეულ ჰანგსა და ბგერას მისცა ზღვის სიღრმე, მზის სითბო და მთვარის ელვარება.

ყველაფერი ეს ცხადი გახდა იმ დღესაც, როცა ფალიაშვილთა სტუმართმოყვარე სახლის კარები ფართოდ გაიღო. ჩვენს წინაშე ცოცხლად წამოიმართა ხალხში გასული, განუყრელი ფონოგრაფით ილლიაში, უბრალოდ ჩაცმული, ხელჯოხიანი ზაქარია ფალიაშვილი. სახლ-მუზეუმის ოთახებში, როგორც მეტყველ კინო-კადრებში, აღბეჭდილია მოღვაწეობა და ცხოვრება ამ დიდი კაცისა.

აქაა თავმოყრილი მეცნიერულად შესასწავლი დიდძალი დოკუმენტური მასალა და კომპოზიტორის სახელთან დაკავშირებული მრავალი იშვიათი ნივთი. მარტო რად ღირს ძველი დრო-ჟამისაგან სალებავგადაცლილი ორღანი, რომელზეც ოცნებობდა პეტრე ფალიაშვილის — საწყალი მნათეს — ღარიბი ოჯახი ქუთაისში, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის სევდიან ეზოში. აბა, სად ჰქონდა ზაქარიას მამას იმის თავი, ბავშვებისათვის მუსიკალური განათლება მიეცა. ჭკვიანი და-ძმები ისმენდნენ ორღანის ნაზ ხმებს და მათში ნელინელ, შეუმჩნევლად ვითარდებოდა მუსიკალური სმენაც.

აი, მშვენიერი როიალი, თეთრი, გაკრიალებული კლავიშებით. ვინ იცის, რამდენჯერ შეხებია ზაქარიას მთრთოლვარე თითები. რამდენი განუმეორებელი ჰანგი და მელოდია აღმოხდენია ფალიაშვილისეულ ინსტრუმენტს. იგი მოწამეა შთაგონების




დიდებული წუთებისა, გატეხილი ღამეებისა, აზრთან და ფიქრთან შემართული შეჭიდებისა. როიალის ახლო მდგარა ერთ დროს ვანო სარაჯიშვილი და ზაქარია ფალიაშვილის აკომპანიმენტქვეშ უმღერია წარმტაცი არიები „აბესალომიდან", „დაისიდან", მათი შექმნის პირველსავე დღეებში.

დიდი ხელოვანი დიდი შრომისმოყვარეაო, უთქვამთ. დიდ ტალანტებს ყოველთვის დიდი ოფლისღვრა და თავმოდრეკილი გარჯა სჩვევოდათო, დასძენენ. ეს ყველაფერი კიდევ უფრო აშკარა ხდება ფალიაშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიის უბრალო თვალის მიმოვლებითაც კი.

გასაოცარია, რაოდენი ძალა და ენერგია უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ ოცდახუთამდე ეგზემპლარად გადასწეროს საკუთარი ხელით „დაისის" კლავირი და პარტიტურა. შთამომავლობა მომავალში მოწიწებით გადაშლის და გადაფურცლავს სხვადასხვა ვარიანტებად შემონახულ მუსიკალური ხელოვნების ამ მეტყველ ძეგლებს. სახლ-მუზეუმში დაცულია ასობით ამოუკითხავი და ხელშეუვლები ნოტი, — ნამდვილი საგანძური ერის მუსიკალური წარსულისა. როგორი სიყვარული და პატივისცემა, სიდიადე და შთაგონება იგრძნობა მის ყოველ გვერდზე. რა გულმა გადმოსწურა თავისი სიღრმიდან ამგვარი სითბო და შუქი. რა გონებამ გაუძლო ასეთ გარჯასა და გულის ნგრევას. ნუთუ, მკლავი მაინც არ მოეღალა? თვალი მაინც არ მიელულა?

ძვირფასია და მეტად მნიშვნელოვანი ზაქარიას მიერ ფონოგრაფის ფირზე ჩაწერილი დღემდე უცნობი ხალხური სიმღერები. ჟრუანტელისმომგვრელია თვითონ ფონოგრაფი, ცოცხალი რელიქვიასავით რომ დგას ფალიაშვილის სხვა ღირსსახსოვარ ნივთთა შორის.

გულისყურით აუკინძავთ იმდროინდელი აფიშები. ისინი გვახსენებენ ისტორიულ თარიღებს; ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი ფალიაშვილის ბინაზე უკვე სწავლობენ ნაწყვეტებს „აბესალომიდან". ათას ცხრაას ცამეტი წლის ოცდაშვიდ აპრილს თბილისის ქართული თეატრის სცენაზე იდგმება „აბესალომ და ეთერის" ერთი მოქმედება. დირიჟორია ზაქარია ფალიაშვილი. ამ დღეს ქართული ხელოვნების დღესასწაული უწოდეს. მომდევნო წლებში ნაწყვეტები „აბესალომიდან" წარმოუდგენიათ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთსა და ბაქოში. ათას ცხრაას თოთხმეტი წლის თხუთმეტ იანვარს თბილისის სახაზინო საოპერო თეატრის სცენაზე პირველად გამოჩნდა „აბესალომი". აბესალომი იმღერა ვანო სარაჯიშვილმა. აღტაცებული დარბაზი ქუხდა. ზაქარია ფალიაშვილი სადღაც დაიკარგა. ათას ცხრაას ცხრამეტ წელს ალექსანდრე წუწუნავას დადგმით მაყურებელმა მოისმინა ოპერის ბოლო ვარიანტი. ათას ცხრაას ოცდასამი წლის ცხრამეტ დეკემბერს კოტე მარჯანიშვილს განუხორციელებია ოპერა „დაისი". ხუთი წლის შემდეგ სანდრო ახმეტელის დადგმით თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ფეხი შეუდგამს „ლატავრას". ფალიაშვილის ოპერებმა ნახეს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სარატოვის, ხარკოვის, ალმა-ატას, ოდესის საოპერო თეატრები.

დახვეწილი გემოვნებით შესრულებული ქართველი მხატვრების ნამუშევრები პოეტურ სამყაროს ქმნიან და გვაახლოებენ ფალიაშვილის მაღალ და კეთილშობილურ სულთან. ლადო გუდიაშვილის „შეხვედრა წყაროსთან" ჭეშმარიტად ფერთა სიმღერაა, ცისარტყელას ფეროვანი ტოტია, სხივთა ხვავითა და ჰაეროვანი სუნთქვით შეზავებული. ელგუჯა ბერძენიშვილის ესკიზები „განშორება", „შეხვედრა" და „ბროლის კოშკი" მშვენიერი ტილოებია. ზეცაში შედგმულა ბროლის კოშკი, ისეთი გამჭვირვალე და სათნო, როგორც ეთერი. ამგვარი შუქია გარშემო მიმოღვრილი, ტბის ზედაპირს რომ სჩვევია ხოლმე ადრიანი შეღამებისას. ქვაში მთვლემარე ალივითაა მერაბ ბერძენიშვილის მარმარილოში ამოკვეთილი ზაქარიას პორტრეტი.

არის ერთი არცთუ ისე გახმაურებული ფოტოსურათი: ფალიაშვილი წელსზემოთ მთლიანი სახით, გადაღებული მისი სიცოცხლის მიწურულში. გვიცქერის ზღვა ჰანგთა გულში დამტევი კაცი, ქართველი ორფეოსი, რომელიც სიმღერაში დაიწვა. ფოტოსურათზეა კეთილი, ნაცნობი სახე, გახსნილი, სხივიანი შუბლი, ღრმა, ბრიალა თვალები, ყვრიმალებთან მიჯრილი ნაოჭები, ოდნავ წახრილი ბეჭები.

ზრუნვითა და სისათუთითაა შერჩეული და ამოღებული ადგილები ზაქარიას მოგონება-წერილებიდან. სტენდების დამამშვენებელი ეს არამყვირალა, ორიგინალური და ჭკვიანური ამონაწერები შეხამებულია გაფორმების საერთო მხატვრულ სტილთან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ფალიაშვილი გვესაუბრება საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აქვეა კომპოზიტორის პირადი ბარათები. ბარათებიდან ირკვევა ბევრი რამ ახალი და საინტერესო: რამხელა ადამიანი ყოფილა ზაქარია. როგორი სულიერი მღელვარება განუცდია ვაჟის დაკარგვის გამო. როგორი პატივისცემით ეპყრობა უფროს ძმას, სახელგანთქმულ დირიჟორს ივანე ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიაშვილს. რამდენი ოცნება და ფიქრი დარჩენია განუხორციელებელი. რაოდენ ჰყვარებია ხალხი, კაცური კაცი, სამშობლო.

ლენინგრადიდანაა ჩამოტანილი გამოჩენილ კომპოზიტორთა ავტოგრაფების კრებული. კრებული შეუდგენია ნიკოლოზ ფინდეიზენს. შიგაა ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ფალიაშვილის, ბალანჩივაძისა და სხვათა უნიკალური ჩანაწერები.

საშვილიშვილო საქმე კეთდება ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში. სახლის დირექტორი, გულისხმიერი და მუყაითი მუშაკი ვაჟა ჩინჩალაძე, ნამდვილად ამისთვისაა დაბადებული. ზემდგომ ორგანოთა და მუსიკოს-კომპოზიტორთა ხელის შეწყობით მან უზრუნველყო წესრიგში მოეყვანათ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული უამრავი მასალა, მოეკრიბათ კომპოზიტორის ნათესავ-მეგობრებში გაბნეული ნივთები. მისი დაუღალავი, უანგარო შრომა-გარჯის ნაყოფია, შეიძლება პირდაპირ ითქვას, ეს შესანიშნავი, ყველაზე კარგი, ამგვარი სიყვარულითა და სისათუთით, ფაქიზი პოეტური გემოვნებითა და საქმის ცოდნით მოწყობილი მუზეუმი. ამ კაცის მხარიმხარაა მეცნიერ მუშაკი, მუსიკათმცოდნე იზა ნადირაძე. იზა, მეცნიერ მუშაკ ვაჟა გვახარიასთან ერთად, ერთ-ერთი ავტორთაგანია ზაქარია ფალიაშვილზე დაწერილი დოკუმენტურ-ბიოგრაფიული წიგნისა, რომელსაც მოკლე ხანში იხილავს მკითხველი.

პარტია და მთავრობა ყოველთვის ღირსეულად აფასებდა ზაქარია ფალიაშვილის მდიდარ მუსიკალურ მემკვიდრეობას. ათას ცხრაას ოცდახუთი წლის თორმეტ აპრილს მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. ათას ცხრაას ორმოცდაშვიდ წელს ფართოდ აღინიშნა მისი დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავი...

# გრძელდება ჰანგებში

...ოთახებში სიჩუმეა. მუსიკის მოსასმენი დარბაზი გარინდულია. მუსიკა, მხოლოდ მუსიკა ამბობს თავის სათქმელს. დარბაზიდან მოჩანს ზაქარიას სამუშაო ოთახი: დიდის სახსოვარი პატარა, მრგვალი სარკე, გრძელი მაგიდა, ჩვეულებრივი ძველებური საწოლი, რომელზეც მიიცვალა დიდი კომპოზიტორი.

ისევ მღერიან. ისევ იღვრება ტკბილხმოვანი ბგერები. ცხოვრება იწყება ხელახლა და სიცოცხლე გრძელდება ჰანგ...



ფოტო ო. თურქიასი.

ზაქარია ფალიაშვილის სახლი ქუთაისში



ვახტანგ ფალიაშვილი უკრავს ივანე ფალიაშვილისეულ ორღანზე



სახლ-მუზეუმის დირექტორი ვაჟა ჩინჩალაძე დამთვალიერებლებს ესაუბრება დიდი კომპოზიტორის ცხოვრების შესახებ.


ფალიაშვილისა
და ეთერ
Въ Пятницу 1-го Марта 1919 г.
Парадный спектакль
З. П. Паліева
Абесаломъ и Этер
Государственный театръ






ქართველ ხელოვანთა ერთი ჯგუფი ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში.



დაისი მთებში

# გურამ ვასაძე



ცისფერი პორტრეტი



საღამო ძველ თბილისში



სვანეთში

# სერგო ონანოვი



ფოტოეტიუდი



ხიდთან



— გადავწყვიტე ნიუ-იორკში დავდგა ბალეტი ქართულ თემებზე. მუსიკას ბალეტისათვის დამიწერს ჩემი ძმა — კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე.

# ჯორჯ ბალანჩინი



ფოტო ს. ონანოვისა

ჩვენი ფოტოკორესპონდენტის საუბარი ჯორჯ ბალანჩინთან, სასტუმრო „უკრაინაში" გაიმართა.

ფანჯარასთან ჩაფიქრებული ზის სამოც წელს მიღწეული ხელოვანი და ხედავს, როგორ ცოცხლდებიან მის გონებაში შორეული წარსულის სურათები.

1912 წელი. დედაჩემმა მარინე ნიკოლოზის ასულმა, ჩემმა ძმამ ანდრომ და მე ჩემი და თამარი პეტერბურგის საიმპერატორო თეატრალურ სასწავლებელში მივიყვანეთ გამოცდაზე, დირექტორში მამას ნაცნობმა, ამ სასწავლებლის პედაგოგმა გაიარა, გაიგო თუ არა ჩვენი მისვლის მიზეზი, შემომთავაზა, წამოდი, ტყუილად აქ დგომას შენც სცადე ბედიო. დავიბენი, მაგრამ დედის მიერ გათამამებული იმ კაცს საგამოცდო ოთახში შევყევი. გამიზომეს ტანი, მკლავები, ფეხები და აღარ გამომიშვეს. ეს სასწავლებელი მკაცრი რეჟიმის პანსიონატი იყო. დავრჩი. მამა კი კადეტთა კორპუსში მიპირებდა შეყვანას. ვერ ავიტანე რეჟიმი, გამოვიქეცი დეიდასთან. ჩემმა თხოვნამ არ გასჭრა, ისევ უკან მიმაბრუნეს. ჟურნალ „ამერიკის" ერთ-ერთ ნომერში მადლობას დეიდაჩემს—ნადეჟდა ნიკოლოზის ასულს უხდიან.

1928 წელი. პეტროგრადი... გამოთხოვება მეგობრებთან, ნაცნობებთან. მშობლების დარიგება, ათასი კოცნა, წინ ევროპაა, ტურნე რვა მსახიობთან ერთად. გერმანია... პირველი გასტროლები... წარმატებები... გასტროლები მრავალ ქალაქში.

მომდევნო წელი, პარიზი. ბალეტის მოყვარულნი, თაიგულები, ოვაცია... დღეს სპექტაკლს დაესწრო რუსული ბალეტის გამოჩენილი მოღვაწე დიაგილევი—დადგით ჩემთან რაიმე ბალეტი! მომმართა მან. რეპეტიციები მონტე-კარლოს ოპერის თეატრის სცენაზე... უეცარი დაავადება ფილტვების მძიმე სენით. მეგობრებთან გამოთხოვება, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან. მოკითხვა მშობლებს, ამხანაგებს, ნათესავებს, ლენინგრადს. დიაგილევის მზრუნველობით მკურნალობა შვეიცარიაში. და ისევ მონტე-კარლოს სცენა, ახალი სპექტაკლები. დიაგილევის დასაფლავება. მისი უკანასკნელი ანდერძი — ჩემს მაგიერ თქვენ უნდა განაგრძოთ აქ რუსული ბალეტის ხელმძღვანელობა... ჯორჯ ბალანჩინი დიაგილევის მაგიერ. ბალეტი-ბალეტს, რევიუ-რევიუს, სპექტაკლი-სპექტაკლს მოსდევდა. ახალი ბალეტი, ლონდონი.

1932 წელი, პარიზს „ვბრუნდებით გემით", თქვენ ბალანჩინი ბრძანდებით? — გთხოვთ მიცნობდეთ — ლინკოლ კირსტეინი. დამეგობრება. მიპატიჟება ამერიკაში. ბალეტი ამერიკაში. ამერიკელთა აღიარებით ახალი ხელოვნების დაბადება, პატარა სპექტაკლი, შემდეგ ტურნეები, ოვაციები.

...ერთხელ ჩემმა მეგობარმა პარიზში გასტროლების დროს მკითხა:

— ჯორჯ, მერამდენე ცოლი გყავს?

— მეხუთე.

— რატომ გაგირბიან ცოლები? — ეშმაკურად შემეკითხა იგი.

— იმიტომ, რომ მთელი ჩემი ფიქრებით, აზრებით, ჩემი ერთი 24 საათიანი დღის განმავლობაში ყველაზე დიდ დროს ვუთმობ სცენას, რეპეტიციებს, მხატვრებს, გამნათებლებს, და ვინ იცის რას. მათ კი მეტი დრო აქვთ, რომ მშვიდად დასტოვონ ჩემი სახლი.

ყველაზე მძიმე წუთებში მაგონდებოდა მამა, სახელოვანი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე. ვიცოდი, ის რომ ჩემს გვერდით ყოფილიყო, აუცილებლად არ გამიჭირდებოდა. მის გახსენებასაც კი მეორე დღესვე ჩემთვის წარმატება მოჰქონდა, ყოველთვის მწამდა, რომ იგი ჩემი თილისმა იყო.

საქართველოს ნახვა ჩემი ოცნება არის. ქუთაისში ხომ მამა ასვენია. უსათუოდ პირველი სპექტაკლის შემდეგ გავემგზავრები იქ. ამ წელს ნოემბერში 25 წლისთავი სრულდება, რაც მამა გარდაიცვალა. წარმოდგენილი მყავს ქართველი ხალხი; ალბათ ისინი ქუჩაში რომ დადიან, სულ მომღიმარე სახეები აქვთ, დარბაისლურად დადიან, შეიძლება სხარტად.

— არ ვიცი, ვნახოთ. მგონი, მგონი ვნახავ მათ. ბევრს ყველი ქუჩაში მარტო...

ევროპის მრავალ ქალაქში გასტროლების შემდეგ ბელგიიდან გეზი მოსკოვისკენ ავიღეთ.

ვერ დავფარავ ჩემს აღელვებას. მე ხომ ჩემს სამშობლოში ვბრუნდებოდი. შერემეტიევოს აეროდრომზე უამრავი ხალხი დაგვხვდა, მხოლოდ ერთ მამაკაცს უბრიალებდა თვალებზე ცრემლები. მთელი სისწრაფით ჩავირბინე ტრაპი, ჩემი ძმა ანდრო. ორმოცი წლის უნახავი ძმა და მისი ვაჟიშვილი ჯარჯი, სიხარულისაგან ახლად დაბადება...

ქართული კონიაკით დავლოცეთ ერთმანეთი... რამდენ რამეს იგონებდნენ... ჩვენი თვალებიდან უხვად გადმოღვრილი ცრემლები...

ვიცოდი, რომ ჩემი ძმა ანდრო კომპოზიტორი იყო, რომ მისი ბალეტი „მთების გულში" დიდი წარმატებით იდგმებოდა ბევრ სცენაზე, დიდი თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება „სიცოცხლის ფურცლები". მოვისმინე მისი 1 სიმფონია, მწამდა, რომ ჩვენი ოჯახი მამის ტრადიციებს გაჰყვებოდა. თურმე ანდრიას ბიჭი კარგი პიანისტია, მოსკოვში სწავლობს კონსერვატორიაში და უკვე ამიერკავკასიის ნორჩ მუსიკოსთა ლაურეატია, ქალიშვილი ცისკარა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალერინაა. გვილალატა ამირანმა: იგი ფიზიკოსი—ინჟინერია. ჩემი და თამარი მხატვარი იყო.

— თქვენი ეროვნება, ამერიკელი თუ რუსი? — ასე მომმართა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბელგიაში. უცნაური კითხვაა — ქართველი!

...ქართულ ადათ-წესებსა და სუფრას, რა დამავიწყებს. მამას ქუთაისიდან პეტერბურგში მოსდიოდა ლობიო, მწვანილი, ნიგოზი. ო, რა ალიაქოთი ატყდებოდა, თუ ვინ დაამტვრევდა კაკალს, რამდენჯერ ამიცდენია ქვასანაყი კაკლისათვის და თითები დამილურჯებია, ანდა ხარჩო, რომელსაც დღესაც მშვენივრად ვამზადებ, თავდავიწყებამდე მიყვარს ხაჭაპური... ტყემალი და... მაგრამ გატაცებით, მთელი არსებით მიყვარს ჩემი სამშობლო, მუსიკა და ბალეტი, რასაც მთელს ჩემს ცხოვრებას შევწირავ.



გატაცებით, მთელი არსებით მიყვარს ჩემი სამშობლო.

ნიუ-იორკის ბალეტმა ჯორჯ ბალანჩინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში გასტროლები დაამთავრა. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის საზოგადოებრიობამ გულთბილად მიიღო შეერთებული შტატების საბალეტო ხელოვნების ყველაზე ღირსშესანიშნავი კოლექტივი. სიამოვნებითა და პატივისცემით მიიღო ეს ბალეტი თბილისმაც. მით უმეტეს, რომ მისი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი, როგორც ამბობენ — თანამედროვე ბალეტის ერთი რეფორმატორთაგანი ჯორჯ ბალანჩინი ქართველია — ქართული კლასიკური ოპერისა და რომანსის ფუძემდებელი მელიტონ ბალანჩივაძის შვილი...

რა განაპირობებს ბალანჩინის კოლექტივის თავისებურებას—ბრწყინვალე ბალეტმეისტერის ქორეოგრაფიას? თვითონ მუსიკოსი და მუსიკის თაყვანისმცემელი ბალანჩინი ბალეტის არსს უქვემდებარებს მუსიკას: „ბალეტი მხოლოდ და მხოლოდ მუსიკისა და ცეკვისათვის არსებობს და არაფრით არ შეიძლება უბრალო და თავისუფალი სილამაზის დაჩრდილვა", აცხადებს ის. ამითაა გამოწვეული, რომ მისი ბალეტების დიდი უმრავლესობა უსიუჟეტოა. ბალანჩინს ბალეტი დიდი მუსიკის ხელისშემწყობად, ამ მუსიკის მსმენელთან დასაახლოვებელ საშუალებად მიაჩნია და ამითაცაა განპირობებული ის, რომ მის ცეკვებს საფუძვლად ბახისა და მოცარტის, ჩაიკოვსკისა და გლაზუნოვის, მენდელსონისა და რაველის, ბიზესა და ბრუკნერის, პროკოფიევისა და სტრავინსკის, აგრეთვე თანამედროვე დასავლეთის ყველაზე მოწინავე კომპოზიტორთა ქმნილებები უდევს საფუძვლად. ცნობილი საბჭოთა ბალეტმეისტერი მიხეილ გაბოვიჩი სამართლიანად წერდა, რომ „გაოცებს ბალეტმეისტერის იშვიათი ნიჭიერება არა მარტო შექმნას ახლებური მოძრაობანი, არამედ აკადემიური საცეკვაო „ლექსიკონის" გამოყენებით საცეკვაო „ენას" მისცეს პოეტური დანიშნულება. ბალანჩინი გაურბის მაყურებლის თვალში მომგებიან მკვეთრ ვირტუოზულ მოძრაობებს. მისი სტილი უფრო ლირიკული და ღრმაა. „ბალეტი —ეს ყვავილები, სილამაზე, ეს — პოეზიაა", — ამბობს ბალანჩინი და ეს მართალია."



...ქართულ ადათ-წესებსა და სუფრას რა დამავიწყებს.

ბალეტში სიმფონიური ჟანრის მომძლავრება — ეს ახალი ამბავი როდია. ამ ჟანრს მიმართავდნენ თავის დროს პეტიპა, გორსკი. ამ მხრივ საინტერესოა ბალეტთან ფრიად ახლო მდგომი პანტომიმური სანახაობანი, რომლებიც დიდი ოსტატების დადგმით, სიმფონიური მუსიკის თანხლებით სრულდება. შოსტაკოვიჩის მუსიკა ბელსკის ქორეოგრაფიაში პროგრამულ ჟანრში ჩამოყალიბდა. ბალანჩინის ბალეტი ბიზეს „სიმფონია დო-მაჟორის" მუსიკაზე — სრულიად არ გამომდინარეობს ნაწარმოების იდეური კონცეფციიდან. აქ საქმე გვაქვს ცეკვასთან, რომელიც კომპოზიტორის ჩანაფიქრის ერთგვარ ილუსტრაციას წარმოადგენს.

ბალანჩინის დასი, მათი ხელმძღვანელის განმარტებით, არ წარმოადგენს პრიმადონათა ასპარეზს. „ყველა თანაბრად ღირსია იყოს პირველი და უკანასკნელიც", — აცხადებს ბალანჩინი. მაგრამ მათ შორის არ შეიძლება არ გამოიყოს ექსტრა კლასის მოცეკვავენი ისევე, როგორც ერთ დროს ბალანჩინის მოწაფეები მარია ტოლჩიფი, მელისა გეიდენი და სხვანი, ქორეოგრაფის ახლანდელი მოწაფეები ვიოლეტა ვერდი, მელისა ხაიდენი, ნიკოლას მაგალანსი და განსაკუთრებით ალეგრა კენტი, რომლებიც შორს სცილდებიან ბალანჩინის სხვა მოწაფეთა ცეკვის დონეს.

ბევრი რამ არის სადავო ბალანჩინის საბალეტო მოღვაწეობაში და მის ქორეოგრაფიაში. მაგრამ ერთი კი ნათელია: მისი სახით საბალეტო ხელოვნებას ჰყავს დიდი ნიჭის მოცეკვავე ოსტატი, რომელიც თავისი შემოქმედებით ბევრს ახალსა და საინტერესოს წერს თანამედროვე ქორეოგრაფიის დიდ წიგნში. სასიამოვნოა, რომ რუსული ბალეტის დიად ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ხელოვანის შესახებ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში წერენ: 1962 წელს ცეკვის სამყარო ბედს დაუმადლის, რომ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჯორჯ ბალანჩინი.

მ. კიკნაველიძე





—ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში კრიმანჭული. რაოდენ დიდ და ღრმა კულტურას უნდა ფლობდეს ხალხი, რომ შექმნას ასეთი არნახული პოლიფონია!..

**თამაზ შათირიშვილი**

## დილა თბილისში

ბევრჯერ მინახავს მზე ამოდენა,
დანისლული და ძლიერ წითელი...
სხივებმა ბინდი მაღლა ამოდევნეს
და დაუკარგეს ფერი უწინდელი.

ვიგრძენი სიცივის დანაკლისი,
მზემ როცა სხივები მომაყარა.
ერთბაშად გაცოცხლდა — კოჯორი, მანგლისი,
დიღომი, წყნეთი და ოქროყანა.

მზეს ახლა ავსული ემალება,
დაეხეტება მარტო...
გაწვნენ ლიანდაგზე ელმავლები,
გზა, გზა მიეცით ფართო!

აბდავლდნენ ქარხნების საყვირები,
აყვირდნენ, გახელდნენ...
ღამე მთლიანად აყირავდა,
დიდება ახალ დღეს!

## მ თ ა წ მ ი ნ დ ა

მამადავითზე, მწვანე ნაძვებთან
კვლავ ილლებიან ხევენით წყვილები.
აქ გათენება ძალზე გაძნელდა,
ნაძვები დგანან დანაწვიმები.

არგათენებას ბევრი ნატრულობს
აქ, ამ სიბნელეს მომწყვდეულები...
მზე მაინც მთებში ხატავს ნატურმორტს,
მწიფე მსხლებით და ბროწეულებით.

მტკვარი უძვრება ხიდებს თაღებში
და მიაგორებს ტალღებს მრავალფერს...
ახლა მთოვარე სადმე დაჯდება
და ღამეს დილას გაუთანაბრებს.

ჩამოიბერტყავს წყვილებს მთაწმინდა
და შემოხვეულ ლამისფერ ბურანს...
მერე ნიავი დილის საწინდრად
წაიღიღინებს თავისებურებად.



79

### ჩაშლილი გეგმები

ეს შემთხვევები ერთსა და იმავე ღამეს მოხდა, ...უკვე კარგად იყო შებინდებული.

სადგურიდან მომავალი ქალი თბილისის პლეხანოვის ქარხანასთან შეჩერდა, ტყავის ჩემოდანი ქვაფენილზე დადო და შეშფოთებულმა გახედა ქუჩას. გზააბნეული მგზავრი ის-ის იყო უკან აპირებდა გამობრუნებას, რომ მისკენ მომავალი ორი მამაკაცი შენიშნა.

გამვლელები „კეთილ ანგელოზებად" მოევლინენ რაიონიდან ჩამოსულ კოლმეურნე ქალს. ერთ-ერთმა მათგანმა ძალისძალად ჩამოართვა მძიმე ჩემოდანი, მეორე ახალგაზრდამ კი თავაზიანი ღიმილით



# მოდიან რაზმელები!

ო. ლუარსაბიძე

ფოტო ო. კოლუასი

ალუთქვა მანდილოსანს, რომ ორიოდე წუთში სწორ გზაზე დააყენებდნენ მას.

გამცილებელთა ნაძალადევ სიცილში რაღაც საეჭვო და ავის მომასწავებელი იგრძნო ქალმა, მაგრამ ვიდრე რაიმეს მოსაზრებას მოასწრებდა, ყველაფერი უკვე დაგვიანებული იყო.

ელექტრონის შუქზე უცებ თვალისმომჭრელად გაიელვა ორმა ბებუთმა და კედელთან აკრულ ქალს ველის სისინივით ჩაესმა ყურში ახალგაზრდების დაგესლილი სიტყვები:

— ჩქარა ამოიღე ფული, თორემ აქვე გაგათავებთ!

...იმავე ღამეს თბილისში კიდევ აღმოჩნდნენ სხვა „კეთილი ანგელოზები", რომლებიც ფეხდაფეხ აედევნენ შინისაკენ მიმავალ ქალიშვილს და ხელსაყრელ მომენტში ავაზაკურად გადაუჭრეს გზა.

პირუტყვული ჟინით შეპყრობილმა მოძალადეებმა სანაპიროს ხევში შეათრიეს მსხვერპლი და ძალის გამოყენებითა და მუქარით შეეცადნენ ნამუსი აეხადნათ მისთვის.

...იმ ავადმოსაგონარ ღამეს არც ბათუმში, ზემლიანოვის ოჯახში დაუძინიათ მშვიდად.

შინ მოსულმა გალეშილმა ნიკოლოზ ზემლიანოვმა ჯერ მეუღლისა და ავეჯის ლეწვით მოიჯერა გული, მერე კი ორპირად გალესილ დანას წამოავლო ხელი და გამეტებით დაერია ოჯახის აწიოკებულ წევრებს...

რა თქმა უნდა, მკითხველებს უთუოდ დააინტერესებთ იმისი გაგება, თუ როგორ დამთავრდა ეს შემაზრზენი შემთხვევები, როგორი ბედი ეწიათ გასაჭირში ჩავარდნილ უმწეო და უდანაშაულო ადამიანებს.

ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით ვაუწყოთ ყველას, რომ ვერც ერთმა ბოროტგანზრახველმა ვერ მოახერხა სისრულეში მოეყვანა თავისი შავბნელი საქმე.

სახალხო რაზმელების გაბედული მოქმედებით თავიდან იქნა აცილებული ამ შემთხვევების მძიმე და სავალალო შედეგები.

დიახ, რაიონიდან ჩამოსულმა კოლმეურნე ქალმა ბოლოს და ბოლოს მშვიდობით მიაღწია მასპინძლის ბინას, ვერც პირუტყვული ჟინით შეპყრობილმა დამნაშავეებმა შეძლეს თავიანთი გულისწადილის შესრულება, არც ბათუმში, ზემლიანოვების ოჯახში დატრიალდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. საზოგადოებრივი წესრიგის ნებაყოფლობითმა დამცველებმა არა მარტო ჩვენს მიერ მოთხრობილი დანაშაულებების უვნებელყოფა შეძლეს, აბა ვინ მოთვლის, იმ ღამეს კიდევ რამდენი კეთილი და სასარგებლო საქმე გააკეთეს მათ, რამდენი ნაკლი და დანაშაული ამხილეს, რამდენ მოქალაქეს გაუწოდეს მეგობრული დახმარების ხელი...

### სახალხო არმია

ჩვენს ქვეყანაში პირველი სახალხო რაზმეულები ექვსიოდე წლის წინათ შეიქმნა.

ამ პატრიოტულმა წამოწყებამ თავიდანვე საყოველთაო მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა მშრომელებში. წარმოებებსა და დაწესებულებებში სწრაფად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი რაზმეულები, რომლებმაც უპირველეს ამოცანად კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის პრინციპების განხორციელება დაისახეს.

სახალხო რაზმეულები დღევანდელ ეტაპზე მძლავრ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად გადაიქცნენ, რომლებიც არა მარტო წესრიგის დაცვას ადევნებენ თვალყურს, არამედ დაუნდობლად იბრძვიან მექრთამეობის, წამგლეჯელობის, ლოთობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 8 ათასზე მეტი რაზმეული მოქმედებს, რომლებშიც 80 ათასამდე რაზმელია გაერთიანებული.

— დაუნდობლად ვებრძოლოთ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს, სანიმუშო წესრიგი დავამყაროთ ყველგან! — ასეთი ლოზუნგით იბრძვიან თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, საქართველოს სხვა ქალაქებისა და სოფლების სახალხო რაზმეულები.

ქების ღირსია ზუგდიდის რაიონის სახალხო რაზმეულების შტაბებისა და ოპერატიული პუნქტების მუშაობა, რომლებმაც თავიდანვე მონდომებით, მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი საქმეს.

რაიონში შეიქმნა ექიმთა ე. წ. „მფრინავი რაზმები", რომელთა მიზანია სხვადასხვა ადგილას მოულოდნელად შეამოწმონ მძღოლების სიფხიზლე და ამით დროულად აიცილონ მოსალოდნელი უბედური შემთხვევები.

საგზაო ავარიების შემცირების მიზნით, რაიონში მოეწყო წამახალისებელი კონკურსი „საუკეთესო ავტომეურნეობისა" და „საუკეთესო მძღოლის" საპატიო სახელწოდებების მოსაპოვებლად.

ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები, ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებად გადაიქცნენ. მათი აქტიური და უნარიანი მოქმედების შედეგად უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა სხვადასხვა უხეში დანაშაულისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

ორიოდე თვის წინათ თბილისში ჩატარდა საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც შეაჯამა და დადებითად შეაფასა სახალხო რაზმელების ნაყოფიერი მუშაობა. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ, ზოგიერთი რაზმელი ჯერ კიდევ უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, დაგვიანებით ცხადდება ობიექტზე, ხან კიდევ ცდილობს სრულიად აარიდოს თავი მორიგეობას.

თვითეულ შეგნებულ მოქალაქეს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ საამაყოა ატარებდეს სახალხო რაზმელის სახელს, საამაყო თავისი წვლილი შეჰქონდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში.

— ჩვენ გვაქვს ყველა პირობა და შესაძლებლობა, რათა წარმატებით გადავჭრათ ამოცანები, რომლებიც პარტიამ დაუსახა ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს, — აღნიშნა თათბირზე სიტყვით გამოსულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ, — ჩვენში ათასობით და ათეულ ათასობით პატიოსანი, დიდად შეგნებული ადამიანი ხალისით ახმარს მუშაობისა და სწავლისაგან თავისუფალ დროს საზოგადოებრივ მუშაობას. ბევრი ჩვენი რაზმელი არ უშინდება სიძნელეებსა და ერთგვარ უსიამოვნებას, რაც დაკავშირებულია დამნაშავე ელემენტებისა და ქცევის ნორმების დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლასთან, და იჩენს მამაცობასა და ვაჟკაცობას, გამბედაობასა და მოხერხებულობას. ეს ადამიანები უნდა დავაფასოთ, წავახალისოთ, განვაზოგადოთ და პოპულარიზაცია გავუწიოთ მათ გამოცდილებას.

### მათი სიტყვა და საქმე

ლენინის რაიონის მილიციის განყოფილებაში ვიმყოფებით.

მილიციის უფროსის მოადგილე პოდპოლკოვნიკი მ. ცინცაძე ეს-ეს არის დაბრუნდა სახალხო რაზმეულის შტაბიდან. იგი ყოველდღიურად ათწუთიან თათბირს უტარებს სამორიგეოდ მიმავალ რაზმელებს, მოკლედ აცნობს წინა დღეს მომხდარ საყურადღებო შემთხვევებს, ახალ ამოცანებს უსახავს მათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ სახალხო რაზმელებმა ტელეფონით აცნობეს მ. ცინცაძეს, რომ მათ ქუჩაში მოპარული მანქანა შენიშნეს, რომლის ნომერი წინდაწინვე ჰქონდათ ჩანიშნული.

— საჭირო ზომები უკვე მიღებულია! — მხნედ და ხალისიანად გაისმის ტელეფონის ყურმილში, — ორი სახალხო რაზმელი მილიციის მუშაკთან ერთად სასწრაფოდ დაედევნა ქურდს...

სახალხო რაზმელებს მილიციის სამორიგეოში წესრიგის დარღვევის „პირველი მერცხლები" — სტუდენტი ი. ჩხიკვაძე და მოსწავლე გ. თევზაძე შემოჰყავთ. ისევ ხმაურით იღება სამორიგეოს კარი და რაზმელები გ. ყანჩელი, ს. ჯანჭღავა და შ. ჰელია ახლა დებოშის ამტეხ, გალეშილ სტეფანე კირილიუკს უდგენენ მორიგე ლეიტენანტს...

ქალაქის მილიციის რაიონულ განყოფილებებში, რაზმეულების შტაბებსა და ოპერატიულ პუნქტებზე ყველაზე ნათლად იგრძნობა იმ ნაყოფიერი და სასარგებლო მუშაობის შედეგები, რომელსაც ყოველდღიურად ეწევიან სახალხო რაზმელები.

აი, ოქტომბრის ქუჩის დასაწყისში ქარხნის მოწინავე მუშები ა. კაპანაძე და ი. ნაზაროვი გაბედულად ეკვეთნენ შეიარაღებულ ხულიგანს და მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს იგი.

მაუდის ფაბრიკის სახალხო რაზმელმა ს. ეგაძემ მარტოდმარტომ შეძლო დაეკავებინა თავზეხელაღებული მძარცველი, რომელიც ცივი იარაღის გამოყენებით ცდილობდა მოქალაქეების გაძარცვას.

სახალხო რაზმელებმა — გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის" სტამბის მუშაკებმა ნ. ტოროტაძემ, შ. ქაჯაიამ და ი. ხაჩიძემ დროული დახმარება აღმოუჩინეს პასტერის ქუჩაზე ბოროტმოქმედ დანელიანის მიერ დაჭრილ მოქალაქე სამველიანს. დამნაშავის ვინაობის დადგენის შემდეგ ისინი ფეხდაფეხ დაედევნენ მოძალადეს, შეიპყრეს იგი და მილიციის განყოფილებაში წარადგინეს.

მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის მამაცი რაზმელები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ დასაჯილდოებლად წარადგინა.

...მხნე და მტკიცე ნაბიჯით მოდიან სახალხო რაზმელები: ექიმები და პედაგოგები, ინჟინრები და სტუდენტები, ქარხნებისა და ფაბრიკების მკლავმაგარი, ჯანმაგარი მუშები.

მოდიან გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანები, რომელთა თავდადებული საქმიანობით მტკიცე საძირკველი ჩაუდუღაბდა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

ყოველ კუთხესა და კუნჭულს სწვდება მათი მახვილი თვალი, ყველგან ფხიზლად და საიმედოდ დგანან საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის სადარაჯოზე.

ქება და დიდება მათ — მრავალმილიონიანი სახალხო არმიის მამაც ჯარისკაცებს!



რაზმელებმა მილიციის განყოფილებაში წესრიგის დამრღვევი მოიყვანეს.



ნეტა რაზე ფიქრობს ეს ახალგაზრდა?



— გამიშვით, ცოლ-შვილი მელოდება სახლში...

—მაპატიეთ, აღარ დავარღვევ წესრიგს...



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანა კანდელაკი

# ვარდის-ფერი კაბა

მხატვარი დ. ხახუტაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

1

კვირას კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში ახალგაზრდობის ზეიმი უნდა გამართულიყო.

ეს ამბავი ხუთშაბათს გავიგე. სახლში არაფერი მითქვამს. ზეიმზე წასასვლელად არც კაბა გამაჩნდა შესაფერისი, არც ფეხსაცმელები. მოსაწვევი ბარათი უჯრაში ჩავაგდე: ლამაზი მომეჩვენა და სამახსოვროდ მინდოდა დამრჩენოდა.

პარასკევს დედამ მკითხა:

— შენს უჯრაში ეს რა მოსაწვევია?

— ზეიმია კვირას... ფაბრიკაში მომცეს.

— მერე, რას გაჩუმებულხარ...

— არ გაპირებ წასვლას და რა უნდა გითხრა...

— რატომ?

— ისე, არ მინდა.

დედას სახე მოეღრუბლა, ამოიოხრა. არაფერი მითხრა.

შაბათს ადრე დავამთავრე მუშაობა. არ ვჩქარობდი. გავასუფთავე დაზგა, დავწმინდე იარაღები. კლუბში შევიარე, მეჩონგურე ქალთა მეცადინეობას დავესწარი და ფეხით ნელა გამოვწიე სახლისკენ.

გზაში ცვლის ოსტატი წამომეწია.

— ხვალ ვიცეკვებთ?

— ალბათ...

— შენ რაო, არ მოხვალ?

— ალბათ, არა...

— ალბათ, ალბათ, — გამომაჯავრა ნუცამ. — რა მოგეჩვენა?

— ხვალ დედას უნდა მივეხმარო. სარეცხი აქვს.

— მე კი ხვალინდელ დღეს მოუთმენლად ველი. ახალ კაბასაც ვიკერავ. კონცერტი იქნება. ამბობენ, ცეკვები სამ მოედანზე გაიმართებაო. შენ ხომ ისე გიყვარს ცეკვა, მოდი, რა?

ტროლეიბუსმა ჩამოიარა. ნუცა საჩქაროდ დამემშვიდობა და გაჩერებისაკენ გაიქცა. გზიდან მომაძახა:

— მაპატიე. მკერავთან მეჩქარება. მოდი აუცილებლად, გესმის?..

თვრამეტი წლისა ისე გავხდი, მკერავთან კაბა არ შემიკერია. ბევრიც არაფერი გამაჩნდა: ერთი სამუშაო კაბა, ერთი საშინაო და ერთიც საგარეო. სხვა დროს არ მიმიქცევია ამისთვის ყურადღება, მაგრამ ახლა... ახლა უკვე ის აღარ ვარ, რაც შარშან, შარშანწინ...

ერთი კაბის ყიდვას როგორ ვერ მოვახერხებ ჩემი ხელფასით. ოჯახს კაპიკსაც ვერ მოვაკლებ. მართალია, უფროსი ძმაც მუშაობს, პატარებიც პენსიას იღებენ მამის სიკვდილის შემდეგ. ოჯახი დიდი გვაქვს და რა ვქნათ.

ფიქრებში გართული სახლს მივუახლოვდი.

დედა აივანზე მელოდებოდა. ღიმილით შემხვდა:

— რატომ დაიგვიანე?

— ამოდი, მაკა, რაღაცას გაჩვენებთ. მალე ამოდი, მალე, — ზარივით გაჭკიოდა უმცროსი ძმა გოჩა.

— ხმა, ბიჭო! — შეუტია დედამ. — რა ბავშვია, ღმერთო ჩემო, არ აიკლო აქაურობა? — კარები შუათანა ძმამ მიტომ გამიღო. მასაც ეღიმებოდა.

— რა მოხდა ხალხო, რა გიხარიათ?

—გადი საძინებელ ოთახში—ჩამჩურჩულა მიტომ, ხელი მტაცა მაჯაში და ძალად შემაგდო შიგ.

ვხედავ — დედას საწოლზე ახალი კაბაა გადაფენილი, ვარდისფერი აბრეშუმის კაბა.

გავშტერდი.

— ვისია? — ხმადაბლა ვიკითხე და ფაქიზად გადავუსვი ხელი აბრეშუმს.

— ჩემია! — გაეცინა მიტოს.

— გატყუებს მაკა. შენია! — დაიყვირა გოჩამ.

ცრემლმორეული დედას ჩავეკარი მკერდში.

— არ მოგწონს?! — გაოცდა გოჩა.

— ძალიან!

— აბა, რატომ ტირი?

— ისე.

— მე და დედამ შეგირჩიეთ. უნივერმაღში ვიყიდეთ, — თავი გამოიდო მიტომ.

გმადლობთ!..

— არ წამიყვანეს, თორემ მეც შეგირჩევდი, — აწუწუნდა გოჩა.

— ჩაიცვი, შვილო. გვეჩვენე.

გამოვეწყვე და სარკის წინ დავდექი.

— რა ლამაზი ხარ, მაკა! — გაოცებისაგან პირი დააბჩინა გოჩამ.

— მართლა მიხდება?

— ძალიან გიხდება, შვილო...

— რომელიღაც მსახიობსა ჰგავხარ. რომელს არ ვიცი, — განაგრძო მიტომ.

— მშვიდობაში, შვილო. სიხარულში დაგეცვითოს!

— გათხოვებაში! — დაიყვირა გოჩამ და დერეფნისკენ მოჰკურცხლა.

— ენას მოგაჭრი ძირში, შე საძაგელო! — მივაძახე აწითლებულმა. — მითხარი დედა, შენი პალტოს ფულიდან დააკელი ხომ?..

— საგანგებოდ ვაგროვებდი საკაბის ფულს... არ გიმხელდი... ახლა ხომ წახვალ ზეიმზე?..

— ჩემო დედა! — დავუკოცნე დანაოჭებული სახე და ისევ მკერდში ჩავეკარი. —წამოდი შენც ხვალ ზეიმზე, გეხვეწები.

— იქ რა მინდა. სახლში ათასი საქმეა. კომენდანტმა გაგვაფრთხილა, ორშაბათიდან რემონტი იწყებაო. მღებავებს მინდა მოველაპარაკო, იქნებ შემითეთრონ სამზარეული. იმოდენა ავეჯს ხომ უნდა გამოზიდვა შუშაბანდში.

— მეც წამიყვანე ზეიმზე რა, — შემეხვეწა მიტო.— ფეხსაცმელებიც მე გაგიპრიალე. დიი-ახ!

— ტყუილად გიწვალია, ჩემო ძამია. მაკა ზეიმზე ახალი ფეხსაცმელებით წავა, — რიხიანად დაიძახა ოთახში შემოსულმა საბამ და შავი ფეხსაცმელები ჰაერში შეათამაშა.

— შენი ჭირიმე, საბა! — პირდაპირ ვიკივლე გახარებულმა, ფეხსაცმელები საჩქაროდ მოვირგე.

— დედოფალს არა ჰგავს ეს შეჩვენებული! — სიცილით შენიშნა საბამ და აღტაცებულმა თავით ფეხებამდე შემათვალიერა.

— მეც მინდა ახალი ფეხსაცმელები! — შეევედრა უფროს ძმას გოჩა.

— საახალწლოდ გიყიდი.

— დედა დაიფიცე!

— დედას გეფიცები!

— ხომ იცი, ტყუილზე დედას დაფიცება სირცხვილია.

— ვიცი, ვიცი. სიტყვა სიტყვაა. მენდე...

გოჩა ასკინკილათი გაიქცა აივანზე და ყვირილით ამცნო ამხანაგებს მომავალი საჩუქრის ამბავი.



2.

კვირას ყველას ადრე გაგვეღვიძა. ვისაუზმეთ და სამზარეულოდან შუშაბანდში ავეჯისა და ჭურჭლის გადაზიდვა დავიწყეთ.

მერე ბიჭები სარდაფის დასალაგებლად ჩავიდნენ. დედამ მათი შარვალ-ხალათი წესრიგში მოიყვანა. მე ოთახები დავალაგე. დღის ოთხი საათისათვის მოვრჩი საქმეს. გამოვეწყვე ახლებში და დედას გამოვეცხადე.

— წადი, შენი ჭირიმე. გზა მშვიდობისა! ოღონდ ბიჭებს დაენახვე.

ჩვენი სარდაფის ფანჯრები ქუჩაში გამოდის. მინაზე მივაკაკუნე თითით თუ არა, უმალ სამივე ძმა ღია ფანჯარას მოაწყდა.

— რა ლამაზი ხარ!

მიტომ თავში ჩაარტყა გოჩას:

— რა გაყვირებს მერე.

— დამიბრიყვე, განა? — აზლუქუნდა გოჩა.

— იქნებ, მოვიდე შენს წამოსაყვანად? — მკითხა საბამ.

— არა, ნუ შეწუხდები. ნახვამდის!..

ძმებს ხელი დავუქნიე და გზას გავუდექი.

შესაძლოა არც არავინ ამჩნევდა ჩემს ახალ ვარდისფერ კაბას. მე კი მეგონა ყველა მომჩერებოდა.

მშვენიერი ამინდი იყო. მშვიდი შემოდგომის დღე. პროსპექტი გაიჭედა პარკში მიმავალი ახალგაზრდებით. პარკიც ხალხით სავსე დამხვდა. ბევრი ვიარე, ძალიან ბევრი, ჩვენი გოგოების საძებრად. ვერავის შევხვდი. ბოლოს თავისუფალი მერხი მოვიხელთე. ორი ახალგაზრდა მომიახლოვდა.

— შეიძლება?

— დაბრძანდით!

— უჰ, როგორ დავიღალე, — თქვა შავგვრემანმა.

— ჰოდა, დაისვენე, —მიუგო წაბლისფერთმიანმა.

მათი საუბრიდან გავიგე, რომ შავგვრემანს ბონდო ერქვა, წაბლისფერთმიანს კი ზაზა.

— თქვენ... — მომმართა ზაზამ. — თქვენ არ იყავით ორკესტრის თანხლებით რომ იმღერეთ წელან ესტრადაზე? კაბით გიცანით. დიახ, ამ ვარდისფერი კაბით.

— არა. მე საერთოდ არ ვმღერი.

— მაგრამ ნუ შეეცდებით თქვათ, რომ მსახიობი არა ხართ, — ჩაერია ლაპარაკში ბონდო.

მსახიობობა ჩემი ოცნება გახლავთ ბავშვობიდან. როდესაც საშუალო სკოლა დავამთავრე, მამა აღარ მყავდა. ოჯახს უჭირდა. სწავლაზე ფიქრის დრო სად მქონდა. წავედი ფაბრიკაში. მალე ავითვისე მქსოველის პროფესია და მოწინავე მუშის სახელიც დავიმსახურე.

ტყუილი რა საკადრისია. ეს კი შევიფერე და სიამოვნებით გავიღიმე.

— მე და ჩემი მეგობარი მხატვრები ვართ, — თქვა ბონდომ.

— გინდათ დაგხატოთ? — მკითხა ზაზამ.

— მერე და, ახლა?

— იჯექით მშვიდად. მხოლოდ რამდენიმე წუთი. მეტს არ შეგაწუხებთ. უბრალოდ დაჯექით და მელაპარაკეთ.

— შენ დახატავ, ჩვენ კი ვისაუბრებთ. სწორი არაა გეთაყვა? — სიტყვა ჩამოართვა მეგობარს ბონდომ. მომიბოდიშა, სადღაც გაიქცა. მალე დაბრუნდა და შოკოლადი შემომთავაზა.

ზაზამ ფანქარი მოიმარჯვა და ხატვას შეუდგა. არ გასულა ათი-თერთმეტი წუთიც. ნახატი მზად იყო. ღიმილით შევათვალიერე ზაზას ნახელავი.

— რას იტყვით ნამუშევარზე?... არ მოგწონთ? — შემეკითხა ზაზა.

— ნუ იქნებით მკაცრი მსაჯული, — მთხოვა ბონდომ. — კაცმა მთელი ნიჭი და უნარი ჩააქსოვა ამ ნახატში. მაპატიეთ, თქვენი სახელი...

— მაკა!

— ძვირფასო მაკა, იყავით ლმობიერი, სხვათა შორის, რა მაგ სიტყვის პასუხია და, ძალზე ლამაზი სახელი გრქმევიათ. მიირთვით შოკოლადი.

— ჭაბუკო! თქვენ ასცდით ძირითად თემას, — თქვა ზაზამ.

— მომხსენებლის პროფესიული დაავადებაა!

— მაკა! მე ველი თქვენს განაჩენს, -- არ იშლიდა ზაზა.

— მე ამ სურათს ჩემს საწოლთან ჩამოვკიდებ!

— ესეც შენ. ერთით ნოლი...

— მადარიჩი შენზეა, ძმაო...

— შევარცხვინე, ვინც უკან დაიხიოს! გეპატიჟებით, მეგობრებო, ყავაზე.

— მაგრამ მე... მე, — საცოდავად დავიბენი.

— არ გიყვართ ყავა?!

— როგორ არა, მაგრამ...

— სიტყვა „მაგრამ" ფეხბურთის კომენტატორის საყვარელი გამოთქმაა, ნუ შევეცილებით მას. დავლიოთ ყავა... მაკა, გთხოვთ! — არ მეშვებოდა ბონდო.

თვალწინ დამიდგა დედა, საბა. ვიცი დამძრახავდნენ ჩემი საქციელის გამო. უცნობებთან კი არა, ნაცნობებთანაც მორიდებული ვარ, მაგრამ დღეს... დღეს ისეთი უცნაური, ისეთი კარგი და ბედნიერი დღე იყო, უარი ვერ ვთქვი.

წავედით კაფეში. დავლიეთ ყავა. მერე ფეხით წამოვედით სახლისაკენ. უკვე მოსაღამოვდა. ქუჩებში ლამპიონები აინთო. ზაზა და ბონდო მიკითხავდნენ ლექსებს, ჩუმად ღიღინებდნენ სიმღერებს.

მე ვუსმენდი და ვდუმდი. თავი სიზმარში მეგონა. მეშინოდა არ დამერღვია ეს საოცარი მყუდროება. როგორ მეთქვა ახლა ამ კარგი ბიჭებისათვის, რომ ის არა ვარ, ვინცა ვგონივარ მათ. ამის თქმა ძნელი იყო ჩემთვის.

გმირთა მოედანზე რომ მივედით, გავჩერდი. ორივეს გავუღიმე და დამშვიდობება დავაჩქარე.

— მიგაცილებთ სახლამდე! — თქვა ზაზამ.

— არა, არა. მე თვითონ წავალ. მაპატიეთ. ის არ იფიქროთ, ლექსები არ მიყვარდეს, ან ტკბილი ქართული სიმღერა. მე ისეთი მადლობელი ვარ თქვენი, მაგრამ მეჩქარება. შორსა ვცხოვრობ. ავტობუსით წავალ. ვერ შეგაწუხებთ.

— იქნებ გაწყენინეთ, მაკა? — გულისტკივილით მკითხა ბონდომ.

— გეფიცებით, ცუდი არაფერი გვიფიქრია, — მომიბოდიშა ზაზამაც.

— არა, არა, თქვენ, კარგები ხართ, ძლიერ კარგები. მეჩქარება, აკი გითხარით. მშვიდობით!

— ნახვამდის! რატომ მშვიდობით? — შემისწორა ზაზამ.

— ნახვამდის, ზაზა! ნახვამდის, ბონდო! — ხელი ჩამოვართვი ორივეს, ჩავჯექი ავტობუსში და შინისაკენ გავწიე.

3.

სახლში მოუთმენლად მელოდნენ.

— გვეღირსა, მოვიდა ჩვენი დედოფალი! — მომესმა საბას ხმა.

— ამ ჭინკებმა, რამდენი ხანია ივახშმეს და გაგიგია, ვის ეძინება. თვალებდაჭყეტილები გელოდებიან,— თქვა დედამ.

— ერთხელ კიდევ მინდოდა მენახე ახალ ვარდისფერ კაბაში, — წაილუღლუღა ნახევრად მძინარე გოჩამ.

— რა გითხრეს გოგოებმა, მოეწონათ კაბა? — მკითხა მიტომ.

— გოგოებმა?... კი, მოეწონათ, რა თქმა უნდა.

— რა იყო გოგო? რა ენა დაგება? — შეწუხდა დედა.

— მეტისმეტი ბედნიერებით თუ მომდის.

— სულაც არ გეტყობა, რომ... გიტირნია კიდეც. თვალებზე არ გატყობ? — მომახალა საბამ. თანაც ბიჭებს შეუტია: — აბა, ლოგინებისაკენ, სწრაფად!.. მიტო, ხვალ აღარ აპირებს სკოლაში წასვლას, თუ ხვალაც კვირა გგონია?

— ერთი წლის შემდეგ მეც სკოლაში წავალ, — მთქნარებით წაიღუღლულა გოჩამ და საძინებელი ოთახისაკენ წავიდა.

— მიამბობ, რა მოხდა პარკში? — ჩამჩურჩულა მიტომ.

— აუცილებლად, — დავპირდი და ძილი ნებისა ვუსურვე.

როცა უფროსები დავრჩით, დედას და საბას ყველაფერი მოვუთხრე. საბამ თავი გაიქნია, თვალებში ჩამხედა და ღიმილით ჩამილაპარაკა:

— დაგიბრმავებია ბიჭები... შენი ლამაზი კაბით, რა თქმა უნდა... იცი, ერთხელ მეც მოვიტყუე. ქუჩაში ჩხუბს შევესწარი. ჩავერიე. მოჩხუბრები კარგა რიგიანად მივტყეპე. ცნობისმოყვარენი გარს შემომეხვივნენ. მოკრივე ხართო? — მკითხეს. მეც თავი გამოვიდე და ჩემპიონად გავეცანი.

— მაგრამ რომ შემხვდნენ, რომ გაიგონ სიმართლე,— უზომოდ ვწუხდი. — რა გუთხრა, რა?

— ნახატი მაინც გვაჩვენე, — მითხრა საბამ.

— ნახატი? — უმალვე ჩანთას ვეცი. მიმოვჩხრიკე. ნახატი ვერ ვიპოვნე. — დამკარგვია. არ ვიცი სად...

ის ღამე თეთრად გავათენე. ფიქრი და სინდისის ქენჯნა მოსვენებას არ მაძლევდა.

ნეტავი, მაინც რომელი მსახიობი ვეგონე?.. რა საინტერესოა. გამთენიისას ძლივს ჩამეძინა.

საყვირის ხმაზე მიტომ გამაღვიძა. სასთუმალზე ჩამოჯდა და ჩუმად მითხრა.

— მიამბე, რა მოხდა პარკში.

— რა უნდა გიამბო, ბიჭო?

— ხომ დამპირდი!

— ბევრი ვიცეკვე, ვიქროლე საქანელაზე, ყავა დავლიე. უკრავდა მუსიკა. დიდძალი ხალხი იყო.

— სხვა მეტი არაფერი? — უნდობლად მკითხა.

— არაფერი!

— შენი წიწილები მოატყუე!

— მიტო!

ბიჭმა ხმა არ გამცა.

— საღამოს გიამბობ. მაგვიანდება ფაბრიკაში. აბა, ახლა ლაპარაკის დროა?

— კარგი, საღამომდე მოვიცდი. მაგრამ იცოდე.

— სიტყვა სიტყვაა...

საბა წასული დამხვდა. მეც საჩქაროდ ვისაუზმე. დედას დავემშვიდობე და წასვლა დავაპირე. წინ გოჩა გადამეღობა:

— გაგაცილებ, რა.

—მხოლოდ ჭიშკრამდე. მერე, კი ჰაიდა, სახლში. დედას არ აძებნინო შენი თავი.

ეზოში რომ ჩამოვედით, გოჩა გაიქცა და გროვად დაყრილ გაჯზე ყიჟინით აირბინა.

— ამ ბავშვს პატრონი არა ჰყავს? — გაჯავრდა ვიღაც მღებავის ტანსაცმლიანი ვაჟი და გოჩასკენ გაიწია. — ჩამოდი მანდედან. ჩამოდი ახლავე, თორემ მე ვიცი, რა დღესაც დაგაყრი.

მეცნაურა ახალგაზრდა მღებავი, მივაჩერდი. მანაც მომხედა და რომ დამინახა, გახარებულმა იყვირა:

— მაკა!

— ჰო, მე ვარ ბონდო, მე.

— ზაზაც აქ არის. ზაზა! — გასძახა ბონდომ მეგობარს. — მოდი, ბიჭო, ვინ განახო, ვინ ვანახო. —

ძველი ნაცნობებივით მივესალმეთ ერთმანეთს მე და ზაზა.

მერე სამივეს ერთბაშად გულიანად გაგვეცინა.

— თქვენს ადგილას რომ ვიყო, სულ ვარდისფერ კაბაში ვივლიდი, — რალაცნაირად ჩამილაპარაკა ზაზამ.

— მე კი ამ სამუშაო კაბაში უფრო მომწონს მაკა, — გამიღიმა ბონდომ.

—რომ არ ჩქარობდეთ, დაგხატავდით, — თქვა ზაზამ.

— შენ რაო, მაკას პორტრეტების კოლექციას აგროვებ?

ზაზას გაეღიმა. მეც გამეცინა. ბონდო გულდაწყვეტილი შემოგვყურებდა.

— მაკა, არ დაგაგვიანდეს ფაბრიკაში! — გადმომძახა აივნიდან მიტომ.

— მივდივარ!.. — ხელი დავუქნიე მიტოს. — ნახვამდის, ბიჭებო!.. რომ იცოდეთ, რა კარგები ხართ ორივენი...

—ვიცით, ვიცით, — იჭვნეულად ამომხედა ბონდომ.— გაგაცილებთ ჭიშკრამდე, შეიძლება?

— გამაცილეთ...



**შაქრო სამადაშვილი**

### დ უ რ ა ჯ ი

მომხდარა... ბევრჯერ დამიცდენია,
ახლა კი... ახლაც რად არ დასცილდა!
ვაი, საბრალოს სისხლი სდენია,
ვაი, საბრალო როგორ გაცივდა!

რა ლამაზია! — სულ დურაჯს ვუმზერ.
ფერთა ზეიმი არის მის გულზე.

დაუხუჭია თვალები მშვიდი,
თვალები — ჩემი განკითხვა დიდი.

ეს დახუჭული მშვიდი თვალები,
მეკითხებიან: არ გებრალები?

როს ვუმიზნებდი, ნეტავ, წამით ცა,
რად არ დაბნელდა; რად არ დამიცდა!

**დავით ხუროძე**

### დე, დაელოცოს...

მოლზე ირწევა მშვიდად აკვანი
და ცას შეჰხარის მიწა ლაღანით...
დე, დაელოცოს ქვეყნად გზა-კვალი,
არ დაელრუბლოს ეს ცა მაღალი.

რამდენი უნდა ნახონ თვალებმა,
რამდენი შესძლონ ჩვილმა ხელებმა.
ეს მზე ნუროდეს დაემალება,
აშორდეს ომის ციებ-ცხელება.

იბრძოლოს მხოლოდ გრდემლთან, ყანაში
და სულ იმწვანონ ასე ქედებმა...
ო, არასოდეს ჩემს ქვეყანაში,
აღარ ჩაიცვან შავი დედებმა.

**ნანული ქებურია**

### მაგ ლამაზ მთებს

მთებზე ნისლი გაწოლილა ტივებად,
ეს ჰადრებიც, რა ვქნა, ჩემი მგონია,
სიყვარული, ვიცი, მეპატიება,
მე მის გარდა არაფერი მქონია.

საქართველოს თეთრო მთებო მაღალო,
სალამურად გამითლია ლერწმები.
თქვენმა ტრფობამ თუ ოდესმე დამღალოს,
მაგ ლამაზ მთებს მკერდით შეველეწები.

### მთვარე დადის

რა ცა არი საფირონის,
რა მთებია ცად მიმწვდომი,
რა ნისლია, ო, ვისია,
რად წაავავს ქალის მანდილს.
მთები თითქოს წაკიდულან,
შუამავლად მთვარე დადის.

განა, მტერთა დასარბევი?
მაღლა მერცხლად ახაფრენი,
დილასავით გასათენი,
გულში ცეცხლად ასანთები,
საქართველოს ცა და მთები...



# ხეები რომ ზეზეურად არ კვდებოდნენ

ჭეშმარიტად, სახალხო მეურნეობაში არც ერთ ბუნებრივ სიმდიდრეს არა აქვს ისეთი დიდი ხვედრითი წონა და მრავალმხრივი მნიშვნელობა როგორც ტყეს!

ტყე — ადამიანის ჯანმრთელობის პირველწყარო, ქვეყნის აუწონავი სიმდიდრეა.

ჩვენს ტყეებს ძირითადად ნიადაგდაცვითი, წყალშემნახი და საკურორტო დანიშნულება აქვს.

საკურორტო დანიშნულების ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაც — საქართველოს ბუნებრივი სილამაზის თავსამკაული.

ეს ხეობა განუწყვეტელი ბიოქიმიური პროცესების ის ცოცხალი ლაბორატორიაა, რომლის სინთეზური პროდუქტებით (აქროლადი ფისოვანი ნივთიერებები) შეზავებული ჰაერი და მსოფლიოში განთქმული ბორჯომის მინერალური წყალი წლის ყოველ დროს კეთილსასურველ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობაზე. ამიტომაა, რომ აქ ყოველთვის შეხვდებით როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსულ მრავალ ადამიანს.

მივდივართ ბორჯომის სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციული შენობისაკენ და გვაგონებდა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები რომლებშიც აღნიშნულია:

ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოები გაუთანაბრდეს სტიქიურ უბედურებათა სალიკვიდაციო სამუშაოებს...

განა რა არის ასეთი ეს ლაფნიჭამია?..

ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას წინააღმდეგ მებრძოლი ოპერატიული ჯგუფის უფროსი ენტომოლოგის ნიკოლოზ კონსტანტინაშვილის სამუშაო ოთახში ბორჯომის სატყეო მეურნეობის დირექტორი აპოლონ გოცირიძეც დაგვხვდა.

— ნაძვის დიდი ლაფნიჭამია ჩვენს პირობებში ფრიად სერიოზული მავნებელია, — გვითხრა ა. კონსტანტინაშვილმა, — მისი მატლი და ხოჭო იკვებება ნაძვის ლაფნით, ახუსტებს და საბოლოოდ ახმობს მას. დღეისათვის ბორჯომ-ბაკურიანის ტყის მასივში ამ მავნე მწერის მიერ სხვადასხვა სიძლიერით დაზიანებული ნაძვები აღრიცხულია 41.500 ჰექტარზე. და თუ თვითეულ ჰექტარზე ამ მავნებლით საშუალოდ დაზიანებული იქნა 10 ძირი ნაძვი, მაშინ 41.500 ჰექტარზე ნახევარი მილიონი ძირი მაინც გამოვა დასაღუპავად განწირული.

ჩვენ ახლა ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მივმართავთ დიზელის საწვავისა და ტექნიკური ჰექსაქლორანის 4 პროცენტიანი ნაზავის შესხურებას ნაძვის ღეროებზე. შესხურებას ზურგზე მოსაკიდებელი აპარატებით ვაწარმოებთ. შედეგი კარგია, მაგრამ დიდი დაქანების ფერდობებსა და მიუვალ ადგილებში შეწამვლა არ ხერხდება და იქ მავნებელი უვნებელი რჩება. თუმცა დღემდე არსებულ მეთოდებს თავისი ეფექტიანობით მაინც ეს უკანასკნელი სჯობს.

— გასულ წლებში მივმართეთ იძულებით ღონისძიებას, ძლიერ დაზიანებული ნაძვების მოჭრას და არცთუ მცირე რაოდენობით მოვჭერით... პარალელურად ვაწარმოებდით პარადიქლორბენზოლის და დიქლორეთანის შეყვანას ხოჭოების სახვლელ ხვრელებში სამედიცინო „შპრიცის" საშუალებით, ვახდენდით დაზიანებული ადგილების ჩამოფხეკას და ჰექსაქლორანის და ზეთიანი სალებავის წასხებას. ტყის მასივებში ასეთი ღონისძიების გატარება მეტად მოუხერხებელი და შრომატევადი იყო, თუმცა ამ მხრივ არც ახალი ღონისძიებით ვართ დაზღვეული. აღნიშნული საშუალებები რეკომენდირებულია საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მიერ, რომელიც ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას საკითხის დამუშავებას 1957 წლიდან შეუდგა. მიმდინარე წლიდან ამ საკითხის შესწავლას ხელი მოჰკიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის და ზოოლოგიის ინსტიტუტმა. ახალციხის რაიონში კვლევით სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

* * *

ბორჯომის ხეობის ეს უბოროტესი მტერი, ნაძვის დიდი ლაფნიჭამია პირველად შენიშნული იქნა 1956 წლის აგვისტოში ბორჯომის სატყეოს 180-135 კვარტლებში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად. სულ დაზიანებული იყო 200 ძირი ნაძვი. სატყეო მეურნეობებს მივეცით წერილობითი მითითებები ასეთი ნაძვების მოჭრის, გაქერქვის და ჰექსაქლორანით დამუშავების შესახებ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მითითება ადგილებზე არ შესრულდა, ხოლო მავნებელი მასობრივად გამრავლდა. მავნებელი ჩვენში შემოყოლილია რუსეთიდან გაუქერქავად შემოზიდულ ხე-ტყეს... დღეისათვის მისი კერები ნაპოვნია ბორჯომის, ახალციხის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის და ამბროლაურის რაიონებში. საქართველოს ტყეებში ნაძვის დიდი ლაფნიჭამია აზიანებს აღმოსავლურ ნაძვს, ბალპარკებში კი ევროპის და ენგელმანის ნაძვს. დაზიანებული ნაძვის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სიხშირითაა მასზე დასახლებული მავნებელი. იგი ძირითადად სახლდება ღეროზე ნიადაგის ზედაპირიდან 2-8 მეტრის სიმაღლემდე. ეკონომიური თვალსაზრისით მეტად სერიოზული მავნებელია, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ლაბორატორიამ ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოსცადა ათამდე სხვადასხვა ქიმიური პრეპარატი. შევჩერდით პარადიქლორბენზოლისა და დიქლორეთანის ნაზავზე, რომელიც შეგვყავს ხოჭოს სასვლელებში ხელის ინჟექტორის საშუალებით. ეს ხელსაწყო ჩვენი შეკვეთით კონსტრუირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ.



ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის წინააღმდეგ ხელის ინჟექტორის გამოყენება.

პროფესორ ფ. დ. რუდნევის რჩევით, ჩვენს მიერ პირველად ამ მავნებლის წინააღმდეგ გამოცდილი იქნა დიზელის საწვავისა და ტექნიკური ჰექსაქლორანის ნაზავი, აღნიშნული ღონისძიება არ არის ეკონომიური, ამასთან მისი ხშირი გამოყენებით მოსალოდნელია ხის ქერქის დაზიანება, ლაბორატორია ახლა აწარმოებს ცდებს იმ მიმართულებით, რომ ხსნარში დიზელის საწვავის რაოდენობა შევამციროთ წყლის ხარჯზე სულ მცირე 50 პროცენტით. აგრეთვე ვფიქრობთ მივმართოთ ბრძოლის ბიოლოგიურ და ბაქტერიულ მეთოდებს, როგორც ყველაზე მოხერხებულ საშუალებას ტყის პირობებისათვის.

ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, ალბათ, სულ მოკლე დროში გამონახავენ საშინელი მავნებლის — ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალურ საშუალებას და ყოველმხრივ შეგვიწყობენ ხელს იმაში, რომ ჩვენს ტყეებში ხეები ზეზეურად აღარ კვდებოდნენ.

გონდო ალავიძე

ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის კერა ქერქის ქვეშ (მატლები და ხოჭოები).



ჰაინც კრუშელი

# გამბედავი ქალი

**რ**ოდესაც გეორგ ბიანჩი კოხტა ვია ვენტოზე მდებარე კაფე „დონიდან“ თავის „ალფა რომეოში“ ჩასაჯდომად ქუჩაში გამოვიდა, დასავლეთიდან კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა.

არ იცოდა კონფერენციის დაწყებამდე რა დრო იყო დარჩენილი, მაგრამ მანქანით მაინც ნელ-ნელა გაუყვა გზას.

გზადაგზა სულ იმ კაცზე ფიქრობდა, რომელიც დილას სახლში დატოვა. რაღაც უსიამო გრძნობა დაეუფლა, რომელიც ბოლოს შიშად გადაექცა.

დღეს, დილას მოხდა ეს ამბავი. გარაჟში მიდიოდა. გამოვიდა თუ არა სახლიდან, იქვე ბაღჩასთან კაცი დაინახა. კაცს ლაბადა ეცვა. საყელო აეწია. შლიაპა ღრმად ჰქონდა სახეზე ჩამოფხატული. იცნო. იგი ტიტუს ულავო იყო, მისი სკოლის ამხანაგი, რომელიც ომის დამთავრებისთანავე შეერთებულ შტატებში წავიდა და იქ ამერიკელთა არმიაში გამომცდელ მფრინავად ჩაირიცხა. ამის შემდეგ მასზე აღარაფერი სმენია.

შინ მიიწვია. თავისი მეუღლე ჯინა წარუდგინა. მერე ჰკითხა, ხომ არაფერი უჭირდა.

შენიშნა, რომ ტიტუსი მოუსვენრად აცეცებდა თვალებს, როცა თავის ისტორიას პასიანსის კარტივით შლიდა.

— მარცხი განვიცადე. სამი თვის წინ უკანვე დავბრუნდი. ნეაპოლში ჩემოდანი და ფული მომპარეს, რომამდე მაინც ჩამოვაღწიე. ერთ ქალთან სულელური ამბავი დამემართა. ახლა ჩრდილოეთისაკენ ვაპირებ გამგზავრებას. ჩემს დას წერილი მივწერე, ფული გამომიგზავნე-მეთქი. პასუხამდე ორიოდე დღე მჭირდება. და აი, შენი მისამართი ავიღე. შეიძლება აქ დავრჩე? — ჰკითხა მან ბოლოს.

გეორგ ბიანჩი დიდხანს არ დაფიქრებულა. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მისი ძველი, სკოლის ამხანაგია, რომელიც ახლა დახმარებას თხოვს. უარის თქმა როგორ შეიძლებოდა. მხოლოდ ჰკითხა:

— ჩემი მისამართი საიდან იცოდი?

— ტელეფონის წიგნების მეტი რაა! — გაუღიმა კაცმა.

ჯინამ შესთავაზა: — ახლავე ცალკე ოთახს მოგიწყობთ. დაღლილი იქნებით!

ბიანჩი მალე წავიდა შინიდან. გამომშვიდობებისას ჯინამ აკოცა. ქალს ჩვეული ხალისი აღარ ემჩნეოდა. თითქოს ღელავდა.

მან ჭიშკართან ახალი გაზეთი იყიდა. სწრაფად აირბინა ვესტიბიულის კიბეები და ლიფტში ჩაჯდა. გაშალა თუ არა გაზეთი, შიდა გვერდზე თვალი მოჰკრა თავისი სკოლის ამხანაგის ტიტუს ულავოს პორტრეტს. პორტრეტის ქვეშ რაღაც ავის მომასწავებელი წარწერა იყო: სისხლიანი ბოროტმოქმედება გაგიჟების დროს.

სახეზე ჭირის ოფლმა დაასხა და ცახცახით ჩაიკითხა დანარჩენი სტრიქონები:

ვის ჰყავს ნანახი ეს კაცი? ლაპარაკია ყოფილ ამერიკელ მფრინავზე, სულით ავადმყოფზე, რომელმაც გაგიჟების დროს, რაც მას პერიოდულად მოსდის, სიცოცხლეს გამოასალმა მოხუცი ცოლ-ქმარი და მძიმედ დასჭრა ორი სხვა ადამიანი! თუ ვინმემ იცის მისი ადგილსამყოფელი, ვთხოვთ გვაცნობოს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში.

ბიანჩს შიშისგან თავზარი დაეცა. უკანვე ჩაჰყვა ლიფტს და შვეიცარს პაწია ბარათი დაუტოვა. ბოდიშს იხდიდა. ოჯახური მდგომარეობის გამო, კონფერენციაზე ვერ დავესწრებიო.

მანქანის წინ ჩაფიქრებული შედგა. არ იცოდა, რა ექნა. შეატყობინოს პოლიციას? მაგრამ ჯინასა და პატარა ოთხი წლის ფლორენცოს რომ უდიდესი საფრთხე ემუქრება? ხომ შეიძლება იმ კაცმა შური იძიოს, როცა შეიტყობს, რომ მიაგნეს. სჯობს მარტო წავიდეს. გადაწყდა: მხოლოდ შინისკენ!

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა.

ჯინა ბიანჩიმ მაშინვე მიუჩინა უცხოს ოთახი, მაგრამ იგი მაინც დერეფანში იდგა ლაბადაგაუხდელი და დიასახლისს ეკითხებოდა: ამ სახლში მათ გარდა თუ ცხოვრობს სხვა ვინმე, ანდა რა მანძილზეა ყველაზე ახლო მდებარე სახლი.

— არა, აქ სხვა არავინ არ ცხოვრობს, — უთხრა საგონებელში ჩავარდნილმა ახალგაზრდა ქალმა. ამ სახლშია მხოლოდ ფლორენცია მისი ბავშვი და ძაღლი ტომი. არც ახლომახლო სახლობს ვინმე. — რად უნდ ნეტავ ამის გაგება? ან რატომ არ წვება?

კაცი მოშვილდულ წარბებს ნერვიულად იჭმუხნიდა.

არა, იგი დაღლილი არ არის. ალბათ, გამოძახებას უცდის და იმიტომ დგას ტელეფონთან, — ჯინამ მხრები აიჩეჩა. პალტო ჩამოიღო.

— სად მიდიხართ?

კაცი მას თანდათან უფრო მეტად აღშფოთებდა.

— მედუქნესთან. მე ყოველთვის ამ დროს მივდივარ ხოლმე, როცა ფლორენცოს სძინავს.

— თქვენ ახლა არ წახვალთ, მოწყალეო ქალბატონო, გესმით, გთხოვთ, ახლა არ წახვიდეთ! — უთხრა ძალიან წყნარად, მაგრამ დაჟინებით ტიტუს ულავომ.

კაცს ხელები უკანკალებდა. თვალები ველურივით უელავდა.

ჯინამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— ცუდად არის ამ კაცის საქმე, — გაუელვა ქალს ფიქრმა და საშინელი განწყობილება დაეუფლა.

— გაზეთი ხომ არა გაქვთ? — ჰკითხა უცხომ.

ქალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ჩვენ ძალიან იშვიათად ვკითხულობთ გაზეთს.

— მაშ თქვენ არაფერი არ იცით?

შემკრთალმა ჯინამ ისე გამალებით დაიხია უკან, რომ სამზარეულოს კარს მიაწყდა.

— რა უნდა ვიცოდე? მე ვიცი მხოლოდ, რომ თქვენ გეორგის სკოლის ამხანაგი ხართ, მაგრამ, როგორღაც, უცნაურად კი იქცევით!

კაცმა ირიბად გადახედა.

— გთხოვთ, მომიტევოთ. მე მეგონა, რომ... ჩემს საქციელს ყურადღებას ნუ მიაქცევთ... მე ვიყავი გამომცდელი მფრინავი. გესმით ეს რას ნიშნავს? არა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ, თქვენ არ შეგიძლიათ იცოდეთ ის საშინელება, როცა კაცი ყოველ წუთს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ჰკიდია, როდესაც კაცს აზრი და მეხსიერება ეკარგება და მათგან მცირე ნაწილიღა უბრუნდება უკან, როდესაც კაცი უკვე ადამიანი კი აღარ არის, არამედ მხეცია, სისხლში ხელებამოსვრილი მხეცი. გასაგებია თქვენთვის?

შეშინებული ჯინა უსიტყვოდ უქნევდა თავს.

— ეტყობა, ეს კაცი სულით ავადმყოფია, — გაიფიქრა შეძრწუნებულმა ქალმა. — ღმერთო ჩემო, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს!

ქალმა ძალ-ღონე მოიკრიბა და სამზარეულოში გავიდა. კაცს ყურადღება არ მიუქცევია. იგი სკამზე იჯდა მოკუნტული.

ჯინამ სამზარეულოს ქურასთან დაკუნტული ძაღლი რომ დაინახა, უცებ რაღაც აზრი დაებადა — ქაღალდის ნაგლეჯზე სწრაფად რამდენიმე სიტყვა წაჯღაბნა, ქაღალდი ძაღლს ყელზე შეაბა და რაღაც ანიშნა.

კაცი სკამზე თავჩაქინდრული იჯდა. იშვიათადღა იხედებოდა.

როდესაც ქალმა ძაღლი კარში გაიყვანა, დერეფანი კვამლით იყო სავსე. საფერფლეზე პაპიროსის ნამწვავები აღარ ეტეოდა. ჯინას უნდოდა საფერფლე დაეცალა, მაგრამ კაცმა უცებ ჩუმად დაილაპარაკა.

— მე არასოდეს არა მჯეროდა, მაგრამ წინასწარ კი მითხრეს: თუ შენ საჰაერო ფლოტში გამომცდელ მფრინავად ხუთ წელს გაძლებ, ან ჭკუიდან შეიშლები, როგორც მაიორი კლოდი, რომელიც ხიროსიმას უშენდა ბომბებს და ბოლოს საგიჟეთში გაგზავნეს, ანდა მკვლელი უნდა გახდე, რადგან ისინი არავის ინდობენ, ვინც გამოსადეგი აღარ არის, მჩვარივით მოისვრიან ხოლმეო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ე. მოსევი.

## ნამდვილი ამბავი

კაცის მოყვითალო-მოყავისფრო შუბლზე ოფლის წვეთები ბრწყინავდნენ. თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ისე განაგრძო:

— ყველა ადამიანი საძაგელია, ყველა, ყველა. ისინი უგვანო და უფერულნი არიან, მხოლოდ მათი სისხლი, მათი სისხლია წითელი, — ყელში მომდგარმა ყრუ ქვითინმა სიტყვა გააწყვეტინა.

— მოყევით გეთაყვა, — უთხრა ჯინამ ძლივს დამორჩილებული ხმით. დროის მოგება უნდოდა, მაგრამ იმ წამსვე, შიშისაგან გულგახეთქილი, უკან გახტა.

ტიტუს ულავო ნადირივით წამოვარდა. სიბრაზისაგან სახე ნაკვერცხალივით უვარვარებდა. მან არაადამიანური ხმით დაიღრიალა:

— ასე გსიამოვნებს ამ ამბის მოსმენა? რა მოგიყვე, ის გიამბო თუ როგორ წიოდნენ უმწეო ბავშვები და მოხუცები? თუ ის, ბენ სვერსონმა როგორ დააყარა მათ ყუმბარები? ანდა პილოტი ტესი კლიმი თვითონვე როგორ დაიღუპა ოცდამეათე გაფრენის შემდეგ? განუწყვეტლივ მოსდიოდა პირიდან სისხლი. სულ სისხლი. სულ სისხლი!

ქალი კიბესთან მივიდა. პირველ საფეხურზეც კი ჩადგა ფეხი, მაგრამ კვლავ გაიფიქრა: — უნდა როგორმე ავიტანო, საჭიროა ფლორენცოს დაცვა. შეიძლება მედუქნემ შეამჩნია ბარათი ტიმის ყელზე. მაშინ პოლიცია რამდენიმე წუთში აქ გაჩნდება.

ოთახიდან ბავშვის ტირილი მოისმა.

— ბავშვს უნდა მივხედო, — თქვა ქალმა. კაცის ზურგს უნდობი მზერა მიაპყრო და სწრაფად შეაღო ბავშვის ოთახის კარი. ფლორენცო ხელში აიყვანა, ფანჯარასთან გაჩერდა და მოუთმენლად გაჰყურებდა მოძალებულ წვიმას.

ცოტა ხნის შემდეგ უცხომ დერეფანში კვლავ შფოთი და ხმაური ატეხა და იმ ოთახისაკენ დაიძრა, სადაც ქალი და ბავშვი იყვნენ, მაგრამ კარებამდე ვეღარ მიაღწია — ორმა ლიმუსინმა ელვის სისწრაფით მოირბინა.

ჯინამ დაინახა პოლიციელები. შემდეგ ძახილი და სროლის ხმა შემოესმა. როცა ყველაფერი მიწყნარდა და ვიღაცამ მისი სახელი დაიძახა, მაშინღა გამოვიდა გარეთ. კიბის წინ ძაღლი იჯდა. ზღურბლზე კი ყოფილი პილოტი, ტიტუს ულავო იწვა. სახეზე თავშალი ეხურა.

ქალი ფიქრებიდან მუხრუჭების გამაყრუებელმა ხმაურმა გამოიყვანა. სახლის წინ „ალფა რომეო“ გაჩერდა.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა
82



ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): რაჟდენ გვეტაძე, ტიციან ტაბიძე, ნინო ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი. სურათი იბეჭდება პირველად.

# რაჟდენ გვეტაძის არქივში

**(მწერლის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო)**

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რაჟდენ გვეტაძის არქივში ბევრი საინტერესო მასალა და დღემდე უცნობი ფოტოსურათი ინახება. აქაა მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვა, წარმოთქმული მწერალთა კავშირში „ლაშაური სალამოების“ საჯარო განხილვის დროს. არქივში აღმოჩნდა რაჟდენ გვეტაძის უკანასკნელი ლექსი „მშვიდობით“, რომელიც დათარიღებულია 1952 წლით.

ფოტოსურათები აცოცხლებენ ძვირფას ადამიანთა სახეებს: აი, გერონტი ქიქოძე და რაჟდენ გვეტაძე ქვიშხეთში; ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი ქუთაისში, მწვანეყვავილაზე (იქვე, სადღაც ახლო, რაჟდენის ძველი, მამისეული სახლია); რაჟდენი მეუღლესა და პირველ შვილთან — გურამთან ერთად...

მეტად საყურადღებოა ვრცელ მხატვრულ ტილოდ გამიზნული ეპოპეა-მოგონებათა წინასწარ მოხაზული გეგმა. ორიგინალურად, თავისებურად ჩაუფიქრებია ეს პროზაული ნაწარმოები მწერალს. მასში უნდა შერწყმულიყო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პირადი ცხოვრება მღელვარე ეპოქის სულთან.

გეგმა-მონახაზის უბრალო თვალის გადავლებაც კი გვარწმუნებს, რომ რაჟდენ გვეტაძე მახვილი თვალისა და საკუთარი გზის მქონე შემოქმედია, სინამდვილის ამსახველი მწერალია. მისთვის უცხოა ყალბი და ნაძალადევი თემა თუ სიუჟეტი. იგი მუდამ ხალხში ტრიალებდა, წერდა იმას, რასაც გრძნობდა და განიცდიდა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ნაწილს ამ ეპოპეა-მოგონებათა გეგმა-მონახაზიდან:

„...მშობლები. უფროსი ძმა. სახლი. ეზო. ქუჩა. პირველად ანბანის სწავლა. 1905 წელი. მამაჩემის მიერ დედულეთში წაყვანა. სოფელი. ზამთარი. უკან დაბრუნება. ქუჩაში რევოლუციონერის დედის ტირილი. ყანა. კამეჩები. ლომა.

ბიძაჩემი ბესარიონი — მეკვლე. ბიძაჩემის მიერ ხამლით ფულის ნახვა. გამდიდრება. მეზობლები: გიორგი ჩირაძე, თედორე ბრეგაძე, ალექსი გიორგაძე (პუწკია).

სკოლა პეტრიაშვილის სახელობისა. მასწავლებლები: აზნიაიძე და ოდიშარია. მღვდელი გიორგაძე.

ძმის სიკვდილი. ხოკასაგან იმავ წელს კამეჩების დახოცვა. ლომა. ლამაზი რქები. ფერშალი ბოლქვაძე (კინო-მსახიობის თამარ ბოლქვაძის მამა). ბიძაჩემი ყვებოდა ერთ ამბავს ბუხრის პირას (ცხენი და უნაგირი) — ახალი წუღები დამეწვა.

გაჭირვება... ოჯახს რომ მოვეხმარებოდი, სკოლის შემდეგ, უფრო კვირაობით, დავიარებოდი მწვანე ბაზარში, სანოვაგეს ვეზიდებოდი...“

ამას წინათ ლუვრში აპოლონის გალერეაში მოეწყო გამოფენა, რომლის მსგავსი ჯერ არ ახსოვს ისტორიას. გალერეაში წარმოდგენილ იქნა მსოფლიოს 200 ცნობილი ბრილიანტი, რომლებიც ინახება სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო საგანძურებში, ცეცხლგამძლე სეიფებსა და მუზეუმებში. ამ უჩვეულო გამოფენის იდეა წარმოიშვა ოცი წლის წინ, ხოლო ჩანაფიქრის საბოლოო განხორციელებას წინ უსწრებდა კიდევ ორწლიანი მოლაპარაკებანი და კონფერენციები. ექსპონირებული ბრილიანტების ფასი მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

გამოფენის მუშაობის დროს, როგორც აპოლონის გალერეა, ისე მთელი ლუვრი მკაცრად იყო დაცული, უფრო მკაცრად, ვიდრე საფრანგეთის ეროვნული ბანკი. ბრილიანტები მოთავსებული იყო ვიტრინებში სქელ, ტყვიაგაუმტარი მინის ქვეშ. დამთვალიერებლებს, რომლებიც თითოთითოდ მოძრაობდნენ მოაჯირის გასწვრივ, შეეძლოთ მათი დანახვა მეტრნახევარ მანძილიდან. საკმარისი იყო რომელიმე მათგანს გადაელახა აღნიშნული ზღვარი, რომ მაშინვე ამუშავდებოდნენ ფარული ფოტოელემენტები და აპარატები ფირზე აღბეჭდავდნენ საეჭვო დამრღვევს. გარდა ამისა, ამუშავდებოდა საგანგაშო სიგნალიზაცია, მერე სპეციალური ლიფტები და ბრილიანტიანი ვიტრინები უმალ გაუჩინარდებოდნენ იატაკქვეშეთში. ერთდროულად რკინის ბადეებით გადაიკეტებოდა გალერეის ყველა კარი და მთელ ლუვრს 45 წამში გარს შემოერტყმეოდა პოლიციელთა ძლიერი რაზმები.

ბრილიანტების დაცვის გეგმაში გათვალისწინებული იყო აგრეთვე ლუვრზე თავდასხმა ჰაერიდან და მისთვის ცეცხლის წაკიდების შემთხვევაც კი.

ლუვრში გამოფენილ თვითეულ ბრილიანტთან დაკავშირებულია მრავალი საოცარი ისტორია და ლეგენდა.

ეს უძვირფასესი ქვები, სანამ თავიანთ ახლანდელ მფლობელებთან მოხვდებოდნენ, საუკუნეების მანძილზე გადადიოდნენ ხელიდან ხელში, ქვეყნიდან ქვეყანაში. ძარცვა, მკვლელობა, მუხანათობა, ცრემლი და სისხლი მათი მუდმივი თანამგზავრი იყო.

აი, ბრილიანტი „რეგენტი“. მისი წონა 136 კარატია, სამშობლო — ინდოეთი. 1700 წელს იგი იპოვა მონამ და ფეხის ჭრილობაში დამალა. ეს ბრილიანტი მან შესთავაზა ერთ მეზღვაურს, რომელმაც გაქცევაში დახმარება აღუთქვა. მეზღვაურმა მონა მოკლა, ბრილიანტი კი მადრასის გუბერნატორს მიჰყიდა, აღებული ფული მალე გაფლანგა და თავი ანძაზე ჩამოიხრჩო. მადრასის გუბერნატორმა ძვირფასი ქვა საფრანგეთის რეგენტს ჰერცოგ ორლეანელს დაუთმო საარაკო ფასად — 3 მილიონ 375 ათას ფრანკად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1792 წელს, ბრილიანტი გაიტაცეს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ იგი იპოვეს (ერთ-ერთი ქურდის დასმენით) პარიზის ერთი პატარა დუქნის სხვენზე. ამ ბრილიანტით ნაპოლეონმა თავისი შპაგის სახელური შეამკო.

„აფრიკის დიდი ვარსკვლავი“ — ასე ეძახიან მსოფლიოს უდიდეს ბრილიანტს (იგი ცნობილია აგრეთვე „იულიან-I“ სახელით). ბრილიანტი იწონის 500 კარატს და ამშვენებს ინგლისის დედოფლის ელისაბედ II-ის კვერთხს.

ეს ბრილიანტი მეტად იშვიათად ტოვებს დედოფლის საგანძურს. ლუვრის გამოფენაზე იგი არ იყო ექსპონირებული, ვინაიდან ინგლისის სამეფო კარის წესები მისი საზღვარგარეთ გატანის უფლებას არ იძლევიან. სამაგიეროდ აპოლონის გალერეაში გამოფინეს „აფრიკის დიდი ვარსკვლავის“ ძმები: „იულიან II“, „იულიან III“, „იულიან IV“ და „იულიან V“.

ყველა ეს ქვა მიღებულია ერთი მუშტისოდენა ბრილიანტისაგან, რომლის წონა 3.106 კარატს უდრიდა. იგი იპოვა ერთმა მუშამ პრეტორიაში 1905 წელს. მუშას ეგონა, რომ ნაპოვნი მინის დიდი ნაჭერი იყო. ბრილიანტი იყიდეს 150.000 გირვანქა სტერლინგად და აჩუქეს ინგლისის მეფეს ედუარდ VII-ს. ამ განძის გასაყოფად და გასაჩარხავად მეფემ „იულიანა“ ცნობილი ამსტერდამელი იუველირის ასახერის სახელოსნოში გაგზავნა.

ასახერმა დანა დაადო ქვის ბზარს და ჩაქუჩი დაჰკრა. დანა ნამსხვრევებად იქცა. „იულიანას“ კი კვალიც არ დასტყობია. იუველირმა რამდენიმე მძიმე წუთი განიცადა. არასწორი და უგერგილო დარტყმა ბრილიანტს ათას წვრილ ნამტვრევად გადააქცევდა და ფასს დაუკარგავდა. მისი გაკვეთა მხოლოდ მეხუთე ცდაზე მოხერხდა. „დიდი იულიანა“ გადაიქცა ცხრა მოზრდილ და ოთხმოცდათექვსმეტ პატარა ბრილიანტად, რომელთა საერთო წონა 1063 კარატია.

# ნარსულის ფურცლებიდან

მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი რევოლუციონერ ხალხოსანთა ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ბედი დევნიდა მიშო ყიფიანს, მთელი სიცოცხლე, ყმაწვილკაცობა ციხეებში, ციმბირში, ტანჯვა-წამებაში გაატარა.

ქუთაისში ყოფნის დროს მ. ყიფიანი გაეცნო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ძმის, ალექსანდრეს ქალიშვილებს — ელისაბედსა (ლიზას) და მარიამს. ალექსანდრეს შვილები რუსის მეფის მადლიერნი არ იყვნენ. ისინი აყარეს აფხაზეთიდან და გორის მაზრაში სოფ. ხოვლეში დაასახლეს.

ლიზას შეუყვარდა მ. ყიფიანი, რომელიც იმ ხანად დააპატიმრეს. ფუფუნებასა და ნებივრობაში აღზრდილმა მთავრის ძმის ასულმა ლიზამ გადაწყვიტა გადასახლებაში თან გაჰყოლოდა მ. ყიფიანს და ქუთაისის ციხეში 1883 წელს მასთან ჯვარი დაიწერა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სემიპალატინსკის ოლქის ქალაქ უსტ-კამენოგორსკში გადაასახლეს.

სოფრომ მგალობლიშვილისადმი მოწერილ წერილში მ. ყიფიანი უსტ-კამენოგორსკიდან წერს: „ეს ოხერი აქაური ზამთარი... გარეთ საშინელი, დაუსრულებელი ყინვა, შიგნით საძაგელი „უგარი“... ჩემი შვილები რომ გაჩვენა, შეგებრალება, ყაფაზაში ვართ ჩაყრილი, ჩიტებივით სხედან ამოხუთულ ოთახებში... დღეს ლიზა ცოდვილობდა სადილის საქმეს და ისეთი „უგარი“ მოუვიდა, რომ საშინლად გააცივა და თავბრუდახვეული წევს. ავად არის“.

შემდეგ წერილში წერს:

„ჩემი შვილები სწავლობენ, ქართულად რასაკვირველია შალო და ვახტანგი. პატარა სალომეზე ჯერ არა ითქმის რა. შალო კარგად კითხულობს და ლამაზად სწერს ქართულად“.

1887 წელს მიშო ყიფიანი გაათავისუფლეს. თვითონ სამშობლოში ჩამოვიდა, რათა სამგზავრო ფული ეშოვნა და ცოლ-შვილი ჩამოეყვანა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა: ლიზამ ვეღარ გაუძლო მუდმივ გაჭირვებას და სემიპალატინსკში გარდაიცვალა.

გაზეთ ივერიის 1887 წლის 18 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია ცნობა ელისაბედ ალექსანდრეს ასულ ყიფიანის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ სოფ. ქვიშხეთში.

მ. ყიფიანს ბედმა არ აკმარა საყვარელი მეგობრის, მოსიყვარულე და თავდადებული ცოლის სიკვდილი: სამივე შვილები დაეხოცა.

თავისი დროის პრესა თბილად გამოეხმაურა ქართველი ქალის თავდადებულ სიყვარულს, რომელმაც დეკაბრისტთა ცოლების მსგავსად, მიატოვა ფუფუნებით ცხოვრება და შორეულ ციმბირში შეეწირა სიმართლისათვის დასჯილი მეუღლის სიყვარულს.

**გ. მასხარაშვილი**



## პირველი გამარჯვება

„7 სექტემბერს“ სახელი გადავარქვით და „ამერიკინიად“ მოვნათლეთ.

ამ პერიოდში ბაურუს პრეფექტმა თვითონ იკისრა ქუჩის ტურნირების ორგანიზაცია. თანაც სასტიკად აკრძალა ფეხშიშველა თამაში. შეიძლებოდა, თამაშებზე აღარც კი დაგვეშვით, უმრავლესობა ღარიბი ოჯახიშვილები ვიყავით, მშობლებს ისედაც არაფერი ებადათ და ბუცებისათვის ფული ვის გადარჩებოდა. ბუცებზე მეც უკაცრავად გახლდით, დედასთან ფულზე კრინტის დაძვრაც არ ხერხდებოდა.

ბოლოს ყველაფერი მოგვარდა. ჩვენს გუნდში სამი თამაშობდა. და აი, სწორედ მათმა მამამ გვიშველა. გაემგზავრა ნოროესტში და მთელი გროვა ბუცები ჩამოგვიტანა. ბუცების დიდი ნაწილი გვარიანად იყო გაცვეთილი.

ამას ვინ დაგიდევდათ. საქმე ისაა, ბევრს არც ერგო თავისი ზომის ბუცები. რა ვუყოთ, რომ ბუცებში თავიდან ფეხებამდე ვძვრებოდით. სამაგიეროდ ტურნირზე დაშვება განაღდებული გვქონდა. მე, პირადად, ახალთახალი, მაგარცხვირებიანი ბუცები შემხვდა.

პრეფექტის მოწყობილ ტურნირში „ამერიკინიამ“ პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებამ ქალაქში პირდაპირ სენსაცია მოახდინა. ჩვენ ჩემპიონობაც მოვიპოვეთ და ყველაზე უკეთესი ტექნიკაც ვაჩვენეთ. „ამერიკინიამ“ სახელი მოიხვეჭა. უფროსი თაობაც კი ავალაპარაკეთ.

„ამერიკინია“ თითქმის ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იყო. გამარჯვება მაინც ტექნიკის წყალობაა. ჩვენ ხომ თამაში ქუჩაში ვისწავლეთ, ქუჩის შეჯიბრებებში, ქუჩის მტვერსა და ნაგავში. ვისაც ასეთ პირობებში, ისიც ჭინჭის ბურთით შეეძლო თამაში, იგი ნამდვილი ტყავის ბურთით, ნამდვილ მოედანზე, რომელიც საოცნებო, ზღაპრულ ხალიჩას ჰგავდა, თავს ისე იგრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

რასაკვირველია, ჩვენი მოწინააღმდეგეებიც არ ჩამოფრენილან ციდან. მათაც იგივე სკოლა გაიარეს. ჩვენი უპირატესობა ის იყო, რომ დიდხანს ვთამაშობდით ერთად, ერთმანეთს ჩინებულად ვიცნობდით და კარგად ვუგებდით. კიდევ ერთი: ტურნირს მთელი სერიოზულობითა და გულისყურით ვეკიდებოდით, ვვარჯიშობდით თითქმის ყოველდღე და გვქონდა უდიდესი სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

უკანასკნელი თამაშის დღე დადგა. თამაშმა ესოდენ ნანატრი გამარჯვება და მასთან ერთად ქალაქის ჩემპიონობა მოგვიტანა. პირველად ვიგრძენი ნერვიული დაძაბულობა, რომელიც ადამიანს ასეთ პასუხსაგებ წუთებში შეიპყრობს ხოლმე. ასე გვეგონა, მთელი ქალაქი ამ შეხვედრის მოლოდინით სუნთქავდა.

როგორც ბურთს ფეხი დავაკარე, ნერვიულობამ იმავე წუთში გაიარა. ისე დავმშვიდდი, თითქოს ნაცნობი ქუჩის გამართულ თამაშში ვღებულობდი მონაწილეობას. ჩემი ამხანაგებიც ასევე დამშვიდდნენ. გავიმარჯვეთ და ვაჩვენეთ ისეთი თამაში, როგორიც ჩვენი ასაკის ბიჭუნებს მოეთხოვებოდათ. ჯილდოდ ოვაციები დავიმსახურეთ. მე დამაბნია გულშემატკივართა ყიჟინამ. ისინი ჩემს სახელს გაჰყვიროდნენ. მამამ გულში ჩამიკრა. ალბათ მამა იმ წუთში მთელს მსოფლიოში უბედნიერესი კაცი იყო.

— ყოჩაღ! ზორბად თამაშობ, შვილო!

ასე უზომოდ აღფრთოვანებული მამა მე არასოდეს მინახავს.

* * *

მამაჩემი პაპიროსს არ ეწეოდა, ალკოჰოლიან სასმელებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ჩემთვის კარგი მაგალითი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბავშვების გავლენით ჩუმ-ჩუმად წევას მივყავი ხელი. თუმცა გაკვეთილიც სამახსოვრო მივიღე... ბიჭები სახლიდან დაახლოებით ორმოცი-ორმოცდაათი მეტრის დაშორებით,



პელე — მეკარე.

ქუჩის პირას, მაღალი ხის ჩრდილში ვიჯექით. მე ამხანაგს სიგარეტი გამოვართვი, მოვუკიდე, გარშემო მიმოვიხედე და მოვქაჩე. თან ტოლებთან არხეინად განვაგრძე ლაყბობა. უცებ ზურგს უკან მამის ნაცნობი ნაბიჯების ხმა მომესმა. ის, როგორც ყოველთვის, გულთბილად მოგვესალმა და უკანმოუხედავად გააგრძელა გზა.

— დღეს, ალბათ, მაგრად მოგხვდება, — ხმამაღლა წაიჩურჩულე ნირშეცვლილმა.

— ნუ გეშინია, მამაშენს არც კი შეუმჩნევია, — მანუგეშეს ბიჭებმა. — რომ დაენახე, აქვე გაგასილაქებდა.

მე მაინც შეშინებული გავემართე შინისაკენ. გზა-გზა ჩემს თავს ვარწმუნებდი, მამას არაფერი არ შეუნიშნავს-მეთქი. სახლში შევაბიჯე თუ არა, მივხვდი, თავს ვიტყუებდი. ვიდექი მშობლის წინ და ძალა არ მყოფნიდა, მისთვის თვალებში შემეხედა.

— შენ ნიჭიერი ხარ და შეგიძლია ნამდვილი ფეხბურთელი გახდე, რა თქმა უნდა, თუ არც დალევ და არც მოსწევ. იმისათვის, რომ კარგად ითამაშო, შენი ფიზიკური შესაძლებლობები უნდა დაზოგო და შეინარჩუნო, — მითხრა მამაჩემმა მშვიდად, ყოველგვარი დატუქსვის გარეშე.

ამის შემდეგ სამუდამოდ შევაქციე ზურგი პაპიროსსაც და სმასაც.

---

(გაგრძელება. იხ. ჟურნ. „დროშა“ № 11)






ურტყამს პელე.

## გოლოს და გოლოს ნამდვილი ვარჯიში

„ამერიკინიას“ საქმე კარგად მიდიოდა მანამ, სანამ ის კაცი, რომელმაც გუნდი ბუცებით მოამარაგა, სან-პაულუში არ გადავიდა. დავკარგეთ მენაჯერი, მწვრთნელი და სამი მოთამაშე. გუნდის გადახალისებისას ყველაფერი აირ-დაირია. კვლავ ყველას დაუბრუნდა უფროსობის უფლება. ასე დაიწყო „ამერიკინიას“ დაშლა და ჩვენი პატარა „საზოგადოება“ მალე სულ დაიქსაქსა.

ამ დროისათვის „ბაურუ ატლეტიკ კლუბმა“ გადაწყვიტა ჭაბუკთა გუნდის ჩამოყალიბება. ეს იდეა სწორედ ჩვენი პირველი სატურნირო გამარჯვების შემდეგ დაიბადა, და ცხადია, „ამერიკინიას“ ბევრ მოთამაშეს ამ გუნდში გზა ხსნილი ჰქონდა.

იმ დღეს, როცა „ბაურუ ატლეტიკ კლუბში“ მიმიწვიეს, მთვარეულივით დავდიოდი. ვცდილობდი ჩემი თავი წარმომედგინა ამ გუნდის საკლუბო ფორმაში, ყველაზე სასიამოვნო მაინც იმაზე ფიქრი იყო, რომ არ დაგჭირდებოდა თავის შეწუხება არც მაისურებზე, არც ტრუსებზე, არც ბუცებსა და ბურთზე. ჩვენ ნამდვილი ფეხბურთელები ვხდებოდით.

* * *

მე ჯერ არც მენახა ასე ყურადღებიანი ამდენი ბიჭი. პირველ ნამდვილ წვრთნაზე არავინ არ ღლაბუცობდა, არავინ არ ეწინააღმდეგებოდა მწვრთნელის მითითებებს. ერთადერთი გულსაკლავი რამ ამ ვარჯიშზე გახლდათ მწვრთნელის საბოლოო სიტყვა: „დღეისათვის კმარა!“

წვრთნა იოლი გვეჩვენა, ვარჯიში ისე დამთავრდა, გაოფლიანებაც ვერ მოვასწარით. შემდგომში მე მივხვდი, ეს სავსებით სწორი იყო. ბურთის გაუთავებელ და უწესრიგო დევნას, ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენმა ხელმძღვანელმა გამოგვიცხადა:

— დღეიდან თქვენ ვალდემარ დე ბრიტო გავარჯიშებთ!

— ვალდემარ დე ბრიტო! — წამოძახილისაგან ვერ შევიკავე თავი. — ის ხომ პროფესიონალებს ავარჯიშებს!..

დანარჩენებიც არა ნაკლებ გაოცდნენ. აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენ, ტუჩზე რძეშეუმშრალ ბიჭებს, გვავარჯიშებს ვალდემარ დე ბრიტო!

პირველ მწვრთნელს სრულიადაც არ სწყენია ჩვენი აღფრთოვანება.

— თქვენ ახლა დარწმუნდებით, რა მწვრთნელია დე ბრიტო!..

და მართლაც, ვალდემარ დე ბრიტომ დაიწყო ჩვენი წვრთნა. იგი მთელი სერიოზულობით გვეკიდებოდა და არ მახსოვს როდისმე თავისათვის წალაზღანდარების უფლება მიეცა.

— უპირველესი მოვალეობა გუნდის ყველა წევრისათვის — ეს არის დისციპლინა!.. — განაცხადა მან პირველივე დღეს.

ბიჭებს ახალი მწვრთნელი ძალზე შეუვიყვარდა. გულისხმიერი და მკაცრი, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა, საოცრად მაგონებდა მამაჩემს.

— ნამდვილი ატლეტი არ უნდა წევდეს, არ უნდა სვამდეს და არ უნდა იძინებდეს გვიან, — ხშირად გვეტყოდა ხოლმე დე ბრიტო.

## დისციპლინა წესრიგის დედაა

საქალაქო გაზეთი „დიარიო დე ბაურუ“ თავის სპორტულ ფურცელზე დროგამოშვებით საბავშვო და ჭაბუკთა გუნდის მოთამაშეთა ფოტოებს ათავსებდა.

ერთხელ ჩვენმა მწვრთნელმა ვალდემარ დე ბრიტომ გვითხრა:

— მე მინდოდა, ამ ფოტოებისათვის თქვენ ნაკლები ყურადღება მიგექციათ. ეს საქმეს თუ გვიფუჭებს, თორემ არაფერში არ გვეხმარება.

მწვრთნელმა მშვენივრად იცოდა, რომ ასეთ ხოტბას ბავშვებისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, ამიტომაც ცდილობდა დაემალა ყველაფერი, რაც ჩვენს გუნდ „ბაკინიოზე“ იწერებოდა.

ბიჭები ვგრძნობდით: დე ბრიტო ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. საამაყოდ ისიც გვყოფნიდა, რომ მწვრთნელად ასეთი კაცი გვყავდა.

მამა ყოველთვის მარიგებდა:

— შენ ვალდემარისაგან უნდა შეისისხლხორცო ყველაფერი, რასაც კი გიჩვენებს და მიგითითებს.

დე ბრიტო, თუ მოთმინებიდან გამოვიყვანდით, უმკაცრეს ზომებსაც მიმართავდა.



83

განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა მათ, რომელთაც პაპიროსის ქია სჭამდათ. არც იმას ადგებოდა კარგი დღე, ვინც ვარჯიშის დროს დადგენილ განაწესს დაარღვევდა.

— უდისციპლინოს რა ხელი აქვს გუნდთან, — ამბობდა ვალდემარი. მისი მითითებები ყოველთვის უსიტყვოდ სრულდებოდა. გადამწყვეტი ზომების მიღებას იგი არასოდეს არ ჩქარობდა. სანამ გუნდის რომელიმე წევრის გარიცხვაზე მიდგებოდა საქმე, ვალდემარი იბარებდა მშობლებს, ცდილობდა შეერთებული ძალით ურჩზე რაიმე ზეგავლენა მოეხდინა.

ბიჭები, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვაკეთებდით, რომ მწვრთნელისათვის, რაც შეგვეძლო მეტი სიხარული მიგვენიჭებინა. ვალდემარი გრძნობდა ჩვენს დამოკიდებულებას მისდამი და თვითონაც ასეთივე სითბოთი გვიპასუხებდა. დე ბრიტო ამბობდა: თქვენ უფრო დისციპლინირებული, ყურადღებიანი და სინდისიერნი ხართ, ვიდრე პროფესიონალებიო.

— პროფესიონალებმა უკვე ისეთი ცუდი თვისებები გამოამჟღავნეს, რომ მისი აღმოფხვრა არავის ძალუძს, — დასძენდა თანაც.

ყოველთვის — კოლექტიური თუ ინდივიდუალური წვრთნის დროს, ვცდილობდი საუკეთესო მოწაფე ვყოფილიყავი; ყურადღებით ვუსმენდი ვალდემარის დარიგებებს, თავს არ ვზოგავდი, რათა ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც მწვრთნელი გვასწავლიდა. მწვრთნელი გვიჩვენებდა, როგორ უნდა გვეტარებინა ბურთი, როგორ შეიძლებოდა ყოველგვარი შესაძლებელი მდგომარეობიდან კარში დარტყმა და თამაშის აგება.

დე ბრიტო ჩემს მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა:

— შენ მომავალი გაქვს. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლო, რომ კარგი ფეხბურთელი დადგე, — მითხრა ერთხელ მან.

ამ დღიდან იგი წვრთნის დროს ნებას მაძლევდა ჩემებურად მეთამაშა. ამის უფლება არც ერთ ჩემს ამხანაგს არ ჰქონდა.

როცა ჩვენს გუნდს ჭაბუკთა ტურნირში მონაწილეობის დრო დაუდგა, უკვე ყველანი კარგად შეთამაშებულნი ვიყავით. საბოლოო გამარჯვებაც და პრიზიც ჩვენ დაგვრჩა. ფინალური თამაში ნამდვილ ზეიმად იქცა. „ტორსედორები" (გულშემატკივრები) აღფრთოვანებული გაჰყვიროდნენ ჩვენს სახელებს, ისევე როგორც დიდ შეჯიბრებაზე გაჰყვირიან სახელგანთქმული ფეხბურთელების სახელებს.

შემდეგ ჩვენ სამჯერ ზედიზედ მოვიგეთ ქალაქის პირველობა. „ბაკინიო" მთელ ქალაქში აღიარებული და პოპულარული გუნდი გახდა. გულშემატკივრები ზოგჯერ პროფესიონალებსაც კი გვიპირისპირებდნენ. ხშირად გაიგონებდით მათ საუბარში: თუ გინდათ სანაძლეოს დაგიდებთ, რომ ეს პატარა ბიჭები იმ დოყლაპიებს კუდით ქვას ასროლინებენო.

რა თქმა უნდა, ამის სერიოზულად მიღება არ შეიძლებოდა. გულშემატკივრებს საერთოდ უყვართ გადაჭარბება...

ერთ დღეს თავზარი დაგვეცა: ვალდემარ დე ბრიტო სან პაულუში გადაჰყავდათ. გული ჩამწყდა, როცა იგი გამოსამშვიდობებლად მოვიდა. დე ბრიტო ჩვენთვის მარტო მწვრთნელი როდი გახლდათ. იგი ყველას მამასავით გვიყვარდა.

სხვის ხელში ჩავვარდით. ვეღარავინ ვეღარ შესძლო ჩვენი გულის მოგება. გუნდი დაშლის გზაზე დადგა.

კლუბმა „ნოროესტემ" ჭაბუკთა ტურნირი მოაწყო. ჭაბუკთა გუნდების თამაში პროფესიონალთა თამაშების შუალედებში მიმდინარეობდა. მე ძალიან მინდოდა ტურნირში მონაწილეობის მიღება და ამიტომ „ნოროესტეში" გადავბარგდი.

ამავე დროს ამიყვანეს გუნდში „რადიუმი", რომელმაც ბაურუში პირველად შემოღებულ დახურულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ჩვენ ამ ტურნირში გავიმარჯვეთ და მე, გატანილი 40 გოლისათვის თავდამსხმელების მეფედ მაღიარეს. ეს ჩვენი ქალაქისათვის ნამდვილი სენსაცია იყო.

### ახალგაზრდა „სანტოსიდან"

თხუთმეტი წლის ბიჭი, პატარა და მეტისმეტად გამხდარი ვიყავი. ამას აღარავინ გრძნობდა, როგორც კი ბურთს ფეხებში მოვიგდებდი.

ჩანდა, ჩემზე ქალაქის ფარგლებს გარეთაც ლაპარაკობდნენ: ერთ მშვენიერ დღეს ბაურუში კლუბ „ბანგუს" წარმომადგენელი გამოჩნდა და ჩემი წაყვანა მოინდომა.

ასე მომეცა პირველად შესაძლებლობა გამოვსულიყავი ცნობილ კლუბში, მერე ისიც სად, — რიო-დე-ჟანეიროში.

როცა ამ წინადადებამ ჩემს ყურამდე მოაღწია, სიხარულისაგან ცაში ავფრინდი. მარტო ჩემი აღფრთოვანება საკითხს როდი გადასწყვეტდა. ჯერ კიდევ სრულწლოვანი არ ვიყავი. „ბანგუელმა ელჩმა" მამაჩემს მიაშურა. მან თავის მხრივ დედასთან გაგზავნა მოსათათბირებლად.

დედამ რომ ეს ამბავი გაიგო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— ხომ არ შეიშალე, დონდინიო! ის ხომ ჯერ სულ ბავშვია!

დედამ მითხრა, რომ მე საკმაოდ პატარა ვარ და მამისეული სახლის გარეთ ცხოვრება არ შემიძლია. „ბანგუელი ელჩი" უკან ხელცარიელი გაბრუნდა. მე დიდხანს არ მიდარდნია. ვიგრძენი, რომ დედა მართალია.

გაიარა ცოტაოდენმა ხანმა. ვალდემარ დე ბრიტომ ბაურუში ამოჰყო თავი. ისიც ჩემი გულისათვის ჩამოვიდა. მშობლები კარგად იცნობდნენ დე ბრიტოს და მეგობრულადაც იყვნენ მის მიმართ განწყობილი. მიუხედავად ამისა, ვალდემარს გვარიანი შრომა დასჭირდა, რომ მშობლებს ჩემი სანტოსში წაყვანის ნება დაერთოთ:

— კლუბი ნუ გაფიქრებს, დონდინიო. „სანტოსში" ბიჭს იოლად ვერავინ წამოკრავს ხელს, ის ჭაბუკთა გუნდში ჩაირიცხება!

მამაჩემის დაყოლიება არცთუ ისე ძნელი გამოდგა. დედაჩემისა კი რა მოგახსენოთ. როგორც აქამდე, დედას არაფრის გაგონება არ უნდოდა. მამამ დე ბრიტოს მხარე დაიჭირა და სასწორმა ჩემს სასარგებლოდ გადაიწონა.

დედას მეტი რაღა დარჩენოდა, სამგზავრო თადარიგს მიჰყო ხელი. ასე გავხდი „სანტოსის" საკუთრება, თუმცა ჯერ კიდევ მოკლე შარვალი მეცვა.

ვალდემარ დე ბრიტომ სან პაულუში სწორედ მაშინ ჩამიყვანა, როცა „სანტოსი" თავის მოედანზე კლუბ „კომერსიალთან" მორიგ მატჩს ატარებდა. რასაკვირველია, მაშინვე სტადიონისაკენ გავეშურეთ. ისე განვიცდიდი, თითქოს უკვე „სანტოსის" მოთამაშე ვყოფილიყავი.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი **დალი კოკაიასი**

# სპორტული ნარევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

მათემატიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ჭადრაკში არსებობს სვლის 189.518.828.544.000.000.000.000.000 ვარიანტი!

ყველა ეს ვარიანტი რომ ამოიწურო, საჭიროა დღევანდელმა კაცობრიობამ 217 მილიონი წლის მანძილზე განუწყვეტლივ გადაადგილოს ფიგურები.

• • •

უგანდუს (აფრიკა) ერთ-ერთი პროვინციის მცხოვრებნი მეტად ორიგინალური ხერხით ამხნევებენ თავიანთ ფეხბურთელებს. გულშემატკივრებს სტადიონზე მოაქვთ გრამაფონები, რომლებზეც საგანგებოდ ჩაწერილ ფირფიტებს უკრავენ.

კრიტიკულ მომენტში მუშაობას იწყებს ყველა გრამაფონი და სტადიონს ლომების შემზარავი ღრიალი ეფინება. ნადირთა მეფის ხმის გაგონებაზე უგანდუელი ფეხბურთელები გაშმაგებით გადადიან შეტევაზე და ხშირად სასურველ გამარჯვებას აღწევენ.

• • •

ეს კურიოზი რამდენიმე წლის წინათ მოხდა.

კუიბიშევში დაძაბულად მიმდინარეობდა მატჩი თბილისის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" შორის.

კუიბიშეველთა მეკარე, რომელიც ვერ შეწვდა თბილისელთა მიერ დარტყმულ ბურთს, მიწაზე დახტომის შემდეგ შებარბაცდა და რამდენჯერმე შემოტრიალდა.

ამ დროს მან დაინახა ბურთი, რომელიც კარის ძელს მოხვდა და უკან გამობრუნდა. ორიენტაციადაკარგული მეკარე ვეღარ გაერკვა ვითარებაში, კარის გადასარჩენად თავგანწირული ნახტომი გააკეთა და ბურთს მძლავრად დაარტყა მუშტი.

ბურთი კუიბიშეველთა კარის ბადეში გაეხვია.

• • •

ასეთი შემთხვევა იშვიათად ხდება ფეხბურთის ისტორიაში.

ხარკოვის „ავანგარდის" მეკარემ ნ. უგრაიცკიმ საჯარიმო მოედნიდან ისე მაგრად დაარტყა ბურთს, რომ მან მთელი სტადიონი გადასერა, თავზე გადაუარა სირიის „ახალი ისთიკლიალის" გუნდის მეკარეს და... კარში შევგორდა.

• • •

ჩილეში, მსოფლიოს პირველობაზე, ერთმანეთს ხვდებოდნენ ინგლისისა და ბრაზილიის გუნდები.

ის-ის იყო თამაში უნდა დაწყებულიყო, რომ მოედანზე მოულოდნელად გამოვარდა პატარა ძაღლი, რომელმაც ცენტრში დადებული ბურთი გაიტაცა.

ძაღლთან ვერავინ გაბედა მისვლა. მოთამაშეები შიშობდნენ, რომ იგი ცოფიანი არ ყოფილიყო.

ბოლოს ძაღლს ბრაზილიელი გარინჩა და ინგლისელი გრივსი დაედევნენ.

— ვინც ბურთს წაართმევს ძაღლს, იმისი გუნდი გაიმარჯვებს! — ისტერიულად გაჰკიოდა მთელი სტადიონი.

ბურთს გრივსი დაეუფლა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ბრაზილიელებისათვის, რომ ბრწყინვალე გამარჯვებისათვის მიეღწიათ.



ნახატი-ხუმრობა ა. ერაძისა.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის „დინამოელები" — გ. ჩოხელი, ს. კოტრიკაძე და შ. იამანიძე (ფოტომონტაჟი დ. ნოდიასი და ო. თურქიასი).

მეოთხე გვერდზე: ფოტოეტიუდი ე. იგნატოვიჩისა.


რედაქტორი ა. ძიძიგური.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/XII-62 წ. გამომც. № 125, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20 000, შეკვ. № 2235, უე 04756

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.

კინო

### შვიდი წლის გზა

ეს კადრები რომ ერთმანეთს მგვანან, ეს უდა-ვოა. მაგრამ, აბა უფრო ყურადღებით დააკვირ-დით, მოიგონეთ ის ფილმები, საიდანაც ეს კად-რებია აღებული და თქვენ მათ შორის უდიდეს განსხვავებას იგრძნობთ. პირველ სურათზე გამო-ხატული ახალგაზრდები... თითქოს მოზერდნენ. და, თუმცა ისინი სხვადასხვა ფილმების გმირებია, რომლებსაც ანსახიერებენ ორი სხვადასხვა თაო-ბის მსახიობები — მარინა ვლადი და მარჩელო მასტროიანი, ალიდა ვალი და ჟორჟ ვილსონი — ეს სულაც არ არის მთავარი. ამ განსხვავების აზ-რი იმაშია, რომ ორივე ფილმს მყოფს შვიდი წე-ლი.

არაოფიციალური ტრადიციის თანახმად, ჩვენს ეკრანებზე, უცხოური ფილმების გაშვებისას, აფი-შებზე წერენ: ახალი ფილმი. და მრავალ მაყურე-ბელს სულაც არ ეპარება ეჭვი, რომ ჭეშმარიტად ახალი ფრანგული ფილმი „ხანგრძლივი განშორების შემდეგ"-ს გვერდით (1961 წლის გამოშვება) ისი-ნი ნახულობენ იტალიურ ფილმს „სიყვარულის დღეები", რომელიც 1954 წელსაა შექმნილი. მო-ვიყვანოთ კიდევ უფრო დამახასიათებელი მაგალი-თი. ამ ზაფხულის მიწურულს ეკრანებზე გამოჩნ-და ალესანდრო ბლაზეტის ფილმი „ოთხი ნაბიჯი ღრუბლებში". და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ ფილმისაგან ჩვენ კინემატოგრაფიის ასაკის ერთი მესამედი გვყოფს. იგი გადაღებულია 1942 წელს და ითვლება ნეორეალიზმის ერთ-ერთ უშორეს წი-ნამორბედად, მაგრამ, ცხადია, ფილმები თავიანთი დაბადების დროის დაღს ყოველთვის ატარებენ.

რეჟისორ ჯუზეპე დე სანტისის „სიყვარულის დღეები" გამოჩნდა დასავლეთის კინემატოგრა-ფიის ყველაზე მართალი და პროგრესული მიმდი-ნარეობის იტალიური ნეორეალიზმის ეგრეთ წო-დებული კრიზისის პერიოდში. აქ ყოყმანისა და წინააღმდეგობების ჩრდილმა გადაჰკრა დე სანტი-სის შემოქმედებასაც და ეს მაშინ, როცა მან მა-ნამდე შექმნა ისეთი მკაცრი სიმართლით აღსავსე ფილმები, როგორიცაა „ტრაგიკული ნადირობა", „არ სუფევს მშვიდობა ზეთისხილის ხის ბაღებში" და „რომი 11 საათზე".

„სიყვარულის დღეები" უპირველესად გასართო-ბი ხასიათის ფილმია, თუმცა იგი ეხება ხალხის ცხოვრებასაც, ჰუმანიზმსაც და ღარიბი ადამიანე-ბის სიყვარულსაც — რაც ნეორეალიზმის აშკარა დამახასიათებელი ეროვნული ხასიათისა და ნიშ-ნების გამოხატულებას წარმოადგენს. და მაინც, მოთხრობაში ჭაბუკსა და ქალიშვილზე, რომლებ-საც ქორწილის მოსაწყობად ფული არ გააჩნიათ, იგრძნობა ოპერეტისათვის დამახასიათებელი და-თაფლულობა, მახვილგონიერი ჩანაფიქრის ზერე-ლობა, რაც მსახიობების ჩინებულმა თამაშმაც ვერ შესძლო ხელოვნების ჭეშმარიტ სიმართლედ ექ-ცია.

### „ვარსკვლავების ფაბრიკა" და ერთი როლის მსახიობები

ჯუზეპე დე სანტისს ხუმრობით „ვარსკვლავების ფაბრიკას" ეძახიან. მან კინოხელოვნებას აჩუქა პირველი კლასის მსახიობთა მთელი პლეადა და, სხვათა შორის, ისინი არასოდეს არ გადაულია გან-მეორებით, ზოგიერთები ამ მოვლენას იმით ხსნიან, რომ, როცა მსახიობი ცნობილი გახდება, იგი დიდ მოთხოვნილებებს აყენებს ხოლმე. დე სანტისს საშუალება არა აქვს თავისსავე აღზრდილებს გადა-უხადოს მილიონობით ჰონორარი — და, ამიტო-მაც, იძულებულია, დაემშვიდობოს მათ და გამოუ-შვას ახალი „ვარსკვლავები". ასეა თუ ისე, „სიყ-ვარულის დღეებში" — დე სანტისმა აღმოაჩინა ორი ახალი მსახიობი, რომლებმაც მსოფლიო კი-ნოში მოკლე დროში მოიპოვეს უდიდესი პოპუ-ლარობა. ესენია ჩვენი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი მარინა ვლადი და მარჩელო მასტროია-ნი, იტალიის № 1 მსახიობი, რომელსაც ბოლო ხა-ნებში ილებენ ისეთ მნიშვნელოვან კინონაწარმოე-ბებში, როგორიცაა ფელინის „ტკბილი ცხოვრე-ბა". ანტონიონის „ღამე", დე სიკას „იტალიურად გაყრა" და სხვები.

ფილმში „სიყვარულის დღეები" ორივე ახალ-გაზრდა მსახიობი გვატყვევებს ნიჭითა და გრძნო-ბის სიხალისით, მაგრამ ეს გახლავთ მხოლოდ მომ-ხიბვლელი „ცხოვრების თამაში" და არა მისი მარ-თალი ასახვა.

სამაგიეროდ, ესოდენ საოცრად ძალუმად იგრძ-ნობა ცხოვრება მეორე იტალიურ ფილმში „ორგა-ზოლოელი ბანდიტები", რომელიც 1961 წელს შე-იქმნა. მის ახალგაზრდა ავტორს ვიტორიო დე სე-ტას გადაღებული აქვს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი სარდინიის უბრალო ადამიანებზე. იქ მან მოიპოვა მასალები თავისი პირველი მხატვრული ფილმისათვის „ორგაზოლოელი ბანდიტები". ესაა ცხოვრებასავით უბრალო და მკაცრი ისტორია, რომელიც გაიძულებთ დაივიწყოთ, რომ თქვენს წი-ნაშეა მოგონილი ამბავი. მთის მწყემსების ცხოვ-რებისგან აღებულ ტრაგედიას უჩვეულო ერთიან ჟღერადობას აძლევს გადაღების დოკუმენტური მანერა (დე სეტა არა მარტო სცენარის თანაავტო-რი და რეჟისორი, არამედ ფილმის ოპერატორი-ცაა). ფილმის „ორგაზოლოელი ბანდიტები"-ს ყველა მონაწილე კინოს დებიუტანტია. მაგრამ ისი-ნი არასოდეს არ იქცევიან „ვარსკვლავებად", ისინი იმისათვის გამოჩნდნენ ხელოვნებაში, რომ შეას-რულონ ერთადერთი როლი, როლი, რომელიც მათ ძალაუნებურად „ითამაშეს" ცხოვრებაში — ღარიბი, ჩაგრული ადამიანების როლი!

ახალი იტალიური კინო დღეს გაცილებით უფრო მახვილი, მკაცრი და ულმობელი გახდა. იგი ცდი-ლობს, რაც შეიძლება უფრო და უფრო გააშიშვ-ლოს ცხოვრების წყლულები, ამას ადასტურებს ლუკინო ვისკონტის ფილმი, აღსავსე თანამედროვე-ობისადმი ზრუნვით „როკო და მისი ძმები", ომის საწინააღმდეგო ფილმი „ჩვენ ჩვენ სახლებში დავიმალოთ".

### დროის ხმა

პრობლემა — კაცობრიობა და ომი — წარმოგ-ვიდგება ფრანგულ ფილმშიაც „ხანგრძლივი გან-შორების შემდეგ". აქაც საოცრად ნათლად ჩანს, როგორ განსაზღვრავს ფილმის ხასიათს მისი შექმ-ნის დრო. გავიდა თექვსმეტი წელი, საფრანგეთში დროებით შენელდა მასების აქტიურობა და რეჟი-სორი ანრი კოლპის ნაწარმოებში თავდავიწყების სამყაროდან დაბრუნდა „უცნობი ჯარისკაცის" ტრაგიკული ფიგურა.

ესაა ფილმი — გაფრთხილება, ფილმი — ბრალ-დება, მისი კომპოზიცია თითქოს იმეორებს ის-ტორიის მსვლელობას. დაყოვნებული მოქმედების ნალმის მსგავსად, მასში გარეგნულად მშვიდი მოქ-მედება ამზადებს საშინელ, მოულოდნელ ფინალს. და, როდესაც დღეს კონცენტრაციული ბანაკის ყოფილ პატიმარს კაფეს კარებში თავმოყრილ ობივატელებში ესესელთა სილუეტები ელანდება, ჩვენ ფილმიდან ვისმენთ არა მარტო ომისადმი წა-ყენებულ ბრალდებას, არამედ უმწეობის წამოძა-ხილსაც. ტერეზას და ალბერს, რომლებსაც ჩვენ მეორე სურათზე ვხედავთ, ერთი მეორისაგან უფს-კრული აშორებს.

ფილმის ფინალის ტრაგიზმი თანამედროვე საფ-რანგეთის ცხოვრების იდეურ-პოლიტიკურ წინააღ-მდეგობათა გამოხმაურებაა. მაგრამ ფრანგულ კი-ნოხელოვნებაშიაც გაისმის ხმები, რომლებიც ადა-მიანებს მოუწოდებენ ბრძოლისაკენ.

ომის შემდგომმა თექვსმეტმა წელმა საკონცენ-ტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვე არმან გატი კინო-რეჟისურამდე მიიყვანა. ის იყო ჯარისკაცი, მერე, რაკი განათლება არა ჰქონდა, იყო შავი მუშაც, მტვირთავიც და ვეფხვების მომთვინიერებელიც. შემდეგ ჟურნალისტი გახდა, ასისტენტადაც მუშაობ-და ალენ რენესთან, რათა წინააღმდეგობის წლებში საკუთარი სიტყვა ეთქვა კინოხელოვნებაში. კინო-ში იგი შინაგანი მოვალეობის გრძნობამ მიიყვანა. და აი ჩვენს წინაშეა გატის პირველი ფილმის „შე-მწყვდევა"-ს ფინალი. ისიც გვანცვიფრებს თავისი მოულოდნელობით. პატიმართა საბრალო ორკესტ-რის დამკვრელი დააგუგუნებს „ჩვენ მსხვერპლად დავეცით"-ს და ადამიანი, რომელსაც საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია, სიკვდილს ნამდვილი გმი-რივით პირდაპირ უსწორებს თვალს. ესაა ბრძო-ლა, რომელშიაც ადამიანი ვალდებულია ჩაება, ბრძოლა, რომლის უნარიც მას უსათუოდ გააჩნია.

ამ ორი ფოტოსურათის დანახვამ ჩვენ მოგვაგო-ნა ოთხი ამას წინათ ნანახი საზღვარგარეთული ფილმი. თითოეული იმათთაგანი გვაიძულებს ჩა-ვუფიქრდეთ თანამედროვე პროგრესული კინემა-ტოგრაფიების რთული ძიებების სურათს, ძიებები-სა, რომლებიც ეკრანს დროის ხმად აქცევენ.

**მ. სავისკო**


ეროვნული ფილმოთეკა

კადრი ფილმიდან „ხანგრძლივი განშორების შემდეგ". მსახიობები: ალიდა ვალი და ჟორჟ ვილსონი

კადრი ფილმიდან „სიყვარულის დღეები". მსახიობები: მარინა ვლადი და მარჩელო მასტროიანი



ადამიანები დრო ეკრანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა